

პანტანო ჭანკოტაძე

სსკუნის  
წიგნი

VIII



ვახტანგ ქანკოტაძე

წიგნი ეძღვნება ანკარდაცვლილების  
სსოვნას

ტსოპნოს  
ბიპნო

ნაწილი მეორე

თბილისი  
2020

წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი დახმარებისათვის  
მადლობას მოვასხსენებთ ამირან ადამიშვილს,  
ჯუმბერ გოგიაშვილს და აკაკი ბიძინაშვილს

რედაქტორი ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა შალვა მურადაშვილი

წიგნი გამოიცა აწვარდაცვლილთა ოჯახების წევრების,  
ახლობლებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით

# ავტორისაბან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ საქართველოს ეროვნულ (ე.წ. „საჯარო“, ქ. თბილისი) და გორის ბიბლიოთეკებში და ასევე გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მავანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხვედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწვარდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესაები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუმენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მერვე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეცხრე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 27-81-81, 593 62-17-56).

# წინათქმა

საქართველოს ეროვნულ (საჯარო) და გორის ბიბლიოთეკების ფონდებში განთავსებულ „ხსოვნის წიგნებში“ (პირველი სამი წიგნის სახელწოდებაა „და ვანთებ სანთელს“) წარმოდგენილ ადამიანებს ვეღარ ჩავეხუტებით და ვეღარ გავამხნევებთ... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან; სათითაოდ და ცალ-ცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მადლიერებით ვიდრეკ მუხლს მათი ხსოვნის წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც გორის, გორელებისა და ქვეყნისათვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩვენთვის მღუმარე კოჰორტაა, რომელიც კვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადამიანთა კეთილდღეობის, სრულყოფისა და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

დაე. ეს მოკრძალებული წიგნი იყოს ჩვენი ყველას დიდი მადლიერების გამოხატვის მცდელობა მათ მიმართ, ვინც ბინა დაიდო სამუდამო სასუფეველში. დაე, ეს წიგნი იყოს ჩვენი მცირე წვლილი მათი ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია და მეჩვენება, რომ მაღლააწეული ჩირაღდნებით კვლავ გვინათებენ ჩაბნელებულ და ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს „ინდივიდუალურ სამყაროს“ თავისი გარეგნული იერით, გენეტიკური თავისებურებებით, ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობების გზებით, მოვლენებზე რეაგირებით, სიყვარულით, ბრძოლისუნარიანობით, ერთგულებით, პატიოსნებით, პატრიოტიზმით, იუმორის გრძნობით, წარსულისა და აწმყოს შეფასების უნარით, წარსულის გათვალისწინებით და ა.შ.


ყოველი ჩვენგანი არის ერთადერთი. გვახსოვდეს, რომ ზუსტად ჩვენნაირი არ არსებობს, არ ყოფილა და არც იქნება. სწორედ ამიტომ ღრმად მწამს, რომ იმქვეყნად წასულების ხსოვნის უკვდავყოფა არის ცოცხალთა უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი მოვალეობა. გვფარავდეს უფლის მაღლი.

„...თვითეულ ჩვენგანს ბედისწერის  
აქვს საფეხური,  
ის კი არ ვიცით, რა სიმაღლეს  
უღვას თავდებად,  
სიცოცხლე იყოს გინდ უტბესი,  
გინდ უკეთური,  
სადღაც იწყება და ასევე  
სადღაც მთავრდება.

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი  
ჩვენი ცაშია...  
ერთხელ ჩატყდება საფეხური  
თუნდაც მეფური,  
ყველა ჩვენგანი დღენიადაგ  
იმის ცდაშია,  
რაც შეიძლება მაღლა იყოს  
„ის“ საფეხური.

ავტორი

# აბულაძე როლანდი



1976 წ.

როლანდ აბულაძე იყო პიროვნება, რომლისთვისაც სიცოცხლის და ცხოვრების არსი მდგომარეობდა: სიკეთის კეთებაში, ოჯახის სიყვარულსა და ერთგულებაში, მეზობლებისა და მეგობრების პატივისცემაში, სამართლიანობაში და აქტიურ შრომასა და აუცილებლობის შემთხვევაში – თავგანწირვაშიც.

ღიას, ასეთი გახლდათ გარეგნულად საკმაოდ სიმპათიური და სულიერებით გამორჩეული კაცი, რომელსაც არ დასცაღდა სრულად წარმოჩე-

ნილიყო ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

როლანდ აბულაძე დაიბადა სოფ. დგვრისში (ცხინვალის რეგიონი) გიორგი აბულაძისა (მშენებელი ინჟინერი) და მარიამ ბურნაძის (პედაგოგ-პოლიგლოტი – საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ, რუსულ, გერმანულ და ოსურ ენებს) ოჯახში 1944 წლის 19 მაისს.

როლანდის ჰყავს ძმა სახელად შოთა (გზების მშენებელ-ინჟინერი).

ცნობილია, რომ მარიამ ბურნაძემ ოჯახის შექმნის შემდეგ თავი დაანება პედაგოგიურ მოღვაწეობას დაკავებულობის გამო (მათ ოჯახში იზრდებოდა არაერთი ობოლი ნათესავი ბავშვი).

ისიც ცნობილია, რომ ძმების (როლანდი, შოთა) აღზრდა-განათლებაში და ცხოვრების გზაზე დაყენებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მამიდებს, ქალბატონ მარიამ (მანია) აბულაძეს (საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, საბჭოს დეპუტატი) და ოღლა აბულაძეს (პროფესიით ეკონომისტს).



ალბინა, 1984 წ.

როლანდ აბულაძე სწავლობდა ცხინვალის №1 საშუალო სკოლაში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გონიერებით, მესხიერებით და სიბეჯითით. ძალიან უყვარდა ხელოვნება (განსაკუთრებით ქართული ცეკვა) და სპორტის ისეთი სახეობები, როგორებიცაა: კალათბურთი, ჭადრაკი, ალბინიზმი.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ როლანდ აბულაძემ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დაეუფლა ინჟინერ-მშენებლის ურთულეს და მეტად საპატიო პროფესიას.

დადგა ჟამი საკუთარი ოჯახის შექმნის და როლანდ აბულაძემ აქაც გამოიჩინა უდიდესი პასუხისმგებლობა, როცა თავისი სამომავლო ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა სიღამაზით ცნობილ და პროფესიით პედაგოგ-მუსიკოსს (ვიოლინო) ალბინა ნიკოლოზის ასულ ჯაბიძეს. სამშობლოს საკეთილდღეოდ შეიქმნა (1968 წ.) კიდევ ერთი მტკიცე და სტუმართმოყვარე ოჯახი, სადაც აღიზარდა ორი შვილი: რუსუდანი (პედაგოგი, იურისტი) და ლადო (ვლადისლავი) პროფესიით მშენებელი ინჟინერი.

გაიხარა ქალბატონმა ალბინამ მშვენიერი რძლით (ნონა ღვინიაშვილი) და ორი შვილიშვილით: როლანდ აბულაძე (აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი) და ნატალი აბულაძე (გორის №3 სკოლის მოსწავლე).

როლანდ აბულაძის სამუშაოთა არეალი მოიცავდა სამშენებლო ტრესტებს, კომბინატებს, სამმართველოებს, ბაზებს და ცალკეულ ობიექტებს.

შეუძლებელია ჩამოთვლა იმ ობიექტებისა, რომელთა მშენებლობას თუ რეაბილიტაციას დაამჩნია თავისი მადლიანი კვალი პროფესიონალმა ინჟინერმა, რომელსაც (როგორც ზემოთ



აღნიშნეთ) მთავარ სასიცოცხლო საქმედ მიანდა სიკეთის კეთება, აღმშენებლობა და ოჯახისადმი და ზოგადად ყველაფრისადმი ერთგულება და ყველაფერში გულწრფელობა.

ნებისმიერ საკითხზე შექმნილი აკადემიური მსჯელობა. როლანდ აბულაძე გახლდათ საოცრად ხელგაშლილი ადამიანი და რაც ყველაზე მთავარია – შესანიშნავი შვილი, ძმა, სიძე, მეუღლე, მამა, მეზობელი და მეგობარი.

გასული სუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მოვლენებმა ძლიერ შეარყია მისი ჯან-



როლანდი (მარჯვნივ) მეგობართან  
ი. ჯიოევთან) ერთად. 1967 წ.

მრთელობა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი სერიოზული დაავადება და სიკვდილი. მხოლოდ სამშობლოს პატრიოტ ადამიანს „შექმლო“ ასეთი მტკივნეული და საბედისწერო დარტყმის თანაბარი შემოტევის მიღება და გადატანა, თუმცა გულმა ვერ გაუძლო ძმათა დაპირისპირებას, გულმა ვერ გაუძლო

სასიკვდილო დარტყმას და გაჩერდა. იღვა 1990 წლის 24 ნოემბერი.

როლანდ აბულაძე დაკრძალულია ზღუდრის სასაფლაოზე (ქ. ცხინვალი).

გვწამს, რომ მისი ხსოვნა არასოდეს დაიბინდება ქვეყნისათვის სიკეთის მსურველთა და მონაგარის გულებში.

**„...ბევრს წილად ერგო თაღხი,  
ბევრსაც დასწყვიტე გული,  
არ დაგივიწყებს ხალხი,  
დარჩი ლეგენდად თქმული...“**

# ალავერდაშვილი თეიმურაზი (ბიჭიკო)

თეიმურაზ ალავერდაშვილის ბავშვობის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ერთი მხრივ ვზეიმობდით ფაშიზმზე გამარჯვებას და მეორეს მხრივ მთელი ენერჯით და შესაძლებლობებით ვცდილობდით, რაც შეიძლება სწრაფად აღგვედგინა მსოფლიო ომით გამოწვეული კატაკლიზმებით განადგურებული სახალხო მეურნეობა. ზუსტად ამ პერიოდში ესაჭიროებოდა ქვეყანას განათლებული, ენერჯიული, კრეატიული და პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილი ადამიანები.



თეიმურაზ ალავერდაშვილი რომ ასეთ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა, ეს სულ მალე დაეცო მისი შრომითი ბიოგრაფიის პირველივე საფეხურებს. საბედნიეროდ, მაშინ ის დრო იყო, როდესაც ხელისუფალთ შექმნოთ დანახვა, შეფასება და დაფასება.

თეიმურაზ ალავერდაშვილის განათლება, გამოცდილება, პრინციპულობა, ენერჯიულობა, პატრიოტული სულისკვეთება და არნახული შემართება – დაინახეს, შეაფასეს და დააფასეს.

ახალაგზრდა ასაკში მას მიანდეს შიდა ქართლში „სამტრესტის“ ქარხანათა სამმართველოში, კერძოდ სახელგანთქმული ხიდისთავის ღვინის ქარხნის წამყვანი მეღვინის და პირველი პასუხისმგებელი მატერიალური პირის თანამდებობა და შესაბამისი სტატუსი.

ეს ფაქტი გახლდათ პირველი დიდი წარმატება მის შემდგომ საოცრად მდიდარ და საინტერესო საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. შემდეგ იყო მრავალმხრივ შემოქმედებაში გატარებული ღამეები,



### თეიმურაზ ალავერდაშვილი და მერი გვრიტაძე

სამეცნიერო კვლევები, ლაბორატორიული და კვირვებები, მეცნიერული პუბლიკაციები, ათეულობით სამამულო თუ საერთაშორისო გამოფენები, მიღებული დიპლომები თუ სიგელ-ჯილდოები და ა.შ.

გადიოდა წლები, იზრდებოდა და მალღებოდა თეიმურაზი, ფართოვდებოდა მოღვაწეობის არეალი და საქართველოს ისტორიულად ცნობილ მეღვინეთა კოჰორტაში თავის კუთვნილ ადგილს თანდათან, მაგრამ მტკიცედ იკავებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თუმცა უკვე კარგად „დაღვინებული“ მეღვინე.

თეიმურაზის მქექვარე და საოცრად დინამიური ცხოვრების აპოთეოზი გახლდათ ის გარემოება, რომ მან მოინადირა გორში იმდროისათვის ერთ-ერთი უღამაზესი და უმშვენიერესი გოგონას, მერი გვრიტაძის გული, ვის გამოც გორის ქუჩებში ხშირად ჩატარებულა ე.წ. „ქუჩური დუელები“.

თეიმურაზის და მერის დაწვეილება-გაბედნიერება შედგა 1970 წელს. იმ დროისთვის მერი გვრიტაძე მუშაობდა ღვინის ქარხნების სამმართველოს ცენტრალურ ლაბორატორიაში ინჟინერ-ექსპერტ ქიმიკოსად.

თეიმურაზ (ბიჭიკო) ალავერდაშვილი დაიბადა შუაგულ ქართლში, ტირიფონის ველზე განლაგებულ დასახლებაში სახელწოდებით „ახალსოფელი“. ალავერდაშვილების გვარი ამ სოფელში ერთ-ერთი უძველესია.

თეიმურაზი ქვეყანას მოეგვინა 1944 წლის 14 ოქტომბერს ირაკლი ალავერდაშვილისა და ელენე ხომასურიდის ოჯახში. ქალბატონი ელენე თითქმის 50 წელი მუშაობდა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდება. ბატონი ირაკლი უდროოდ გარდაიცვალა და ოჯახის მართვის სიმძიმე დააწვა ქალბატონ ელენეს. საბედნიეროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონმა ელენემ ვაჟკაცურად გაართვა თავი მარტოხელა მეუღლის ფუნქციებს, ზრუნვა არ მოაკლო სამ შვილს (თეიმურაზი, მარიამი, ანა) და ისინი აღზარდა საზოგადოების ღირსეულ შვილებად. ბარაქადა მის ქალობას.

თეიმურაზ (ბიჭიკო) ალავერდაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მისთვის საინტერესო პროფესიის, მეღვინეობის დასაუფლებლად მიაკითხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და ხუთიოდე წლის შემდეგ, ინჟინერ-ტექნოლოგის (ძირითადად მეღვინეობის) დიპლომით ხელდამშვენებულმა დაიწყო თავისი შრომითი ბიოგრაფიის ძერწვა.



პროფესიის სტიქიაში

თეიმურაზის სასახელოდ და მისი ახლობელ-ნათესაეების თუ მეგობრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გამოძერწა, როგორც თავისი პირადი ცხოვრება, ისე საზოგადოებრივი აზრი მის შესახებ. იგი თავისი ცოდნით, გამჭრიახობით, გამოცდილებით და კრეატიულობით ძალიან მალე გახდა პოპულარული და ყველასთვის საყვარელი პიროვნება.

ვფიქრობ, მოვა დრო და მისი შთამომავლები გამომამზეურებენ მისი სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევების შედეგებს, ურომლისოდაც არ იქნებოდა მის მიერ დაკვლიანებული ღვინოების საერთაშორისო აღიარება.

ბატონი თეიმურაზი და ქალბატონი მერი მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილნი თავდადებით ემსახურებოდნენ მეღვინეობის განვითარებას. მათ მონაწილეობა მიიღეს ღვინის ათზე მეტ ფესტივალ-გამოფენაში, სადაც რამდენჯერმე მიიღეს გამარჯვებულის დიპლომი.

ბატონმა თეიმურაზმა (ბიჭიკომ) და ქალბატონმა მერიმ საყვარელ სამშობლოს და ხალხს გაუზარდეს და აჩუქეს ხუთი შვილი და შვიდი შვილიშვილი, რომლებიც დღეს სარგებლობენ საზოგადოების წარმატებული წევრობის სტატუსით.

თეიმურაზს არასდროს მიუტოვებია მშობლიური სოფელი. მემკვიდრეობით მიღებულ კარ-მიდამოს ბევრი რამ შემატა. მის მიერ გაშენებული ვახის ხეივანი მთელი იმ მხარის მშენებელია. სოფელს ყურადღებას არ აკლებს თეიმურაზის ვაჟი, ინჟინერი გიორგი ალავერდაშვილი. იგი მზრუნველობით დასტრიალებს მრავალრიცხოვან ოჯახს და მამასავით სოფლის სიყვარულით ცოცხლობს და ცხოვრობს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დროზე ადრე მიატოვა ქვეყანა ნამდვილმა ქართველმა ვაჟკაცმა და პატრიოტმა კაცმა და სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი.



ქართველ მეცნიერ-მეღვინეთა ბრწყინვალე კოჰორტას უდროოდ გამოაკლდა მაღალი რანგის სპეციალისტი. იგი გარდაიცვალა 2013 წელს. დაკრძალულია ახალსოფლის სასაფლაოზე.


ნათელში იყოს მისი სული.

**„...ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა მისი საქმეების რიგი...“**

**(ფრიდრიხ ჰეგელი)**

თეიმურაზი ოჯახურ ატმოსფეროში

# ადღომელაშვილი მიხეილი



ყოველ ოჯახს აქვს (ჰქონდა, ექნება) რაღაც განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – ფრიად საინტერესო და დამამახსოვრებელი.

ვფიქრობ, ადღომელაშვილების ოჯახისათვის ასეთი რამ გახლდათ ის ისტორიული ფაქტი, როდესაც 16-17 წლის ასაკში მყოფ მიხეილს მიეცა საშუალება ცოცხლად ენახა მსოფლიოში პროლეტარიატის ბელადად აღიარებული, გორელი კაცი იოსებ (სოსო) ჯუღაშვილი, იგივე სტალინი.

ეს ამბავი ასე მოხდა. მიხეილის მამა ბატონი პეტრე ცნობილი იყო საუკეთესო ხარისხის ყურძნის მოყვანით და უმაღლესი პარამეტრების მქონე ღვინის დაყენებით. ეს ფაქტი კარგად იყო ცნობილი მოსკოვში მოღვაწე გორელი გენერლის ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილისათვის, რომელმაც შეასრულა დიდი ბელადის თხოვნა და მოსკოვში გაიგზავნა მიხეილის მამის, პეტრეს მიერ დაყენებული ღვინით დატვირთული ვაგონი. ამ ვაგონს გაჰყვა თავად მელვინე პეტრე, რომელმაც თან წაიყვანა მიხეილიც (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მოვლენამდე კარგა ხნით ადრე, ალექსანდრე ეგნატაშვილმა მოსკოვში წაიყვანა და ბოლომდე ზრუნავდა მიხეილის ძმაზე კოლიაზე და მის ოჯახზე).

მოსკოვში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში მიხეილი დაესწრო სტალინთან ახლობლების შეხვედრის საღამოს, რომელიც საზეიმო ელფერით ბრწყინავდა.

მიხეილ ადღომელაშვილი დაიბადა 1923 წლის 31 იანვარს

გორის რაიონის სოფელ ატენში პეტრე აღდგომელაშვილისა და ანა მშვიდობაძის შრომისმოყვარე და მრავალშვილიან ოჯახში, რომელიც ცნობილი იყო ძლიერი და მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე ოჯახად.

მიხეილ (მიშა) აღდგომელაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო საბუნლატრო განათლება, თუმცა, ამას არ დასჯერდა და დაამთავრა საელმავლო სასწავლებელი და ჩამოყალიბდა პროფესიონალ ტექნიკურ მუშაკად. იგი, როგორც იტყვიან ხილმე, იყო „ხელმარჯვე ოსტატი“. ეხერხებოდა თითქმის ყველაფრის კეთება.

მიხეილმა 1941 წელს იქორწინა და მაცვალა პავლიაშვილთან ერთად შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი, სადაც აღიზარდნენ მათი შვილები – მზია, ლაურა და გელა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიხეილმა თავისი ხელით და გარჯით ააშენა და ყოველმხრივ გამართა საკუთარი საცხოვრებელი ბინა გორში, პედინსტიტუტის მოპირდაპირე მხარეს.

საზგასანმელია ის გარემოებაც, რომ მიხეილი და მისი მშვენიერი მეუღლე ქალბატონი მაცვალა თავის მატერიალურ შესაძლებლობებს მეტწილად იყენებდნენ მოგზაურობისთვის და



მაცვალა პავლიაშვილი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გასაცნობად, შვილებთან ერთად ოჯახმა მოიარა: გერმანია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს კურორტებზე თუ სხვა ისტორიულ ადგილებზე და ყოფილი საბჭოთა კავშირის უამრავ ქალაქზე.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მიხეილ აღდგომელაშვილი მოღვაწეობდა ფრონტის ნავთობპროდუქტებით მომარაგების ურთულეს სისტემაში და „ხელმარჯვე ოსტატობით“ თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო



**დედა და შვილები ლაურა (მარცხნივ) და მზია**

საქმეში. წარმატებული შრომისათვის მიხეილს (მიშას) მიღებული ჰქონდა მრავალი სამთავრობო ჯილდო, სიგელი თუ დიპლომი. გახლდათ შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი.

ოჯახის პრობლემების მოგვარებაში, მტერ-მოყვარის სათანადო დახვედრაში და შვილების აღზრდა-განათლების საქმეში ბატონი მიხეილი ყოველთვის გრძნობდა საყვარელი მეუღლის, მაყვალა პავლიაშვილის საოცარ მხარდაჭერას და ყოველმხრივ თანადგომას.

დღემდე ლეგენდებად არის შემორჩენილი მიხეილისა და მაყვალას ოჯახის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, მაღალი პასუხისმგებლობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე და საოცარი სტუმართმოყვარეობა. მიხეილის ცხოვრების თანამგზავრი მაყვალა პავლიაშვილი დაიბადა სოფელ ატენში, 1924 წლის 1 ნოემბერს შეძლებულ გლეხურ ოჯახში.

მამა – ტუხო პავლიაშვილი; დედა – ევა ლოთიშვილი. ამ ოჯახში აღიზარდა კიდევ ორი შვილი, მაყვალას ორი და.

მაყვალა პავლიაშვილმა დაამთავრა გორის №20 საშუალო (ე.წ. რკინიგზის) სკოლა, მოგვიანებით კი სამედიცინო ტექნიკუმი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის გორის ბავშვთა პოლიკლინიკაში, ხოლო ბოლოს, თავის მეწყვილე ზოია მაყიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ბავშვთა კვების მნიშვნელოვან დაწესებულებას.



როგორც ახლობლები ახასიათებენ – ქალბატონი მაყვალა გამორჩეულად საუკეთესო ქალური თვისებებით, იყო კარგი დიასახლისი, მოწესრიგებული ადამიანი და მეუღლისა და შვილების დიდად მოსიყვარულე პიროვნება.

როგორც ქალბატონი მაყვალა, ისე ბატონი მიხეილი ცნობილები იყვნენ როგორც განსაკუთრებულად სტუმართმოყვარე ადამიანები; ამიტომ იყო, რომ მათი ოჯახიდან ხშირად ისმოდა მუსიკის, სიმღერის და საერთო მხიარულების მაუწყებელი ხმები. მათ ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ მაყვალას და მიხეილის ახლო მეგობრები: ანტონ და რევაზ ბზიშვილები, ჟორა ჩიტაძე, ჟორა არჩუაძე და მრავალი სხვაც. სადამოები განსაკუთრებით მიზიდველი გახლდათ, როდესაც სტუმართა შორის იყო ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი, მოცეკვავე და მომღერალი, საოცრად მომლხენი მიხეილ მეზვრიშვილი. სადამოებს კი საერთო სითბოსა და მშვენიერებას ჰმატებდნენ ქალბატონი მაყვალას მეგობარ-კოლეგები, გორის მშვენიერი ქალბატონები.

მიხეილისა და მაყვალას ქალიშვილი, ქალბატონი მზია იხსენებს ერთ-ერთ მხიარულ ეპიზოდს ასეთი სადამო-შესვენრიდან:

„...მაგიდაზე უხვად იყო თევზეული, მათ შორის ზუთხი, რომელიც არ უყვარდა დედას, მაგრამ სტუმრებისთვის მისართმევად ყოველთვის ჰქონდა. ქალბატონი მაყვალას მცირეწლოვანმა გოგონამ სტუმრებს მიმართა – აიღეთ, ჭამეთ, თორემ დედა მაინც გადაყრისო. სიცილმა და აღტაცების შეძახილებმა გააყრუეს ოთახის სივრცე“.

ხშირად მითქვამს და აქაც მინდა განვაცხადო, რომ ისეთი ადამიანები და მოქალაქეები თუ პროფესიონალები არ უნდა იხოცებოდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ძალა აღმართს ხნავსო“ და ბედისწერამ იმკვეყნად გაისტუმრა ორი უკეთილშობილესი ადამიანი მაყვალა პავლიაშვილი (2004 წლის 26 ნოემბერი) და მიხეილ აღდგომელაშვილი (2008 წლის 14 ივნისი).

დაკრძალულნი არიან გორის რაიონის სოფელ ატენში, საგვარეულო სასაფლაოზე.

ღირსეული მათი მონაგარი არასდროს დაივიწყებს უძვირფასეს წინაპრებს.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

# ახობაძე ელგუჯა (გუჯა)

სულით უწმინდესს და გულით რაინდს,  
პატივს გაგებდა პატარაც, დიდიც,  
ველარ შეხედები მოცისფრო აისს,  
სიცოცხლის მზიდი ჩამტყდარა ხიდი.

გორში დიდი სიყვარულით, პატივისცემით და მართლაც რომ საოცარი პოპულარობით სარგებლობდა გუჯა ახობაძისა და ნანა (ეთერ) არბოლიშვილის ოჯახი.

როდესაც ელგუჯა (გუჯა) ახობაძის პიროვნებას ვახსენებთ, უნებურად დაჰქროლავს ისეთი ეპითეტების ტალღა, როგორებიცაა: მომღიმარი, ენერგიული, პატიოსანი, ერთგული, ხალისიანი, ტკბილი მომღერალი, საუკეთესო თამადა, ნადირობის ტრფიალი, სტუმრის მოყვარული, ოჯახზე და სამშობლოზე



შეყვარებული, გულწრფელობითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული და ა.შ. და ა.შ.

გუჯასნაირ კაცზე იტყვიან ხოლმე – ქალაქს დააკლდაო. დიას, ელგუჯა (გუჯა) ახობაძე დააკლდა პირველ რიგში საკუთარ ოჯახს, მერე გორს და თითოეულ ჩვენგანს.

ელგუჯა (გუჯა) ალექსის ძე ახობაძე დაიბადა 1931 წლის 5 ნოემბერს.

მისი მამა ალექსი, წარმოშობით იმერეთიდან, დასახლებულა გორში და დედის დაქინებული თხოვნით და იმდროინდელი



ნანა (ეთერი) არბოლიშვილი

მაჭანკლის გარჯით ცოლად შეურთავს წარმოშობით ასევე იმერელი, ულამაზესი ქალიშვილი თამარ ზოსიმეს ასული რუხაძე. შესძენიათ ოთხი შვილი, მაგრამ სამი ქალიშვილი ბავშვობის ასაკშივე გარდაცვლილა სხვადასხვა მიზეზთა გამო. დარჩენილა დედისერთად ამ წერილის მთავარი პერსონაჟი.

გუჯა ახობაძე სასწავლებლად მიუყვანიათ გორის №2 საშუალო სკოლაში. განათლების შემდგომი, უმაღლესი ეტაპი მან გაიარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა, ნაწილობრივ. მან თავი

მიანება სწავლას და მთელი თავისი არსებით დაკავდა (როგორც გამოჩნდა შემდგომში) ტყავის გამოყვანის ურთულესი საქმიანობით – შეისწავლა რა სრულად შესაბამისი ტექნოლოგიური ციკლი.

სულ მალე, საკმაოდ წარმატებულ საქმიანობად წარმოჩინდა გუჯას მოღვაწეობა და მისმა პოპულარობამაც იმატა.

ერთხელ, თურმე, ე.წ. რევიზორებმა გუჯა ახობაძე ძალიან დიდი თანხით დააჯარიმეს საქმიანობაში რაღაც მცირე და უმნიშვნელო ტექნოლოგიური ნაკლის გამო.

მის მეგობარ პოეტს, ჯემალ ინჯიას უთქვამს: „...ტყავის გაძრობის დიდოსტატს, თავად გააძრეს ტყავიო...“ ქალაქში დიდხანს იხსენებდნენ და იცინოდნენ აღნიშნული ფაქტის გამო.

გუჯა ახობაძე ყველასთვის მისაღები და საყვარელი კაცი გახლდათ. ამიტომ იყო, რომ უადვილდებოდა სხვადასხვა ორგანი-


ზაციაში სამსახურის დაწყება და აქტიური მოღვაწეობა.

წლების განმავლობაში მუშაობდა გორის „ნავთობბაზაში“ (სა-საწვობო მეურნეობის სფეროში, ოპერატორად და სხვა).

წარმატებული შრომითი მოღვაწეობისათვის ელგუჯა (გუჯა) ახობაძეს მიღებული აქვს სიგელები, მადლობები, ფუ-ლადი და სხვა სახის პრემიები, რითაც იგი სამართლიანად ამაყობდა.

1957 წელი გუჯა ახობაძისათვის იყო უმნიშვნელოვანესი და ცხოვრებისა და სიცოცხლისათვის უმთავრესი წელი. მან ოჯახი შექმნა ულამაზეს ნანა (ეთერ) არბოლიშვილთან ერთად (ნანას მამა ნიკოლოზ ესტატეს ძე არბოლიშვილი წარმოშობით იყო ქ. ცხინვალიდან; მუშაობდა გორის კომუნალურ განყოფილება-ში. ნანას დედა ეგგენია ზაქარიას ასული ხაჭაპურიძე, წარმო-შობით იყო ქარელის რაიონის სოფ. ქვენატკოციდან. მუშაობდა ბიბლიოთეკაში).

ქალბატონმა ნანამ დაამთავრა გორის №11 საშუალო სკო-ლა, მოგვიანებით კი გორის პედ. ინსტიტუტი. მუშაობდა №3 საშუალო სკოლაში. 1976 წლიდან იყო №7 ბაგა-ბაღის გამგე.



დიდი პაპის ასაკში

ბედნიერ და შრომისმოყ-ვარე გუჯა-ნანას ოჯახში დაიბადნენ და აღიზარდნენ ერთიმეორეზე უკეთესი ქალ-იშვილები – თამარი (ცაგო), მარიკა და ნონა, რომლებმაც შვიდი შვილიშვილი აჩუქეს თავიანთ უძვირფასეს მშ-ობლებს.

ქალბატონმა ნანამ დააარ-სა და ხელმძღვანელობდა შპს „ნერგებს“ (სკოლა-ბაღი, სა-

დაც დაკავებული იყო მომავალი თაობების აღზრდით).

„ნერგების“ წარმატებული მოღვაწეობისათვის ქალბატონ ნანას მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მათ შორის „შრომის მედალი“.

გუჯა და ნანა ბედნიერები იყვნენ თავისი საქმიანობით და რაც მთავარია – შვილებისა და შვილიშვილების ყოფით.

მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა გუჯა ახობადის ოჯახს თავს დაატეხა დიდი უბედურება – 1996 წელს გარდაიცვალა ქალაქში „ლამაზ ნანად“ ცნობილი მისი მეუღლე ნანა (ეთერ) არბოლიშვილი.

ფრთამოტეხილი ჩიტივით დარჩა ბატონი გუჯა, თუმცა არ გამტყდარა და აქტიურად განაგრძობდა შპს „ნერგების“ მართვას. აღსაზრდელები მოფერებით „გუჯა პაპას“ ეძახდნენ უკვე საკმაოდ ხანდაზმულს. ძალიან უხაროდა ის გარემოება, რომ მისი მეურვეობით იზრდებოდნენ მომავალი თაობები.

წლები გადიოდა. ქალაქის მიერ დატირებული ნანას მიერ გამოწვეული ტკივილი თითქოს მიყუჩდა, ბევრი რამ სასიკეთო მოხდა, გუჯა ახობაძე უკვე თორმეტი შვილთაშვილის დიდი პაპა გახდა და თითქოს ახალი ძალთა მოზღვავება იგრძნო.

2018 წლის 4 იანვარს შეჩერდა ყველასათვის საყვარელი და უკეთილშობილესი კაცის გუჯა ახობადის გულისცემა.

მთელმა გორმა დაიტირა იგი და ცრემლიანი თვალებით გააცილა სამუდამო სასუფეველისაკენ.

უსაყვარლესი ცოლი და ქმარი (ნანა და გუჯა) დაკრძალულნი არიან ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელი მათ ხსოვნას.

**„...გადავიწყებას ვინ გაგიბედავს?!  
გვახსოვს ტკბილი ხმით ნამღერი შენი.  
შვილთაშვილები გყვანან იმედად,  
მათი ყოფა რომ მამულისა შეენის...“**

# ბეჟანიშვილი ზაური

„...ობლის კვერი ცხვა, ცხვა – გვიან გამოცხვა,  
მაგრამ კარგი გამოცხვა...“

(ხალხური; პერიფრაზი)



6 წლის ასაკში



ძალთა გაფურჩქვნის წლებში

ათეული საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ-დახვეწილი და სათუთად შემონახული ხალხური სიბრძნის ეს მარგალიტი პირდაპირ და სრულად შეესადაგება ზაურ ბეჟანიშვილს, რომელიც ერთი წლის იყო, როცა მამით დაობლდა და შესძლო დაემსახურებინა პერიფრაზში მოყვანილი სიტყვა კარგი, რასაც, თუ „გავშიფრავთ“ უმდიდრესი ქართული ენით, მივიღებთ: განათლებული, თავმდაბალი და მორიდებული, პატიოსანი და ერთგული, მიზანდასახული და პრინციპული, შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე, სამშობლოსა და ოჯახისათვის თავდადებული, მეზობლების, კოლეგებისა და მეგობრების მოყვარული, ზრდილობიანი და კეთილმოსურნე...

მდიდარია ქართული ენა, ისე როგორც სულიერებით მდიდარი გახლდათ ბატონი ზაური.

გასული საუკუნის 50-იანი წლები ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, იყო ტექნიკური პროგრესის მიმართულებით მძლავრი სამეცნიერო-ეკონომიკური ღონისძიებების ბუმის წლები. სწრაფი ტემპით ყალიბდებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო თუ საკონსტრუქტორო ბიუროები, ლაბორატორიები, საცდელი ქარხნები და ა.შ.

ქ. გორშიც ჩამოყალიბდა და სწრაფი ტემპით იწყო განვითარება საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტმა („ნიავეტომატპრომი“), რომლის ერთ-ერთი პირველი ახალგაზრდა თანამშრომელი (ე.წ. „კვლევითელი“) გახლდათ ზაურ ბეჟანიშვილი. მისი მამა გიორგი (ჟორა) ივანეს ძე იყო სამხედრო ოფიცერი, რომელიც 28 წლის ასაკში (1936 წ.) ტრაგიკულად დაიღუპა წვრთნების დროს. ზაურის დედა, ქალბატონი ქრისტინე ზაქარიას ასული საათაშვილი გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო დიასახლისი (1912-1989 წ.წ.).

ზაურ გიორგის ძე ბეჟანიშვილი დაიბადა 1935 წლის 15 ივნისს ქ. გორში. 1954 წელს დაამთავრა გორის №1 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში მეტალურგიულ ტექნიკუმში სამთო ტექნიკოს-ელექტრიკოსის პროფესიის დასაუფლებლად. აისრულა ოცნება და მუშაობა დაიწყო გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში, „ნიავეტომატპრომი“-ს. ზაური, წლების განმავლობაში, აქტიურად იყო ჩართული ურთულესი თეორიული და პრაქტიკული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში, გაიარა რა თითქმის ყველა თანამდებობრივი საფეხური ლაბორანტიდან პირველი კატეგორიის ინჟინრამდე.

მუშაობის პარალელურად, ზაურმა დაუსწრებლად გააგრძელა სწავლა მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში. მე-3 კურსიდან საბუთები გადმოიტანა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ფილიალში, რომელიც დაამთავრა 1965 წელს სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსი.

ამ მომენტიდან იწყება ზაურ ბეჟანიშვილის საკმაოდ მდიდარი შრომითი ბიოგრაფიის უფრო ფართო და უფრო საინტერესო ეტაპი: „საქმთავარენერგოს გორის ქვესადგურების ჯგუფის უფროსი; შემდეგ იქვე სამსახურის უფროსი; მთავარი ინჟინერი; „მთავარენერგოს“ გორის ქსელების დირექტორი; მთავარი სპეციალისტი;

მთავარი ინჟინრის მოადგილე; ისევ მთავარი სპეციალისტი; შემდეგ განმეორებით – მთავარი ინჟინრის მოადგილე და სხვა.

2004 წლიდან, საპენსიო ასაკის გამო, იგი ტოვებს თავის საჯაროელ საქმიანობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძირითადი სამუშაოს პარალელურად, იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ჯერ ქარელის ტექნიკუმში, შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალში ახალგაზრდებს უკითხავდა ლექციებს.

ზაურ გიორგის ძე ბეჟანიშვილის მოღვაწეობა სათანადოდ იქნა შეფასებული-დაფასებული: მიღებული აქვს უამრავი სიგელი, დიპლომი, მედალი, პრემია და ა.შ. ასევე, „შრომის ვეტერანის“ მედალი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისგან; ასევე მაძლობები და საპატიო სიგელები (2011-2015 წ.წ.) პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ხელმოწერებით. მაძლობები და ჯილდოები აქვს მიღებული 75 და 80 წლიანი საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით და სხვა.

ზაურ ბეჟანიშვილს ძალიან უყვარდა თავისი პროფესია და საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურა. ძალიან დიდ სიამოვნებას იღებდა, როდესაც თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა ახალგაზრდა თაობებს.

ბატონმა ზაურმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა გიული გიორგის ასულმა საძაგლიშვილმა (დაბ. 1937 წ. 3 აპრილი. გარდაიც. 2005 წელს. პროფესიით გახლდათ პედაგოგი. ასწავლიდა გორის №5 საჯარო სკოლაში. საინტერესოა ის გარემოება, რომ გიული იყო კირიონ მეორის შთამომავალი) საყვარელ სამშობლოს აღუზარდეს სამი შვილი – გიორგი, ქეთევანი და ირაკლი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ დღეისათვის ცოცხალ „კვლევი თეთლებს“ (და არა მხოლოდ მათ) წარსულ დროში უწევთ საუბარი ბატონი ზაურისა (გარდაიცვალა 2017 წ. 8 მაისს) და ქალბატონი გიულის (გარდაიცვალა 2005 წ.) შესახებ.

სამაგიეროდ, ფრიად სასიხარულოა და მისასალმებელი, რომ ზაურისა და გიულის მონაგარი შემართებით აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს და თანდათანობით და მიმდევრულად იკავებს საზოგადოებაში მისთვის კუთვნილ ადგილს და იხვეჭს შესაშურ პოპულარობას.



გიორგი ზაურის ძე: შვილები – გიორგი და ზაური. შვილიშვილი – ანამარია.

ქეთევან ზაურის ასული: შვილები – ამირან და ლევან პატარა-ვები; შვილიშვილები – ელენე, ანდრია და ლუკა პატარავები.


ირაკლი ზაურის ძე: შვილები – ქრისტინე და ვალიკო ბეჟანიშვილები.

ბატონი ზაურ ბეჟანიშვილი და მისი მეუღლე ქალბატონი გიული საძაგლიშვილი დაკრძალულნი არიან გორის რაიონის სოფ. სვენეთის სასაფლაოზე.

ნათელი მოჰფენოდეს მათ სულებს.

## ბიძინაშვილი ამირანი

**უყვარდი ყველას, გიყვარდა ყველა,  
დაგთამაშებდა სახეზე ღიმილ...  
თაყვანსა სცემდი „ყინწვისს“ და „გელათს“,  
მკერდში გიჟღერდა სიკეთის სიმი.**



მას ყველა კარგ კაცს ეძახდა და დღესაც ამ ეპითეტით იხსენებენ, როდესაც მისი ახლობლები, მეზობლები თუ ყოფილი კოლეგები ხვდებიან ერთმანეთს.

ამირან ბიძინაშვილმა აღნიშნული „ტიტული“ დაიმსახურა ბევრი რამით, რომელთაგან რამდენიმეს დავასახელებ: გენეტიკური კეთილგანწყობა, განათლებულობა და აქედან გამომდინარე, მაღალი შინაგანი და ყოველდღიური საყოფაცხოვრებო კულტურა, ენერჯია,

კომუნიკაბელურობა, ღიმილიანი გულწრფელობა, მხარში დგომის დაუოკებელი სურვილი, პასუხისმგებლობა, კრეატიულობა და ა.შ.

თქვენი მონა-მორჩილი თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ვიცნობდი მას და უფრო მეტიც – დაახლოებით ათი წელი ვმუშაობდი და ვმოღვაწეობდი მისი ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე სამრეწველო ობიექტის ხელმძღვანელის რანგში.

ამირან ბიძინაშვილი გახლდათ მომთხოვნი, პრინციპული და პირდაპირი ადამიანი, რომელსაც ცხოვრების (სიცოცხლის) მთავარ ამოცანებად მიაჩნდა ოჯახის, საქმის, მეგობრებისა და სამშობლოს სიყვარული და ერთგულება.

ამ პრინციპებით და შთაგონებით იცოცხლა თითქმის 75 წელი.

ამირან ივანეს ძე ბიძინაშვილი დაიბადა 1940 წლის 31 მაისს. მისი მშობლები გახლდნენ ივანე ბიძინაშვილი (წლების განმავლობაში მუშაობდა საკონსერვო ქარხანაში) და მარიამ ოდიაშვილი (ღიასახლისი).

შეხმატკბილებულ ოჯახში ამირანის გარდა აღიზარდა კიდევ ოთხი უმწვენიერესი გოგონა – ვენერა, ლამარა, ნანული და მარინე, რომლებიც წლების შემდეგ ჩამოყალიბდნენ მოწინავე საზოგადოების ცნობად ადამიანებად, კერძოდ, ვენერა გახლდათ მედიცინის დარგის წარმატებული პროფესიონალი, ხოლო ლამარა, ნუნუ და მარინე – სხვადასხვა პროფილის პედაგოგები.

ამირან ბიძინაშვილმა გორის №4 საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის უმაღლესი მეტალურგიული პროფილის სასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ როგორც სკოლაში, ისე ინსტიტუტში აქტიურად იყო ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. კარგად თამაშობდა კალათბურთს, უყვარდა ნადირობა, თევზაობა, საქართველოს ისტორია და მისი ისტორიული ღირებულებები. უყვარდა ნათესავებისა თუ მეგობრების შეკრება და მათთან გულახდილი საუბრები ქვეყნის მომავალზე. ბევრს მოგზაურობდა ოჯახთან ერთად და ტკბებოდა საყვარელი მამულის მწვენიერებით.

ამირანის შვილის მოგონებიდან: „...მასსოვს, ჩემს პატარაობისას, აფხაზეთში რიწის ტბის მახლობლად, ე.წ. „სტალინის დაჩასთან“ მდებარეობდა რესტორანი, რომელიც გადაჰყურებდა ტბას და მის შემოგარენს.

მე და ჩემი და მამამ გაგვიყვანა ვერანდაზე და რალაცნაირი იღუმალი ხმიანობით გვითხრა – შეხედეთ, კარგად შეხედეთ და დაიმახსოვრეთ ეს უღამაზესი ბუნება და ადგილი, სანამ ჯერ კიდევ ჩვენიაო. თითქოს გრძნობდა იმ უმძიმესი ტკივილის მოახლოვებას, რასაც აფხაზეთის დაკარგვა ჰქვია“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოწესრიგებულობის მკაცრი მიმდევარი და პრინციპული პიროვნება ამირან ბიძინაშვილი თავისი ბეჯითი შრომით და კრეატიული ხასიათით – მალე ჩამოყალიბდა ძლიერ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად, რომელსაც ხშირად აბარებდნენ სამართავად სახალხო მეურნეობის ურთულეს ობიექტებს.


ის გახლდათ მართლაც რომ სამაგალითო მუშაკი, მრავალსაფეხურიან განათლებულობას მოჰყვა პრაქტიკული მოღვაწეობა სხვადასხვა სფეროში: მეტალურგიული პროფილის წარმოება, ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ლითონის დამმუშავებელი საამქრო, ქ. გორის ადგილობრივი მრეწველობა (მთ. ინჟინერი), პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სამსახური და სხვა.

როგორც სწავლაში, ისე სპორტში და პარტიულ თუ სამეურნეო საქმიანობაში მრავალგზის წარმატებისათვის ამირან ბიძინაშვილს მიღებული ჰქონდა უამრავი სიგელი, ჯილდო, დიპლომი, პრემია და ა.შ.

დღევანდელ საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა ისეთი განათლებული და გამოცდილი პარტიულ-სამეურნეო მუშაკები, როგორც თავის მამულზე უზომოდ შეყვარებული ამირან ბიძინაშვილი იყო.

ბატონ ამირანს ჰყავს სამი შვილი: ნინო (ექიმი, მეან-გინეკოლოგი), თამარი (ინჟინერ-ეკონომისტი) და ივანე (ეკონომისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხით ბიზნეს-მენეჯმენტის სფეროში).

ფრიად სასიამოვნო და სასიხარულო გახლავთ ამირანის შვილიშვილების ჩამოთვლა: ზაურ მახარობლიძე (ჰიდრომელიორატორი; გრაფიკ. დიზაინერი), კახა მახარობლიძე (ეკონომიკისა და დიზაინის ადმინისტრირება, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ინჟინერი და ამ სფეროში მაგისტრისა და ხარისხის მატარებელი); გიორგი გულედანი (მაგისტრის ხარისხი თეო-



სიჭაბუკის მეგობრები („შესანიშნავი სამეფული“). მარცხნიდან -  
ა. ბიძინაშვილი, ო. კოპაძე, ე. პატარიძე. XX ს. 60-იანი წლები.

რიული ფიზიკისა და მათემატიკის დარგში) და ელენე კატრინა ჰენესი (ჰენესი) – საშუალო სკოლის მოსწავლე.

ამირან ბიძინაშვილს განსაკუთრებულად უყვარდა მშობლიური ქალაქი გორი.

ერთხელ შევესწარი, თუ როგორი სიყვარულით და, რაც მთავარია, ისტორიული ფაქტების ზედმიწევნით კარგი ცოდნით, აცნობდა გორის ისტორიას მაღალი რანგის სტუმრებს ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების დროს.

2014 წლის 6 სექტემბერს შეწყდა გულიანი და გემრიელი კაცის გულისცემა. მისი დაკარგვით გამოწვეულმა ტკივილმა მოიცვა სრულიად გორი.

დაკრძალულია გორში, სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დარწმუნებულები ვართ, რომ მისი ხსოვნა არასდროს მიეცემა დავიწყებას.

ნათელში ამყოფოს მისი სული. დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მთის მიწა.

**„...მე ჩამეძინა უკვდავების წყაროსთან მწყურვალს  
და ვერ შევნიშნე, რომ დამშრალა სიცოცხლის წყარო...“  
(ფ. ირაცი)**

## ბრეზგაძე ომარი

იღუმალის ატმოსფერო, უძილო ღამეები, უზუსტესი ქმედებების აუცილებლობა, რისკი, უმაღლესი დონის პასუხისმგებლობა, შენი და სხვისი უსაფრთხოების დაცვა, თავგანწირვა, ერთგულება, ფიზიკური და მორალური მზადყოფნა, პრაქტიკული გამოცდილება, ოპტიმალური ვარიანტის არჩევანის უნარი, ოპერატიული მოქმედებების აუცილებლობა, ჰუმანიზმი, სამართლიანობა და ა.შ. და ა.შ.



აი, ასეთი მოცემულობების (თანამედროვე ლექსიკით) პირობებში უხდებათ სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მომუშავეებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა, ეროვნებისა, სქესისა თუ რელიგიური მრწამსისა.

არაერთი მხატვრული ნაწარმოებია მიძღვნილი აღნიშნული სტრუქტურის თანამშრომელთა გმირული და საოცრად დიდი რისკის შემცველი საქმიანობის შესახებ, თუმცა უფრო მეტ შეთხვევაში ძალიან ცოტა რამ იცის მათ შესახებ საზოგადოების ფართო წრეებში.

ჩვენც იძულებულნი ვართ შემოვიფარგლოთ საკმაოდ მწირი მონაცემებით იმ კაცის შესახებ, რომელმაც ათეული წლები გაატარა ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურში, არაერთხელ იღვა საფრთხის წინაშე და რომელსაც არასდროს დაუწუწუნებია ურთულესი და სიცოცხლისთვის რეალური რისკის მქონე სიტუაციების შემთხვევების დროსაც კი. მან ძლიერი მხრებით და დახვეწილი გონით ბოლომდე ვაჟკაცურად ატარა ის დიდი ნდობა, რაც მას ხელისუფლებამ და ხალხმა არგუნა. ეს კაცი გახლდათ ომარ იონას ძე ბრეზგაძე.

ბატონი ომარი დაიბადა 1941 წელს შიდა ქართლში, ქარელის რაიონის სოფ. სამწევრისში იონა ბრეგვაძისა და ანო გიგიტაშვილის ოჯახში.

ომარის მამა, ბატონი იონა ცნობილი კაცი გახლდათ ქარელში, თუ მის რაიონში. წლების განმავლობაში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდა მოსახლეობაში, თუ რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში.


ომარის დედა, ქალბატონი ანო ცნობილი იყო როგორც ხელმარჯვე დიასახლისი, რომელიც ზრდიდა ერთიმეორეზე უკეთეს სამ შვილს – ზაირას, ომარის და ნოდარის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ომარის მამის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ, დაძმები წაიყვანეს საჩხერის ბავშვთა სახლში, სადაც დაფრთიანდნენ კიდევ წლების განმავლობაში.

ომარიმ დაამთავრა საჩხერის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ახლადჩამოყალიბებულ ავტოქარხანაში.

ომარ ბრეგვაძემ აღისრულა უმაღლესი განათლების მიღების ახალგაზრდული ოცნება და 1960 წელს გახდა ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი. არც ეს იკმარა და სულ მალე მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პარალელურად კი ომარ ბრეგვაძე ეწეოდა შრომით მოღვაწეობას და მუშაობდა ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის დაცვის სამსახურში.

როგორც ომარის მომავალმა ცხოვრებამ აჩვენა – იურიდიული სფერო და სისტემა იყო მისი ცხოვრებისეული მოწოდება და აკი მიაღწია კიდევ მაღალ მწვერვალებს და წოდებებს (უმცროსი ლეიტენანტიდან პოლკოვნიკამდე). არც ჯილდოები, ორდენ-მედედები და მაღლობე-



1996 წ.



**2009 წ. პოლკოვნიკის წოდებით**

ბი იყო მისთვის უცხო რამ. სად აღარ იმუშავა, სად აღარ გამობრწყინდა და სად აღარ დაამჩნია თავისი გამჭრიახი გონებისა და სპეცგანათლების სასიკეთო კვალი: ბავშვთა ოთახის ზედამხედველი ოფიცერი; გორის მაშინდელ მილიციიაში გამომძიებელი; გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის მილიციის განყოფილების უფროსი; გორის სამმართველოს უფროსის მოადგილე; შტაბის უფროსი; თბილისის საგამომ-

ძიებლო განყოფილების გამომძიებელი; ადვოკატი და ა.შ.

ბატონი ომარი აქტიურად იყო ჩართული სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში და როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, თავისი სათქმელი სთქვა.

1970 წელს ომარ ბრეგვაძემ ოჯახი შექმნა უმშვიდესად აღამიანთან, თინა შალამბერიძესთან ერთად. ბედნიერ და მოსიყვარულე ოჯახში აღიზარდა სამი შვილი: მიქაილი (საქართველოს საპატრიარქოს საგარეო სამსახურის უფროსის თანაშემწე, ციფრული მომსახურების ხელმძღვანელი, იმავდროულად არის დავით მეფსაღმუნის ეკლესიის მღვდელმსახური, იღუმენი), კობა (გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის ტექნიკური მენეჯერი) და პაატა (ამჟამად მუშაობს საბერძნეთში, ათონის მთაზე).

რანდული სულისკვეთებით გამორჩეულ ომარ ბრეგვაძეს და მომხიბვლელობით და სტუმართმოყვარეობით ცნობილ ქალბატონ თინა შალამბერიძეს ჰყავთ ხუთი შვილიშვილი, რომლებიც თავიანთი ყოფითი და ცხოვრების წესით მადლს მატებენ უძვირფასესი კაცის, პაპის სამარადისო ხსოვნას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ომარ ბრეგვაძეს ეხერხებოდა ხატვა კარიკატურული ჟანრით. უყვარდა და კარგადაც თამაშობდა ჭადრაკს. იყო უაღრესად კომუნიკაბელური და სანიმუშო

მასპინძელი. იყენებდა ყველა შესაძლებლობას, რათა დახმარებოდა სხვებს.

2001 წელს მეუღლესთან ერთად გორიდან საცხოვრებლად გადავიდა სოფელ ოთარშენში (ორთაშენში) და იქ გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები.

ომარ ბრეგვაძე გარდაიცვალა გულის მწვავე შეტევით 2009 წლის 19 აპრილს.


დაკრძალულია სოფ. ოთარშენში. ნათელში იყოს მისი სული.

„...შენ არ იყავი სიკვდილის ღირსი  
და ამიტომაც შევიფსეთ ყანწი,  
შვილიშვილები შეკრულან ფიცით,  
არ დაგივიწყონ კაცური კაცი“.

## ბელდიაშვილი ვახტანგი

აღმზრდელის რანგით ამაყად იდექ  
არ დაგიზოგავს ფიქრი და გარჯა...  
და მკერდში გული ვიბგერდა ვიდრე  
სიკეთეს ჭედდა გონივ და მაჯაც.

ვახტანგ ვასილის ძე ბელდიაშვილის ათასობით ყოფილი სტუდენტების ორ-სამკაციან ჯგუფთან გასაუბრებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გაკეთდეს და ჩამოყალიბდეს დასკვნა და შეხედულება იმ პიროვნებაზე, რომელიც მათ ასწავლიდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს დასკვნა და შეხედულება კი არის ერთადერთი და მკაფიო – ვახტანგ ბელდიაშვილი მოწოდებით გახლდათ მომავალი





თაობების უმაღლესი დონის აღმზრდელ-პედაგოგი, რომელსაც გააჩნდა სიკეთის კეთების საოცარი უნარი და სურვილი.

და მართლაც – თაობის სწორი აღზრდა ხომ ჭეშმარიტად არის სიკეთის ქმნის უმაღლესი დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმი.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, თუ კარგად გადავხედავთ ოჯახის შემადგენლობას, სადაც დაიბადა (1922 წ. 9 იანვარი) და გაიზარდა ბატონი ვახტანგი.

მამა – ვასილი, კაცი, რომელიც დღედაღამ შრომობდა, რათა ოჯახს არაფერი მოჰკლებოდა.

დედა – ეკატერინე კაპანაძე, მან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ქართველი ქალის ფენომენს, რომელსაც შეუძლია იყოს საუკეთესო მეუღლე, მრავალი შვილის უტკბესი დედა და უმაღლესი რანგის დიასახლისი.

ვახტანგის დები და ძმები:

– ნადია (ნადეჟდა) დამსახურებული პედაგოგი, სოციალისტური შრომის გმირი;

– რუსუდანი, ფარმაცუის დიდოსტატი;


– გოგი, დამსახურებული ექიმი;

– ალექსი, დამსახურებული ინჟინერი.

ვახტანგ გელდიაშვილმა პირველადი დაწყებითი განათლება მიიღო ქ. გორის №2 საჯარო სკოლაში. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მე-3 საშუალო სკოლაში.

მრავალ გორელთან ერთად, 1941 წლის ზაფხულში, ვახტანგი ჩადგა მებრძოლთა რიგებში და მიიღო მონაწილეობა ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ საომარ მოქმედებებში. მძიმე ჭრილობების შედეგად ცნობილ იქნა ომის ინვალიდად და დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. სწავლა-განათლებას მოწყურებულია მიაკითხა ქ. გორის ე.წ. მუშა-ახალგაზრდობის სკოლას, რომელიც, მიუხედავად საზოგადოებრივი საყოველთაო მძიმე სოციალური პირობებისა, წარმატებით დაამთავრა და უმაღლესი განათლების მისაღებად მიაკითხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს.

ასირულა ბავშვობის ოცნება და ჩამოყალიბდა გეოგრაფიის სპეციალისტად. ეს პროფესია ვახტანგ გელდიაშვილის წარმოდგენაში ასოცირდებოდა – საწყის ეტაპზე საკუთარ სამშობლოში,



ხოლო შემდეგ მსოფლიოში მოგზაურობებთან და ისტორიული ღირსშესანიშნაობების გაცნობა-აღწერა-პოპულარიზაციასთან.

ბატონმა ვახტანგმა ხსენებული ინსტიტუტის გეოგრაფიული მიმართულების სტრუქტურულ განყოფილებებში იმუშავა საპენსიო ასაკამდე.

წლები გადიოდა, ცხოვრების ქარგი იცვლებოდა. უამი დადგა საკუთარი ოჯახის შექმნის და ვახტანგმაც თავისი პირადი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად დაილოცა ულამაზესი ქალბატონი, იგივე პროფესიის სპეციალი-

ისტი ეთერ (ნატალია) დეკანოსიძე. მეყუდრო, განათლებულ და შრომისმოყვარე ოჯახში აღიზარდა ორი შვილი: ვასილი (ყოფილი კადრის სამსახურის ოფიცერი, ამჟამად დაკავებულია ბიზნეს-საქმიანობით) და თამარი (პედაგოგი. №9 საჯარო სკოლა).

ვახტანგის და ეთერის (ნატალიას) ჰყავთ შვილიშვილები: ვახტანგ გელდიაშვილი (ექიმი) და ეკატერინე აღუაშვილი (ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და კულინარიის აკადემიის სტუდენტი).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბატონ ვახტანგს არაერთი სამთავრობო თუ საუწყებო ჯილდო (სიგელი, დიპლომი, მადლობა და ა.შ.) აქვს მიღებული წარმატებული პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

ვახტანგის ახლობელი ადამიანები და ყოფილი კოლეგები ერთხმად უსვამენ ხაზს მის განსაკუთრებულ სიყვარულს სტუდენტებისადმი. ამბობენ – როგორც უფროსი ძმა, ისე ედგა მათ მხარშიო და არც მათთან მეგობრობაზე ამბობდა უარსო, რაც საველე მეცადინეობების დროს განსაკუთრებით იგრძნობოდაო. სტუდენტებს ძალიან უყვარდათ ბატონი ვახტანგი და მას დიდ პატივს სცემდნენ.

ვახტანგ გელდიაშვილს ძალიან უყვარდა ნადირობა, თუ თევზაობა და ნადავლით მეზობელ-მეგობრების გამასპინძლება. ხშირად გვიან ღამემდე უსხდნენ ხოლმე სუფრას და საერთო მხიარული განწყობის ფონზე საუბრობდნენ უბნის, ქალაქის თუ ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე. ვახტანგი გამოირჩეოდა ორიგინალური იუმორით.

ბატონი ვახტანგი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მეზობლების მხრიდანაც, რომლებმაც ფართო საზოგადოებასთან ერთად თვალცრემლიანებმა გააცილეს სამუდამო სასუფევლისაკენ 1992 წელს. დაკრძალულია გორში.

**კუთვნილ სახნავ კავს რუდუნით თლიდი,  
ერთგული მოყმე-მამულის, ხალხის,  
ბევრს გაუმაგრე სავალი ხიდი,  
ბევრს ხელთ მიეცი ნათება სანთლის.**

ნათელში იყო უკეთილშობილესი კაცის სული.  
გვწამს, რომ მისი ხსოვნა არასდროს დაიბინდება.

## გელდიაშვილი ნადია (ნადეჟდა)



**„ქალი ყოველი  
არსის გვირგვინია...“  
(გოეთე)**

ვასილ გელდიაშვილისა და ეკატერინე კაპანაძის ხუთშვილიან ოჯახში პირველმნიშვნელოვანი ყურადღება მიპყრობილი იყო სწავლა-განათლებისაკენ და აკი ხუთივე შვილმა (გოგი, ვახტანგი, ალექსი, ნადია, რუსუდანი) მიიღო უმაღლესი განათლება და ჩამოყალიბდნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად.

ნადია (ნადეჟდა) ვასილის ასული გელდიაშვილი დაიბადა 1912 წლის 5 ივლისს ქ. გორში. პირველადი სწავლა-განათლება მიიღო ქ. გორის ე.წ. №3 შრომის სკოლაში. სწავლის შემდგომი ეტაპი გახლდათ გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1930 წელს ნადია გელდიაშვილი დაინიშნა გორის რაიონის სოფელ სკრის საშუალო სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ასე: ქალაქ გორის №2 საშუალო სკოლა (გეოგრაფიის მასწავლებელი); მოზარდთა საშუალო სკოლა და 1939 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – გორის ე.წ. რკინიგზის სკოლა.




ინტენსიური შრომითი მოღვაწეობის პარალელურად, ნადია გელდიაშვილი თავის თავში პოულობს შესაბამის ძალებს და აგრძელებს სწავლას ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე (დაუსწრებლად) და მისი დამთავრების შემდეგ – გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1951 წელს.

ხანგრძლივმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ და თვითმყოფადმა ნიჭიერებამ ნადია გელდიაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ: მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლიანად და ფართოდ უნდა იცოდეს ის, რასაც სხვას ასწავლის; ღრმად იყოს დაუფლებული აღზრდის ხელოვნებას, პედაგოგიურ მეცნიერებას; იყოს შემოწმარებული და კეთილი; როგორც კარგი მებაღე თავს დასტრიალებს ნორჩ ნარგავს (სხლავს, სწამლავს, რწყავს, უფლის და ესათუთება), ისე მასწავლებელიც ასევე უნდა მზრუნველობდეს, თავს ევლებოდეს თითოეულ მოსწავლეს; საჭიროების შემთხვევაში ზომიერად მკაცრიც შეიძლება იყოს და ა.შ.

ასეთი პრინციპებით და სულისკვეთებით იღწვოდა ნადია გელდიაშვილი როგორც პედაგოგიურ ასპარეზზე, ისე ცხოვრებისა და ყოფის ნებისმიერ სხვა სიტუაციაში. ამიტომ იყო, რომ ნადია გელდიაშვილმა მოიპოვა ფართო საზოგადოებრივი სპექტრის მხრიდან მუდმივი ყურადღება და ღრმა პატივისცემა. მისი ადამიანური თუ პროფესიული ღირებულებების მაღიარებლები უხვად იყვნენ ასევე ათასობით აღსაზრდელთა მშობლებს შორის. ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ქალბატონი ნადია აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. თითქმის ოცი წლის განმავლობაში, შრომის ანაზღაურების გარეშე, მუშაობდა განათლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების გორის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ. იგი ასევე გახლდათ რესპუბლიკური საბჭოს წევრი, ხოლო წლების განმავლობაში – უმაღლესი სასამართლოს მსაჯული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალბატონი ნადიას შვილი თამარ გელდიაშვილი წარმატებით აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს, მოღვაწეობს რა გორის №9 საჯარო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

ქალბატონი ნადია გელდიაშვილის წარმატებული და საყოველთაოდ აღიარებული პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჯეროვნად იქნა დაფასებული – მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის და რაც ასევე იშვიათი და ისტორიულად საამაყო – სოციალისტური შრომის გმირის წოდება (1968 წ.).



პირად ცხოვრებაში ნადია გელდიაშვილმა მიიღო მძიმე ტრავმა, რაც გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებული მეუღლის (ი. ზერეკიძე) მოულოდნელი, ტრაგიკული დაღუპვით.

ფრთამოტეხილმა ქალბატონმა აქტიურად გააგრძელა თავისი საქმიანობა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა მომავალი თაობების განათლების ისტორიულ და საშვილიშვილო საქმეს.

ქალბატონი ნადია (ნადეჟდა) გელდიაშვილი განუკურნებელი სენით გარდაიცვალა 1969 წ. 11 ოქტომბერს. დაკრძალულია გორში.

წარმატებული გორელი ქალბატონის, ნადია გელდიაშვილის მოღვაწეობის შესახებ ხშირად იწერებოდა სტატიები ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მას მიეძღვნა ასევე წიგნი (სახელწოდებით „ნადია გელდიაშვილი“. ავტორი ვანო ურჯუმელაშვილი. გამომცემლობა „განათლება“. 1970 წ.). მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი ხსენებული წიგნიდან.

„...ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, თქვენ მარტო მეცნიერების სიყვარული კი არ ჩამინერგეთ, არამედ მასწავლეთ შრომისა და ადამიანების სიყვარულიც...“ („ურალ-გვირაბმშენის“ სამმართველოს მთ. ინჟინერი ნ. გოგინაშვილი. ქ. სვერდლოვსკი);

„...დღესაც კარგად გვახსოვს თქვენი შთამბეჭდავი გაკვეთილები; რა გატაცებით, შთაგონებით გვასწავლიდით მსოფლიო გეოგრაფიას... გმადლობთ ნადია მასწავლებელო. გვიხარია დიდი ჯილდო, რომელიც თქვენ ღირსეულად დაიმსახურეთ“. (კ. ბესტავაშვილი).

ფართო საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს ღირსეულ მამულისწილს ქალბატონ ნადია (ნადეჟდა) გელდიაშვილს. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**„...წმინდა კელაპტარს  
არა აქვს კვამლი...“**

**(მირზა შაფი)**

# ბიუაშვილი შალვა

„...დაბადება ბედნიერებაა მისთვის,  
ვინც კეთილი საქმეებით თავის  
სახელს უკვდაგჳყოფს...“  
(პერიკლე)



შალვა და თინა

მთელი შიდა ქართლი და კერძოდ ქ. გორი კარგად იცნობდა და პატივისცემით ეპყრობოდა საკმაოდ პოპულარულ და ავტორიტეტულ ტანდემს – შალვა გიუაშვილს და თინა მაისურაძეს. და მაინც, რა იყო მშენიერი ოჯახის წარმატებისა და ცნობადობის მთავარი კრიტერიუმები და სიმპტომები: პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, მაღალი ნიშნულის პასუხისმგებლობა, ინიციატივიანობა, ერთგულება, პატიოსნება და ჰუმანიზმი.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ღმერთმა დააწყვილა ისინი ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აფერუმ მათ შემართებას!

არდაბინდება მათ ხსოვნას!

მკითხველს გვსურს შევახსენოთ ამონარიდები საგაზეთო წერილებიდან:

გაზეთი „გამარჯვება“ (1987 წ. აპრილი): „...ვინც კი იცნობდა, გულისტკივილის გარეშე ვერ გაიხსენებს ამ დარბაისელ, სათნოებით სავსე ქალბატონს, მე-12 სკოლის დირექტორს თინა მაისურაძეს. მას ნაზი და სპეტაკი გრძნობით უყვარდა აღსაზრდელები, საკუთარი შვილივით უფრთხილდებოდა თითოეულ მათგანს, ჯადოსნურ გასაღებს მოარგებდა ყველას გულს. პრინციპული, მომთხონი, სამართლიანი და შრომისმოყვარე დირექტორი პირად მაგალითს აძლევდა, აღსაზრდელებსაც, მათ მშობლებსაც და კოლეგებსაც...“

**გაზეთი „შემოქმედება“ (გაჟა შიუკაშვილი):**

„...ქართული სულის უანგარო ამაგიტ მზრდელი, გული უძგერდა მგრძნობიარე ღვთიურად ჩვილი...  
თავს იწონებდა ღირსეული ქალაქი ძველი,  
რომ შვილთა შორის ჰყავდა შალვა გიუაშვილი...“

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1997 წ. 20.03):** საოცარი სიტყვებია მოშველიებული ბატონი შალვასა და ქალბატონი თინას შვილის მაიას შესახებ **აღეკო ასლანიშვილის წერილში „სართულებზე – ზევით-ქვევით...“**

„...ქალბატონი მაია მთელი ჩვენი უბნის ექიმა – შემწე და იმედი. იგი თანამდებობით როდია „უბნის ექიმი“, ეს მისი მოქალაქეობრივი პოზიციის, პროფესიული ეთიკისა და უბრალოდ, დიდი ადამიანური კეთილშობილების გამოხატულებაა. მან უანგაროდ იტვირთა მეზობლების, მეგობრების, ნაცნობების ოჯახებზე მზრუნველობა, რაც განსაკუთრებით ღირებული და დასაფასებელია ე.წ. „საბაზრო ეკონომიკის“ რეჟიმში, როცა ფული ადამიანების ურთიერთობის საზომი ხდება... ყოველ ტელეფონის ზარზე, ყოველ დაკაკუნებაზე, სიბნელესა და სიცივეში ადისჩადის სართულებზე, რათა მკურნალად შევიდეს ნებისმიერ ოჯახში...“

აი, ძვირფასო მკითხველო, ორიოდ სიტყვა შესანიშნავი ოჯახის სამეულზე, რომლებიც დღეს აღარ არიან ცოცხალთა რიგებში და რომელთა ხსენებაზეც სინანულის ცრემლი აწვევბათ თვალებზე მადლიერ მათ შთამომავლობას და ფართო საზოგადოებას.



შალვა ნიკოლოზის ძე გიუაშვილი დაიბადა 1930 წლის 10 მაისს ხაშურის რაიონის სოფელ გომში. შალვა გიუაშვილმა დაამთავრა ქ. გორის №4 საშუალო სკოლა. განათლების შემდეგი ეტაპი იყო გორის პედინსტიტუტი, მერე კი დაიწყო ხანგრძლივი და საინტერესო შრომითი საქმიანობა: გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, რაიონის კულტურის სახლი, ალკა გორის საქალაქო კომიტეტი (ინსტრუქტორი, კადრებისა და საორგანიზაციო განყოფილების გამგე და მოგვიანებით კი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი), „მთავლიტის“ რწმუნებული, სასტუმრო „ინტურისტის“ ადმინისტრატორი, რესტორნის დირექტორი, გორის ყრუ-მუნჯთა სასწავლო-საწარმოო წამოწყების დირექტორი, გორის ბამბუელის ქსოვილების კომბინატის გასაღების ბაზის დირექტორის მოადგილე და მერე დირექტორი და ა.შ.

გაზეთი „გამარჯვება“ (1979 წ. 27/X): „...სადაც კი უმუშავია შ. გიუაშვილს, ყველგან ავლენდა საქმის ცოდნას, განათლებას, ერუდიციას. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით. არაერთხელ იყო არჩეული კპ გორის საქალაქო კომიტეტის წევრად და საბჭოს დეპუტატად.

შალვა გიუაშვილი დაჯილდოებული იყო ხელოვნების ნიჭით. კარგად უკრავდა (ფორტეპიანოზე) და მღეროდა. თეატრალურ სცენაზეც მოუსინჯავს ძაღები და არცთუ წარუმატებლად.

შალვა გიუაშვილი გარდაიცვალა 1979 წელს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

შალვას მეუღლე თინათინ ვასილის ასული მაისურაძე დაიბადა 1929 წელს ქ. გორში. დაამთავრა რკინიგზის 11 საშუალო სკოლა (1947 წ.), შემდეგ კი გორის პედინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად მესამე და მეოთხე სკოლებში, ხოლო 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – მე-12 სკოლის დირექტორად.

ქალბატონი თინა მაისურაძე გარდაიცვალა 1976 წელს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის მთაზე.

შალვა გიუაშვილისა და თინა (თინათინ) მაისურაძის შვილი,



მაია

ქალბატონი მაია გიუაშვილი-გენგიური დაიბადა 1957 წლის 29 მაისს. დაამთავრა გორის მე-12 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. შრომითი ბიოგრაფიის საწყის ეტაპზე იმუშავა რუსეთის ქ. ვოლოგდაში. 1983 წელს დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისში იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ქალბატონი მაია გიუაშვილი-გენგიური გარდაიცვალა

2006 წლის 4 ივლისს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე (მისი საპასპორტო სახელი იყო მარინე).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერს: „...მისი სახით ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დაკარგა სხვადასხვა პროფესიულ პაექრობაში არაერთგზის გამარჯვებული, მაღალი რეიტინგის მატარებელი ექიმი; პაციენტებმა – გულისხმიერი, ყურადღებიანი, კეთილი ადამიანი; მეგობრებმა – საუკეთესო მეგობარი; შვილებმა – დედა; ძმამ – მზრუნველი და.

მაიასთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო ცრემლების ზღვა, რომელიც მას გაჰყვა მარადისობისაკენ მიმავალ გზაზე...“

**„...ცხოვრების ფიალა სიტკბოებით  
გულს აგიმსუბუქებდა, შიგ რომ  
ცრემლი არ ერიოს...“  
(პითაგორე სამოსელი)**

# დათიაშვილი თენგიზი (ჭოლა)



„...იარა ქვეყნის გულისტკივილით, ბოლომდე მისი დარდი ატარა, ჩუმად დათესა ბევრი სიკეთე, გინდათ დიდი და გინდაც პატარა...“

თენგიზ დათიაშვილის პატარა მეგობრის დავით ლომიას ლექსიდან ამონარიდის პერიფრაზი სრულად ემთხვევა საზოგადოების ფართო წრეებისა და ახლობელ-ნათესაეების მტკიცედ დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თენგიზი (ჭოლა) იყო უკეთილშობილესი, უბრალო, თავმდაბალი, მორიდებული,

მაღალი შინაგანი კულტურის მატარებელი, ოჯახზე, ქვეყანაზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, რომელმაც თავისი უანგარო კაცურ-კაცობით წარუშლელი კვალი დატოვა გასული საუკუნის მეორე ნახევრის გორის ინტელექტუალურ ცხოვრებაში და მის მრავალრიცხოვან კეთილმოსურნეთა გულებში.

თენგიზ (ჭოლა) დათიაშვილი დაიბადა ქ. გორში 1938 წ. 16 აგვისტოს.

თენგიზის დედა ქალბატონი ნინო ბადაშვილი გახლდათ დეაწლმოსილი ფილოლოგი (გორის სხვადასხვა სკოლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, დირექტორად, სასწავლო ნაწილის გამგედ და ა.შ.).

თენგიზის მამა ბატონი არკადი დათიაშვილი იყო მათემატიკის სპეციალისტი, დამსახურებული პედაგოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გორის რაიონის სოფ. ვარიანის სკოლის დირექტორად, გორის №12 სკოლის მათემატიკის პედაგოგად, ამავე სკოლის სამხედრო ნაწილის გამგედ (პენსიაზე ყოფნისას) და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თენგიზის აღზრდაში დიდი

ღვაწლი მიუძღვის მის ბებოს, ქალბატონ მარიამ (ვარა) მაკასარაშვილ-ბადაშვილს (საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, საბჭოს დეპუტატი, სასამართლოს მსაჯული, სასტუმრო „ქართლის“ პირველი დირექტორი და სხვა).

თენგიზის და ქალბატონი ნათელა (პროფესიით ბიოლოგი) მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის ბოტანიკურ ინსტიტუტში და ბაღში მეცნიერ-მუშაკად.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თენგიზი (ჭოლა) იზრდებოდა და ყალიბდებოდა მაღალი დონის განათლებულობის მატარებელ ადამიანთა გარემოცვაში, რაც აშკარად და პოზიტიურად აისახა მის მომავალ ცხოვრებაზე.

სწრაფად გაიზრინეს ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებმა. საშუალო სკოლის (გორის №5) დამთავრებისთანავე თენგიზმა მუშაობა დაიწყო გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში. სამსახურის შემდეგი ეტაპი გახლდათ მოღვაწეობა გორის „ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის“ ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში (1958 წ.).

კარგად გაითავისა თენგიზმა შრომისა და სწავლა-განათლების პარალელურობის პრინციპი და გზადაგზა იძენდა უმაღლესი დონის ცოდნას.



დასთან (ნათელა) ერთად

1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტი და თავისი მოღვაწეობა მტკიცედ დაუკავშირა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტს, „ნიიაგტომატპრომს“, სადაც მრავალი წლის განმავლობაში წარმოაჩინა თავი, როგორც მაღალი დონის ტექნიკურმა სპეციალისტმა.


შემდგომ წლებში იყო: გორის №9 ტრესტი (სამუშაოთა მწარმოებელი, შემდეგ – მთავარი მექანიკოსი), რძის ქარხანა

(მთ. მექანიკოსი), „ენერჯო კომპანია“ (უბნის ინჟინერ-ინსტრუქტორი) და ა.შ.

თენგიზ (ჭოლა) დათიაშვილმა გულის კარები ფართოდ გაუღო მომხიბვლელ ქალიშვილს დოდო გუგულის ასულ თავბერიძეს (ბიოქიმიკოსი. 45 წელი მუშაობდა გორის საავადმყოფოში) და „იხარა ჭერმა“.

ოჯახმა აღზარდა ოთხი შვილი: ნინო (გორის №3 სკოლის პედაგოგი, მეუღლე გიორგი ოთარის ძე ფერშანგიშვილი. შვილები – ოთარი, თენგიზი, მარიამი, რუსუდანი); მაია (დაწყებითი კლასების პედაგოგი); ნათია (№3 სკოლის წამყვანი პედაგოგი. მეუღლე – გიორგი ემხარის ძე დემეტრაშვილი. შვილი – ანა) და თეონა (ექიმ-ლაბორანტი. მეუღლე სოსო ცომიაია. შვილები: ნიკოლოზი, ლილე).

როგორც ქალბატონი დოდო იგონებს: „...თენგიზის ჰობი იყო ფოტოგრაფია. ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და ფოტოფირზე აფიქსირებდა ღირსშესანიშნაობებს. სიამოვნებით იგონებდა იმერეთის სოფ. ზორვეთში გატარებულ ბავშვობას. უყვარდა ჭადრაკი და ფეხბურთი“.



თენგიზი (დგას) ლაბორატორიაში კოლეგებთან ერთად

ერთხელ ფეხბურთის მატჩის საყურებლად ხეზე ასულს ტოტმა „უღალატა“, მიწაზე დავარდა და სერიოზული ტრავმაც მიიღო. აღნიშნულ ფაქტს იუმორისტულად გამოეხმაურა პოეტი ჯ. ინჯია:

**„ჭოლა ხიდან ჩამოვარდა!  
ჩაკუჭკუჭდნენ ბავშვები,  
როცა ჭოლამ იკითხა...  
მოგკედები თუ დავრჩები“.**



**მეუღლესთან (ლოლო) ერთად**

მეგობრებმა თენგიზს „ჭოლა“ (ცნობილი ჭოლა ლომთათიძის სახელი) უწოდეს მისი პატიოსნების, პატრიოტიზმის, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გამო. სხვათაშორის ამ თიკუნით მოინათლა კიდევ 31 წლის ასაკში. მისი ნათლიაა ბავშვობის მეგობარი გია ხუციშვილი.

თენგიზ (ჭოლა) დათიაშვილი გახლდათ უაღრესად ყურადღებიანი, მზრუნველი, ქართული ტრადიციების მოყვარული და ამ სულისკვეთებით

ზრდიდა შვილებს და შვილიშვილებს.

თენგიზის ბავშვობის მეგობარი დავით მაჭავარიანი იხსენებს: „...ძალიან პატიოსანი, ალალი და კეთილშობილი ადამიანი იყო; ერთხელ საფუძვე იპოვა დიდი თანხით და საბუთებით. ვერ მოისვენა, სანამ პატრონი არ იპოვა და არ გადასცა ნაპოვნი“.

ყველანაირ უსამართლობას მტკივნეულად განიცდიდა!..

და კიდევ ერთი ამონარიდი დ. ლომიას ლექსიდან (პერიფრაზი):

**„...იცხოვრა ღმერთის სპეტაკი რწმენით  
და წასვლა მისი უფალს ენება,  
ბევრს ახსოვს მისი სიკეთის ხელი,  
სიალაღე და წესიერება...“**

სამწუხაროდ, 2018 წლის 5 ნოემბერს სამუდამოდ გაჩერდა დიდებული ადამიანის, უკეთილშობილესი და უსაყვარლესი კაცის, სანიმუშო მოქალაქის, მოღვაწის, მეოჯახის, მამის, პაპის და მეგობარ-მეზობლის ეროვნულად მომართული და მიწიკწიკე გული.

დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში ყოფილიყოს მისი უწმინდესი სული.

# დეკანოსიკე ეთერი (ნატალია)



...როგორ გადმოვცე შრომის,  
ვარდის ფერი ცხოველი?  
როგორ ავსახო საკადრისად  
შენი მშვენება?!

(რაფაელ სანტი)

„ადამ და ევადან“ მოყოლუ-  
ბული არ ცხრება კამათი იმის  
თაობაზე, თუ ვინ არის „პირ-  
ველი“ და „მთავარი“ პასუხის-  
მგებელი ოჯახის შექმნაში,  
მოვლა-პატრონობაში, გამრავ-  
ლება-განვითარებაში, უკეთესი  
პერსპექტივის უზრუნველყოფა-  
ში და ა.შ. და ა.შ. – უწყვეტად

და დაუმთავრებლად. ქალიც და კაციც, კაციც და ქალიც თავ-  
ისკენ ექანება „პირველობის საბანს“ და არავინ იცის, როდის ან  
როგორ გადაწყდება „დავა“.

თქვენმა მონა-მორჩილმა კი დიდხანია თავისთვის გადაწყვიტა  
და ირწმუნა, რომ მაღალმა ღმერთმა თანაბრად და ჰარმონი-  
ულად გადაანაწილა ასეულობით ცხოვრებისეული ვალდებულე-  
ბა-პასუხისმგებლობა და უამრავი სხვა ფუნქცია, რათა ოჯახი  
(ქალისა და კაცის, კაცისა და ქალის მაღალი დონის ერთობა)  
ყოფილიყო ჰარმონიული ელფერით შემკობილი და ამალღებული  
ბირთვი – ბირთვი სიცოცხლის გაგრძელებისა.

სწორედ ასეთი ოჯახი გახლდათ (და გახლავთ, რამეთუ  
ტრადიციები გრძელდება) ქალბატონ ეთერ (ნატალია) დეკანო-  
სიძისა და ბატონ ვახტანგ გელდიაშვილის ოჯახი, რომელიც  
შექმნიდან მალევე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრ-  
ში და დღემდე სარგებლობს პატივისცემით, რამეთუ ამ ოჯახის  
შთამომავლები დღესაც იკავებენ საპატიო ადგილებს მოწინავე  
და საამაყო გორელებს შორის.

ეთერ ელიაზარის ასული დეკანოსიძე დაიბადა 1928 წლის 4 მარტს. მისი მამა გახლდათ პროფესიონალი რკინიგზელი და მოსიყვარულე კაცი. დედა, ქალბატონი შურა ექსეულიძე გახლდათ დიასახლისი. აღნიშნულ მყუდრო ოჯახში აღიზარდნენ ასევე ეთერის და – ცირა დეკანოსიძე (პედაგოგი) და ძმა – ბორის დეკანოსიძე (კადრის სამხედრო ოფიცერი).

ეთერ (ნატალია) დეკანოსიძემ დაამთავრა თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი და შრომის პირველ ეტაპზე მოღვაწეობდა ქლუხორის სკოლის გამგე-მასწავლებლად, ბოლნისის რაიონის სოფ. ქვების სკოლის გამგე-მასწავლებლად და სხვა.

1955 წელს ეთერ დეკანოსიძემ დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი და როგორც წარმატებული კურსდამთავრებული იქვე დატოვეს (გეოგრაფიის კათედრა) სამუშაოდ პედაგოგის რანგში. მის შრომით ბიოგრაფიას ამშვენებს ასევე მოღვაწეობა გორის პედაგოგიურ სასწავლებელში (გეოგრაფიის პედაგოგი) და გორის №9 საშუალო სკოლაში ასევე გეოგრაფიის მასწავლებლად.

სწორედ ე.წ. „გეოგრაფიის ორბიტაზე“ გადაიკვეთა ქალბატონ ეთერისა და ასევე გეოგრაფიის სპეციალობის მქონე ვახტანგ გელდიაშვილის ცხოვრებისეული გზები და შედეგად ქართულ საზოგადოებას შეემატა კიდევ ერთი, მართლაც რომ ჰარმონიული



და ეროვნული ღირებულებების მატარებელი, თბილი კერა, რომელშიც დიდი რუდუნებით აღიზარდნენ შვილები – ვასილ გელდიაშვილი (ყოფილი კადრის სამხედრო ოფიცერი, ამჟამად დაკავებულია ბიზნეს-საქმიანობით) და თამარ გელდიაშვილი (გორის №9 საჯარო სკოლის პედაგოგი). ოჯახის ტრადიციების აღსრულების კვალში დგანან ასევე შვილიშვილები – ვახტანგ გელდიაშვილი (ექიმი) და ეკატერინე ად-



უაშვილი (ბიეზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და კულინარიის აკადემიის სტუდენტი).

ქალბატონმა ეთერმა აღზარდა მრავალი თაობა და, რომ იტყვიან, ტოლს არ უდებდა მეუღლეს, რომელიც ასევე წარმატებულად მოღვაწეობდა გეოგრაფიის სფეროში.

ქალბატონ ეთერს მიღებული ჰქონდა უამრავი სიგელი, დიპლომი და სხვა სახის ჯილდო, მათ შორის საპატიო ნიშნის ორდენი და განათლების სამინისტროს მადლობები.

ქალბატონი ეთერი გამოირჩეოდა სწავლების მაღალი სტანდარტებით. იგი სტუდენტებს ასწავლიდა არა მხოლოდ ვიწრო სპეციალობას, არამედ სამშობლოს სიყვარულს, ერთგულებას, პატიოსნებას, ყოველდღიური ცხოვრების ზნეობრივ ასპექტებს და ეთიკის ნორმებს.

ამიტომ იყო, რომ იგი ძალიან უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ, როგორც აღსაზრდელები, ისე მათი მშობლები.

კოლეგებთან და ქალაქ გორის სხვა თანამოქალაქეებთან ურთიერთობაში გამოირჩეოდა გულისხმიერებით, გულწრფელობით და მხარში დგომის დიდი სურვილით.

მრავალმხრივ განათლებულ და საოცრად ერუდირებულ პიროვნებას, ქალბატონ ეთერ დეკანოსიძე-გელდიაშვილს ძალიან ჰყვარებია დედუღეთი (იმერეთის თვალწარმტაცი სოფელი მაღალაური) და პოეზიაშიც მოუსინჯავს კალამი.

**„...იმერეთი ძლიერ მიყვარს,  
მისი აღმართ-დაღმართი,  
აქ ვისწავლე შრომის ფასი  
და ქართული ანბანი...“**

სამწუხაროა, რომ უმშვენიერესი და უგანათლებულესი ქალბატონი ეთერ (ნატალია) დეკანოსიძე აღარ არის ცოცხალთა რიგებში. გორის საზოგადოებამ, ახლობელ-ნათესავეებმა და კოლეგებმა 2007 წელს გააცილეს იგი სამუდამო სასუფეველისაკენ. დაკრძალულია გორში.

ნათელში იყოს უმშვენიერესი ქალბატონის სული.

## დიდებული ნაირა

ნაირა ვლადიმერის ასული დიდებული დაიბადა 1940 წლის 20 მარტს, ქ. გორში, ძველი ტრადიციული ღირებულებების მატარებელ ოჯახში, რომელშიც დიასახლისობდა ბრწყინვალე ქალბატონი და ყველასათვის საყვარელი ბებია მარიამ ტერტეროვი.



ნაირას მამა ბატონი ვლადიმერი გახლდათ ქ. გორის იმდროინდელი საზოგადოების საკმაოდ პოპულარული ადამიანი, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რკინიგზის ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და განვითარების საქმეში.

ქალბატონ ნაირას ჰყავდა და სედა დიდებული, პროფესიით გეოგრაფია-ბიოლოგიის პედაგოგი.

ქალბატონმა ნაირამ თავისი ცხოვრება დაუკავშირა რობერტ გოდერძიშვილს, რომელთანაც ერთად გამოზარდა ორი სასახელო ქალიშვილი ირმა გოდერძიშვილი (სპეციალობით ქიმიკოს-ბიოლოგი, დოქტორანტი, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი) და ცირა გოდერძიშვილი (ფიზიკოსი. მუშაობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

ქალბატონ ნაირას ჰყავს ორი საამაყო შვილიშვილი – ვანიკო ხუციშვილი (ბიზნეს ადმინისტრაციის სპეციალისტი) და გიორგი ოქროპირიძე.

როგორც იტყვიან ხოლმე – მისი (ნაირას) ბავშვობა ბევრი არაფრით განსხვავდებოდა სხვა თანატოლების ბავშვობისაგანო, თუმცა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოჯახური ტრადიციები პრიორიტეტულად უბიძგებდა განათლების მაღალი საფეხურებისაკენ, რაც საბოლოოდ იმაში გამოიხატა, რომ ნაირა დიდებულმა ბრწყინვალე შეფასებით დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის რანგში თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა მოსწავლეთა აღზრდის უკეთილშობილეს ეროვნულ საქმეს (№10 სა.შ. სკოლა).

მიღებული აქვს მრავალი სიგელი, დიპლომი თუ წოდება, როგორც დეაწლმოსილ პედაგოგს, მათ შორის საიუბილეო მე-60 წლისთავთან დაკავშირებითაც. იყო საქართველოს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წევრი და ყველაფერი ეს მისი დაუღლეელი შრომისა და უხვად გაცემული სიკეთისათვის ერგო დამსახურებულად.

დღესაც კი საზოგადოების უმრავლესობის აზრის კულმინაციად უნდა მივიჩიოთ ერთ თაიგულად შეკრული მრავალპარამეტრიანი შეფასება-აღიარება: „...გარეგნული თუ შინაგანი სილამაზე, კეთილშობილება, პატიოსნება, სიწმინდისა და სისპეტაკის განსახიერება...“. აი, ასეთი გახლდათ ქალბატონი ნაირა.

მკითხველს ვთავაზობთ მოკლე ამონარიდს ქალბატონ ნაირას შვილის ირმა გოდერძიშვილის მოგონებიდან: „...მან მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა შვილების აღზრდას. პირადად ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ ჩემს პიროვნებაში ჩაედუღაბინა მაღალი სულიერება და კეთილშობილება... მისთვის არაფერს ნიშნავდა მატერიალური სიმდიდრე – სულიერი სიმდიდრე და მაღალი შინაგანი კულტურა იყო მისთვის მთავარი მიზანი და ყველანაირად ცდილობდა, რომ მე წარმატებით მიმეღწია ამ სიმაღლეებისთვის. პატარა ასაკიდანვე მაზიარა კლასიკურ ლიტერატურას; ერთად დავდიოდით თეატრებში თუ კინოთეატრებში, სამხატვრო გამოფენებზე თუ მუზეუმებში, კონცერტებზე და ექსკურსიებზე საქართველოს ღირსშესანიშნაობების გასაცნობად და ა.შ.

როგორც შვილს მერიდება თქმა, რომ დედაჩემი იყო სიკეთის, უანგარობის, თავგანწირვის, ერთგულებისა და გულწრფელობის განსახიერება; იყო უზუმოდ სტუმართმოყვარე დახვეწილი არისტოკრატიული მანერებით, რაც გამოიხატებოდა სიტყვა-პასუხში თუ მოსმენის კულტურაში; მისი ნახელავი ყოველთვის იყო განსაკუთრებული ელფერის მატარებელი...“

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ ქალბატონ ნაირას მისი კოლეგები, რომელთაგან უმრავლესობა მისი მეგობარი იყო, რითაც დღესაც ამაყობენ.

„...დინჯი, სერიოზული, ლამაზი... ყველას მოყვარული და პატივისმცემელი; თვითონაც ყველასგან პატივცემული და დაფასებული; მისი გარდაცვალება მოუშუშებელი ტკივილია ჩემთვის;

ყველას გული გვწყდება, რომ ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან.

ღმერთმა გაუმრავლოს მონაგარი; კარგად უმყოფოს ირმა, რომელიც დედასავით საყვარელი ადამიანია...“

„ნუნუ ონიაშვილი, ისტორიის მასწავლებელი)

„...ნაირა იყო ჩემი მეგობარი და მეზობელი, იგი იყო საუკეთესო დედა, მეგობარი და პედაგოგი (რუსული ენა და ლიტერატურა). არასოდეს ჩაიდენდა ცუდ საქმეს. უყვარდა ოჯახი, რომელიც მისთვის იყო წმინდა საფიცარი. დიდი სახელით და პატივისცემით სარგებლობდა ქ. გორში და მის რაიონში.

ნათელში იყო მისი სული.

(ლილი ლეიშივილი, მეორე სკოლა, ისტორიკოსი)

„...ნაირა იყო პრინციპული, გულისხმიერი, სათნო, საქმეზე უზომოდ შეყვარებული, რომელიც სიტბოს და სიყვარულს ჩუქნიდა თავის მოსწავლეებს და კოლეგებს... ის ჩვენთვის იყო დედობის, სიკეთის, სიყვარულისა და უმაღლესი ღონის პედაგოგობის სანიმუშო მაგალითი...“

(ლია კარელიძე, №10 სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი)

ბანალურია გამოთქმა, რომ ყველაფერს აქვს დასასრული. ძალიან ძნელი წარმოსადგენია ისეთი სიცოცხლის დასასრული, როგორი სიცოცხლითაც იცხოვრა უმშვენიერესმა ქალბატონმა ნაირა დიდებელმა.

იგი აღესრულა 2004 წლის 20 აპრილს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის გოდერძიშვილების საგვარეულო სასაფლაოზე.

ქალბატონი ნაირას ჩანაწერებში არსებობს ასეთი ფრაზები: „წუთი ყოფილა თურმე წუთისოფელი, ხალხო...“ „ღმერთო, მადლობელი ვარ, რომ სხვებს არ ვგავარ...“, „ყველა სახლის კედელ-კუთხე, მაღალო ღმერთო, შენ დალოცე“.

ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, გაგიზიარებთ დიდებულებისა და გოდერძიშვილების მწუხარებას გენიოსი პოეტის უკვდავი სიტყვებით:

„...მაგრამ საწუთრო განა ვისმეს  
დიდხანს ახარებს?!


განქრა ტაძარი – და უდაბნო ჩვენდა მდუმარებს...“  
(ნ. ბარათაშვილი)

## ელიზბარაშვილი ფრიდონი

„ბედნიერია ის, ვისაც

სამშობლოსათვის უბგერს გული...“

(ა. ანტონოვსკაიას შემოქმედებიდან)



ძვირფასო მკითხველო, წიგნის ფორმატი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ვრცლად და ამომწურავად ვისაუბროთ მართლაც რომ ფენომენალურ ოჯახზე, რომელიც ვლადიმერ (ლადო) თედოს ძე ელიზბარაშვილის ოჯახით იყო ცნობილი.

ლადო ელიზბარაშვილი (ამ წერილის მთავარი პერსონაჟის, ფრიდონის მამა) კულაკობის მოტივით 1932 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. გარდაიცვალა 1942 წელს. მისმა მაუღლემ, სოფიო ესტატეს ასულმა გიუნაშვილმა

დიდხანს ვეღარ გაუძლო მძიმე ტკივილს და დარდს და 46 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს. ობლად დარჩნენ: გიორგი, იაკობი, იოსები, ალექსანდრე, ელიზბარი, ფრიდონი და როლანდი. ოთხი უფროსი ძმა მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის პერიპეტეებში (სამწუხაროდ, გიორგი ვერ დაბრუნდა). ობლებზე ზრუნვა და მათი აღზრდა თავის თავზე აიღეს მათმა დეიდამ, ქალბატონმა ანა გიუნაშვილმა და მისმა მეუღლემ სიკო ცაციაშვილმა (შემდგომში სოციალისტური შრომის გმირი). კეთილი ადამიანების გარჯისა და მონღოლმების წყალობით, ობლებმა გადალახეს ყოველი სიძნელე, შექმნეს შრომისმოყვარე და სიყვარულით შეძკული ოჯახები.



**ფრიდონი მეუღლესთან ერთად**

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ლადო თედოს ძე ელიზბარაშვილის ასამდე შვილი, შვილიშვილი და შვილთაშვილი დღეს წარმატებით აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს და ერთგულად ემსახურებიან საკუთარ ქვეყანასა და მშობლიურ ქალაქისა და ქართველი ხალხის ინტერესებს. ბევრი მათგანი ცხოვრობს და მოღვაწეობს საზღვარგარეთ, კერძოდ: ირმა ფრიდონის ასული ელიზბარაშვილი (ექიმი. გერმანია. მიუნჰენი); ნანა ფრიდონის ასული (ბიოლოგი. აშშ. ნიუ-იორკი) და სხვა.

როგორც ახლობლები ამბობენ – ელიზბარაშვილი ლადოს მონაგარს ერთი რამ აერთიანებს – დიდი ოჯახის ტრადიციები და საკუთარი მამულის სიყვარული.

ფრიდონ ელიზბარაშვილმა დაამთავრა ქ. თბილისის №10 საშუალო სკოლა. შემდეგ მოსკოვის ცეკავშირის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი (საზოგადოებრივი ტექნოლოგია).

ბატონმა ფრიდონმა ოჯახი შექმნა ქალბატონ ლუიზა ბიბილაშვილთან (პედაგოგი) ერთად. აღზარდეს სამი ერთიმეორეზე

მშვენიერი ქალიშვილი ნანა, ირმა და თამარი (პროფესიით ექიმი. ცხოვრობს და მოღვაწეობს გორში).

საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული გახლდათ ფრიდონ ელიზბარაშვილის შრომითი გზა. მან დაუღალავი შრომით, ადამიანების უსაზღვრო სიყვარულით, გაჭირვებულების მხარეში დგომით, სტუმართმოყვარეობით, გულწრფელობით და ერთგულებით გამოჰქედა თავისი ბიოგრაფია და კაცურ-კაცობა, იმიტომ იყო, რომ ძმები მას ასე მიმართავდნენ – „ჩვენო გამორჩეულო“.

ფრიდონ ელიზბარაშვილის სახელს დავიწყება არ უწერია.

2019 წლის 19 აპრილს ქართველობას გამოაკლდა ერთი ალაღმართალი და შრომისმოყვარე კაცი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე. დაკრძალულია ქ. გორში, კვერნაქის მთაზე.

„...სიტყვით და საქმით  
იცნობა კაცი,  
კაცის სულშია მისი მშვენება...“  
(მირზა შაფი)

## პანიშვილი თემური

ისეთ პიროვნებას, როგორიც იყო თემური, არ (ვერ) დაივიწყებს საზოგადოება, ოჯახი, ქალაქი, მეზობლები, მეგობრები და ა.შ.

იგი გამორჩეული გახლდათ დახვეწილი სამოქალაქო ყოფაქცევით, პრინციპული ხასიათით, ენერგიულობით და სიკეთისკენ ღტოლვის დაუოკებელი ჟინით.

ვინც მას იცნობდა, აუცილებლად დაგვეთანხმება იმ მოსაზრებაში, რომ თემურისთანა პიროვნებები ალამაზებენ საზოგადოებას.





თემურ ვანიშვილი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ატენში 1939 წლის 8 აპრილს პედაგოგის ოჯახში. მისი მშობლები: პეტრე და ანა ვანიშვილები სამართლიანად ამაყობდნენ თავიანთი შვილით და ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ხელი შეეწყოთ მისი საუკეთესო პერსპექტივის რეალიზაციისთვის.

თემურ ვანიშვილმა დაამთავრა ქ. გორის პირველი საშუალო სკოლა და უმაღლესი განათლების მისაღებად მიაკითხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური

ინსტიტუტის ფიზიკა-წარმოების საფუძვლების ფაკულტეტი.

უმაღლესი განათლების დიპლომით ხელდამშვენებულმა დაიწყო შრომითი მოღვაწეობა და ათეული წლების განმავლობაში იკავებდა ხელმძღვანელ სამეურნეო თუ პარტიულ თანამდებობებს: გორის რაიონის სოფლების (ატენის, ზედღულეთის, შავშვების) სკოლების პედაგოგი და დირექტორი; რაიონული კომიტეტის პარტკაბინეტის გამგე; გაზეთ „გამარჯვების“ რედაქცია (სოფლის მეურნეობის სექტორის ხელმძღვანელი); შიდა ქართლის რეგიონში რადიო-ტელევიზიის კორესპონდენტი; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი; სოც. უზრუნველყოფის განყოფილება და ა.შ.

თემურ ვანიშვილი გამოირჩეოდა თავისი განათლებულობით და მაღალი დონის პასუხისმგებლობით.

თემურ ვანიშვილმა თავისი ცხოვრების უძვირფასეს თანამგზავრთან, ნაილი ფერაძესთან ერთად მამულს აღუზარდა ორი შვილი: ანა (დაამთავრა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახ. ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ჰყავს ორი შვილი) და მამუკა (დაამთავრა შიდა ქართლის რეგიონის საერო უნივერსიტეტი იურიდიული პროფილით, ჰყავს ორი შვილი).



თემურ ვანიშვილს იცნობდა თითქმის ყველა და რაც მთავარია – იგი ყველასთვის მისაღები და სასიამოვნო პიროვნება გახლდათ. გახლდათ-მეთქი, ვთქვი და სინანული მინდა გამოვხატო იმ მწარე რეალობის გამო, რასაც თემურის გარდაცვალება ჰქვია.

ტრაგიკული წუთები და უბედურება მის ოჯახს დაუდგა 2006 წლის 11 თებერვალს.

იმედია, მისი მონაგარი არასდროს დაივიწყებს მართლაც რომ უაღრესად კეთილშობილ კაცს.

დაკრძალულია გორში. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

## ზაუტაშვილი ზინა

ზინა ზაუტაშვილი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში 1935 წლის 15 აპრილს ანდრო ზაუტაშვილისა და სარა ბიძინაშვილის ოჯახში. სწორედ ამ სოფელს უკავშირდება მისი ბავშვობისა და შემდგომი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.



ზინა და შოთა

სულ სამი წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. ერთი ძმა და ოთხი და დარჩნენ უდევლოდ. გაუჭირდა ბატონ ანდროს შვილების აღზრდა, მიტუმეტეს, რომ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ეკონომიკურმა სიძნელეებმა საგრძნობლად დაამძიმეს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება.

ერთ ხანს პატარა ზინა წაიყვანეს თბილისში დეიდასთან; იქ მიიყვანეს საბავშვო ბაღში, რამაც მეტნაკლებად გაუხალისა ცხოვრება. სოფ. ბერშუეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრ-



**ზინა, ქეთინო, ხათუნა, შოთა**

ძო ჯერ სამედიცინო ტექნიკუმში, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. უმაღლესი განათლების დიპლომით ხელდამშვენებულმა პედაგოგობას მიჰყო ხელი და ბერშეეთის საშუალო სკოლაში ასწავლიდა ჯერ ქართულ ენასა და ლიტერატურას, ხოლო მომდევნო წლებში ისტორიას.

ცხოვრებამ ქალბატონი ზინა მიიყვანა გორის საკონსერვო ქარხნის საბავშვო ბაღში აღმზრდელად.

ამავე ქარხანაში წამყვან მექანიკოსად მუშაობდა მისი თანასოფელელი შოთა ჯავახიშვილი. ისინი 1940 წლიდან იცნობდნენ ერთმანეთს და ბედმა ისე განკარგა, რომ ერთმანეთს დაუკავშირეს მომავალი ცხოვრება და იქორწინეს 1960 წელს (11 სექტემბერს).

შეიქმნა შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ინტელიგენტთა ლამაზი ოჯახი, სადაც იშვა და აღიზარდა ორი უმშვენიერესი გოგონა ქეთინო და ხათუნა.

ზინა ზაუტაშვილის დაუღალავი შრომის მომსწრენი და ოჯახის ახლობლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და შინაგან კულტურას თავდაუზოგავად და დიდი სითბოს თანხლებით გადასცემდა აღსაზრდელებს, რამაც მას მოუტანა საყოველთაო აღიარება და პატივისცემა მადლიერი საზოგადოებისა და აღსაზრდელთა მშობლების მხრიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქალბატონი ზინა გახლდათ საოცარი მკითხველი. კითხულობდა ყველაფერს, კითხულობდა ბევრს და შექენილ ცოდნას საკუთარი დასკვნებით და ინტერპრეტაციით გადასცემდა სხვებს, განსაკუთრებით კი პატარა აღსაზრდელებს. განათლებულ თაობებში ხედავდა იგი ქვეყნის წარმატებულ აღმშენებლობას და გაბრწყინებას.

ზინა იშვიათი ადამიანი გახლდათ თუნდაც იმიტომ, რომ მათემატიკის სიყვარულთან ერთად იზიდავდა და დაინტერესებულნი იყო ისტორიით, გეოგრაფიით, ქართული ენის სიწმინდის პრობლემებით და ა.შ. შინაგანი რომანტიკული განწყობით კი იგი გვევლინებოდა პოეზიის მოყვარულ და მოტრფიალედ ადამიანად.

1992 წელს ქალბატონმა ზინამ შეწყვიტა საბავშვო ბაღში მუშაობა და მთელი თავისი შესაძლებლობები მიმართა შვილიშვილებისაკენ. მან იდეალურად მოირგო ბებიის როლი და ლომის წილი გაიღო ხუთი შვილიშვილის აღზრდისა და სწორ გზაზე დაყენების უმნიშვნელოვანეს საქმეში. იგი საკუთარ ცოდნას და უნიკალურ გამოცდილებას უზიარებდა მათ და პრაქტიკული მაგალითებით უმტკიცებდა რწმენას ამათუიშ სიტუაციაში სწორი აზროვნებისა და ქმედების აუცილებლობის შესახებ.

ზინა ზაუტაშვილი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აკეთებდა რაღაც ჩანაწერებს და სათუთად ინახავდა. მოვიყვანთ ერთ პატარა ჩანაწერს, საიდანაც ჩანს ქალბატონი ზინას პოზიცია პატრიოტიზმის მცნებასთან დაკავშირებით: „...ჩემო ლამაზო ქვეყნაჲ, რომ არ გვედებოდე, შენი დარდი და ვარამი მაინც მომკლავს. არ დაადგა საშველი შენს გაბრწყინებას. ვერ მოვიდა შენამდე ის ყრმა, ვისიც არ ითქმის სახელი და ვისაც დღედაღამ ვნატრობთ...“


ქალბატონი ზინა ზაუტაშვილი გარდაიცვალა 2019 წლის 22 აგვისტოს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ბერშუეთში მეუღლის შოთა ჯავახიშვილის გვერდით.

ამონარიდი მისი ანდერძიდან: „...თქვენ, ჩემო აქაურებო, – გიყვარდეთ ერთმანეთი. მე ისე მიყვარხართ, რომ ყველას გულში ჩახუტება მინდება. გაუფრთხილდით ერთმანეთს, დაიცავით ერთმანეთი ყოველდღიური უსიამოვნო წვრილმანებისგან. ეცადეთ გაიხანგრძლივოთ სიცოცხლე, ის მეორედ აღარ მოგეცემათ...“

ნათელი არ მოჰკლებოდეს უკეთილშობილესი ქალბატონის სულს. გვწამს, რომ ღირსეული მონაგარი არასდროს დაივიწყებს უძვირფასეს წინაპარს.

## ზაუტაშვილი ციური

„...დავიწყებული დარდები,  
უეცრად ამოტივტივდნენ,  
თოვლივით შუბლზე მადნები,  
გაგისხენებ და ვიტირებ.  
სულის და გულის ნაწილო,  
ჩემში მზესავით ციმციმებ...  
ვის უნდა გაუუნაწილო,  
შენი დაკარგვის სიმძიმე?!  
ამ წყეულს ვერა ხედნიან  
(შეუსმენელი ბერწია)...  
სიკვდილი ყველას ხვედრია,  
შენ ჯალათივით გეწვია...“



ქალბატონი ციური ზაუტაშვილის უახლოესი და უსაყვარლესი ნათესავის, დეაწლმოსილი პოეტის, აკაკი ბიძინაშვილის მოყვანილი ლექსი ხატოვნად გადმოსცემს უბრწყინვალესი ქალბატონის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის სიმძაფრეს, რამაც მოიცვა საზოგადოების ფართო ნაწილი და ოჯახის წევრები, თუ ახლობელ-ნათესავები და მეგობრები.

ციური ზაუტაშვილი დაიბადა 1938 წლის 8 მარტს ქართული ტრადიციების თაყვანისმცემელ ოჯახში. მისი მამა, ბატონი რომანი იმდროისთვის გახლდათ ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი. ის დრო იყო, როცა ევროპაში აშკარად იგრძნობოდა და იკვეთებოდა მეორე მსოფლიო ომის კონტურები. ქვეყანაში სუფევდა მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ატმოსფერო, საერთო დაძაბულობა იგრძნობოდა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ასეთ პირობებში ძნელი იყო სამი ბავშვის აღზრდა, მაგრამ ბატონი რომანისა და მისი ბრწყინვალე მეუღლის ქეთევან ენუქიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი რუდუნებითა და გარჯით არაფერი მოაკლეს შვილებს (გურამი, თამაზი, ციური) და ყველაფერი გააკეთეს, რომ ისინი ცხოვრების სწორ გზას გაჰყვოდნენ. სიტუაცია კი უფრო და-

იბაბა, რადგან ევროპა უკვე ჩაფლულიყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდებში.

ქალბატონი ციურისა და ბატონი რომანის ყოველდღიურმა დაბ-  
აბულმა შრომამ გამოიღო თავისი სასიკეთო შედეგი – სამივე შგ-  
ილმა ერთიმეორის მიყოლებით წარმატებით დაამთავრეს თბილი-  
სის №62 საშუალო სკოლა და ოქროს მედლები დაიმსახურეს.  
შემდგომ წლებში კი ბეჯითი სწავლით მოიპოვეს სხვადასხვა  
უმაღლესი სასწავლებლის ე.წ. წითელი დიპლომები.

ციური ზაუტაშვილი გატაცებული იყო მხატვრული ტან-  
ვარჯიშით. ამ სფეროშიც წარმატებული იყო მისი მოღვაწეობა,  
რაზედაც მეტყველებს გამარჯვებულის რამდენიმე ჯილდო.

შრომითი მოღვაწეობა ციური ზაუტაშვილმა დაიწყო გორის ბამ-  
ბეულის ქსოვილების კომბინატში, სადაც იმუშავა სხვადასხვა საპა-  
სუხისმგებლო თანამდებობაზე ათეულობით წლების განმავლობაში.

შრომით ფრონტზეც საკმაოდ წარმატებული გახლდათ ქალ-  
ბატონი ციური. ხელმძღვანელობამ დააფასა მისი თავგამოდებუ-  
ლი შრომა და არაერთხელ დააჯილდოვეს სიგელით, დიპლომით,  
პრემიით და ა.შ.

შრომის ფერხულში ჩართულ ციურის კარზე მიუკაკუნა სი-



ყვარულმა. მისი გული  
მოინადირა შესაშური  
ადამიანური თვისებებით  
შემკულმა, წარმატებულ-  
მა სპორტსმენმა, წარმო-  
მავლობით რაჭის ულა-  
მაზეს სოფელ ირიდან,  
ბეჟან ექვთიმეს ძე გაგ-  
ნიძემ და სულ მალე  
ქვეყანას შეემატა სიყვარ-  
ულით გაცისკროვნებუ-  
ლი კიდევ ერთი ოჯახი.

იხარა ჭერმა. გაიხარ-  
ეს ზაუტაშვილებისა და  
გაგნიძეების სანათესაო-  
ბებმა.

ბეჟან გაგნიძე, ციური ზაუტაშვილი



**ქალბატონი ციური შვილებთან (მარცხნიდან) ზურაბი, ქეთევანი, ნინო**

ქალბატონმა ციურიმ და ბატონმა ბეჟანმა (წარმატებული პარტიულ-სამეურნეო მუშაკი. წლების განმავლობაში იღწვოდა წამყვან თანამდებობებზე, მათ შორის საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში) ქვეყანას აღუზარდეს ერთიმეორეზე უკეთესი და დღეს საამაყო გორელებად ცნობილი სამი შვილი ზურაბი, ნინო, ქეთევანი.

ქალბატონი ციური ზაუტაშვილი საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, როგორც ბამბეულის ქსოვილების მრავალათასიან კომბინატში ისე საზოგადოების ფართო წრეებში, ნათესავ-მეგობრებში და მეზობლებში.

სამწუხაროდ, ხანდაზმულ ასაკში მყოფ ქალბატონ ციურის ძლიერ დაუქვეითდა მხედველობა, რასაც მტკივნეულად განიცდიდა, თუმცა ამაყობდა თავისი მრავალრიცხოვანი მონაგარით, მათი სწავლა-განათლებით, შრომითი მიღწევებით და მათი მრავალი კეთილმოსურნეებით. განსაკუთრებით ეამაყებოდა შვილიშვილი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, რომელმაც თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მოიპოვა ყველა დონისა და ყველა მასშტაბის მსოფლიოში არსებული ოქროს მედალი.



**მარცხნიდან - ზინა და ციური  
ზაუტაშვილები**

ამონარიდი ისევ აკაკი ბიძი-  
ნაშვილის ადრეული ლექსიდან:

„...არა, ტყუილად არ გაქებ,  
ჩემს სიტყვას უნდა ენდო,  
ციური მიტომ დაგარქევს,  
ციდან მოფრინდი ერთდროს.  
ოქროს ნაწნავი გეყარა,  
ხარობდნენ შენი ცქერით,  
სულ შენი იყო ქვეყანა,  
მზის სხივის გქონდა ფერი...“

სამწუხაროდ, ვეღარ დავტკ-  
ბებით მზის სხივის ფერისა და  
ოქროს ნაწნავებით დამშვენ-  
ებული ქალბატონის ცქერით.  
ქალბატონი ციური ზაუტაშვი-  
ლი გარდაიცვალა 2019 წელს.  
დაკრძალულია გორში, კვერ-  
ნაქის მთაზე მეუღლის გვერ-  
დით.


ქალბატონი ციურის ოჯა-  
ხის, მისი შვილის ნინოს უახ-  
ლოესი მეგობრის ნანა კვარიანთაშვილის მოგონებიდან: „...ვინც  
მას (ციური დეიდას) იცნობდა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ  
იგი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი – თბილი, ტკბილი, ოდნავ  
ბავშვურიც კი.

არ მეგულება მასზე კეთილშობილი ადამიანი. არავის სმენია  
მისგან ვინმეზე ცუდი, თუნდაც ერთი სიტყვა. შეყვარებული იყო  
სამშობლოზე, ქართულ ლიტერატურაზე. ამაცობდა თავისი დიდი  
და ლამაზი ოჯახით, განსაკუთრებით კი შვილიშვილებით.

მას დავიწყება არ უწერია. ყოველთვის თბილად მოვიგონებთ.  
ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს...“

# თოროზაშვილი გურამი

გასული საუკუნის 60-იან წლებში გორელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი კეთილი შურით იყო განწყობილი ფოტოზე (64 გვერდი) გამოსახული ულამაზესი ტანდემის მიმართ, ერთის მხრივ იმის გამო, რომ სხვამ ვერაფერს შესძლო ცისანა კაჭკაჭიშვილის გულის მონადირება და მეორეს მხრივ – გურამ თოროზაშვილმა არ ისურვა თავისი მთელი ცხოვრების სხვასთან შეკავშირება.



ამ ორმა მონახა ერთმანეთი, შეუღლდნენ და შექმნეს სამაგალითო ოჯახი, სადაც აღიზარდნენ მათი ბრწყინვალე შვილები: დავითი, არჩილი და ირინა.

ყველაფერი კი დაიწყო 1938 წლის 22 აგვისტოს, როცა ანდრო თოროზაშვილისა (ვაჭრობის სამინისტროს ქ. გორის სექტორის მუშაკი) და ივლიტა რევაზიშვილის (დიასახლისი) ოჯახში ქვეყანას მოეველინა გურამი.

აღნიშნულ ოჯახში აღიზარდნენ გურამის დები: ნათელა (მუშაობდა გორვაჭრობის სფეროში სანიტარულ ექიმად) და თამარი (პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი. მუშაობდა რუსთავეის მეტალურგიულ კომბინატში).

გურამ თოროზაშვილმა პატარა ასაკიდანვე გამოამჟღავნა სწავლისადმი ლტოლვა. ჯერ იყო და საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ წლებში – ჯერ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი (ფიზიკა და წარმოების საფუძვლების ფაკულტეტი), შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი).

გურამმა თავისი საკმაოდ მრავალმხრივი განათლება გამოი-



ყენა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში (სფეროში) და სხვადასხვა თანამდებობაზე.

შრომითი ეტაპების მოკლე ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: გორის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი (ტექნიკოსი); მშენებლობის სამინისტროს №9 ტრესტი (ცვლის ოსტატი, საამქროს უფროსი, 1971 წლიდან კი მთავარი ინჟინერი); ტრესტ „მშენინდუსტრიის“ №5 რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარი ინჟინერი; №9 საამშენებლო ტრესტის ბინათმშენებლობის კომბინატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ მთ. ინჟინერი და ბოლოს დირექტორი და სხვა).

მთავარი კი ის გახლავთ, რომ გურამმა ყველგან, სადაც კი იმუშავა, დატოვა წარუშლელი კვალი უპირველეს ყოვლისა თავისი მაღალი დონის პროფესიონალიზმის და მეორეს მხრივ კი მონღომების, მიზანდასახულობის, პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის წყალობით.

1978 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორიოდე წლით შეწყვიტა შრომითი მოღვაწეობა, თუმცა უკვე 1980 წლიდან მუშაობა განაგრძო გორის წისქვილკომბინატში წამყვან ოსტატად.



ცისანა და გურამი

აღსანიშნავია, რომ გურამ თოროზაშვილი თავისი სიმალლის, სწრაფი აზროვნებისა და გადაადგილების წყალობით წარმატებით თამაშობდა კალათბურთს.

ჰყავდა ძალიან დიდი სამეგობრო, ისევე და ისევე არაჩვეულებრივად თბილი და კეთილი ხასიათისა და მომხიბვლელი კომუნიკაბელურობის მემკვიდრით. მას ყველა უყვარდა და იგი ყველას უყვარდა. შეფასება ერთგვაროვანია და საყოველთაო: ახლობლების მოყვარული, უღალატო, გულისხმიერი, უბოროტო, ენერგიული, სამშობლოზე შეყვარებული, განსაკუთრებული მეოჯახე და ა.შ.



**დავითი, არჩილი, ირინა**

გურამის მეუღლე ქალბატონი ცისანა კაჭკაჭიშვილი ემსახურება სკოლამდელთა ასაკის ბავშვთა აღზრდის უკეთესობილეს საქმეს.

შვილები: დავითი პროფესიით ინჟინერ-მელიორატორია, არჩილი – ეკონომისტი, ხოლო ირინა – სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგია.

გურამისა და ცისანას დიდ ოჯახს აღამაზებენ ასევე: რძლები – მარიამ ბუთურიშვილი, ნინო ფაჩოშვილი, ნინი თოლორაია; სიძე – ვეფხვი ბუჭულაშვილი; შვილიშვილები – ნიკა, ცისია, გურიკა; შვილთაშვილები – დათა და ვახე.

ცისია თოროზაშვილი მოღვაწეობს დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრ „იანანაში“ და ასევე „გორმედის“ კარდიოლოგიურ განყოფილებაში.

გურამ თოროზაშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 1 მარტს გულის მწვავე შეტევით. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს ჭემშარიტი გორელის სული.


## კიკნაძე ზაური

წინამდებარე წიგნი, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვრცლად ისაუბრო პიროვნებაზე, რომლის შესაქებადაც შეიძლება არც კი გვეყოს განმარტებით ლექსიკონებში თავმოყრილი მოსაფერებელი ჟანრის ეპითეტები.

კარგად ვიცნობდი რა მის პიროვნებას, თავს უფლებას მივცემ მისი მისამართით გამოვიყენო რამდენიმე სიტყვა: ზაურ კიკნაძე გახლდათ განსაკუთრებულად თბილი ადამიანი, ამ სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც;

მისთვის დამახასიათებელი იყო აუღელვებელი, დინჯი საუბარი და შესაბამისი ტემპით მოქმედებაც. დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ იგი ვერასდროს ვერაფერს მოასწრებდა, მაგრამ ასე არ გახლდათ – თავისი ცოდნის, გამოცდილებისა და დაკვირვებულობის წყალობით ყველაფერს ასწრებდა და თანაც მიმზიდველი ღიმილით. მისი ღიმილი, შესტიკულაცია, სიარულის მანერა, წინადადებების წყობის სტილი, ზომიერი ხმით საუბარი და საყოფაცხოვრებო კულტურის დონე მისი გაცნობისთანავე გაიძულებდათ დარწმუნებით გეთქვათ: „ეს ის კაცია, რომელსაც არ ძალუძს ცუდის კეთება“, „ეს ის კაცია, რომელიც დააკლდა ყველას“.

ღიახ, ზაურ კიკნაძე იყო ადამიანი, რომელიც ქვეყანას მოეველინა მხოლოდ სიკეთის საკეთებლად თავისი ოჯახისთვის, ქალაქისთვის, მეზობელ-მეგობრებისთვის, ქვეყნისთვის. და, აკეთა კიდევ; აშენა კიდევ; გასცა კიდევ; მოიმკო კიდევ; და რაც ყველაზე მთავარია – მან, ზაურ კიკნაძემ, თავისი კაიკაცობით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი არამარტო ოჯახის წევრების,



არამედ ათასობით ნორმალურად მოაზროვნე ადამიანთა გულებშიც.

ზაურ კიკნაძეს უყვარდა და მეც შემაყვარა იტალიური სიტყვა „ჩაო“, რომელსაც ხშირად ვიყენებდით მისასალმებლადაც, გამოსამშვიდობებლადაც, უბრალოდ გასახუმრებლადაც და ა.შ. სატელეფონო საუბრებისასაც ხშირად მივმართავდით ერთმანეთს ამ სიტყვით.

საოცრად თბილ და ტკბილ ოჯახში (ბატონი შალვა და ქალბატონი ფაჩიკო) დაიბადა (1935 წ. 16 იანვარი) და აღიზარდა ზაურ კიკნაძე, იგივე „ჩაო“. ოჯახში აღიზარდა ასევე მისი ძმა ვიტალი, რომელმაც გორის საყოფაცხოვრებო პროფილის სხვადასხვა სფეროში აქტიური და წარმატებული მოღვაწეობით არაერთხელ დაიმსახურა საყოველთაო მოწონება.

ზაურ კიკნაძემ და თქვენმა მონა-მორჩილმა თითქმის ოცდაათი წელი ვიმუშავეთ გვერდი-გვერდ გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მომსწრე გახლავართ იმისა, თუ რა ხშირად იმსახურებდა ხოლმე ზაურ კიკნაძე შექებას, მადლობას და სხვა ჯილდოს წარმატებული მუშაობისათვის. მან წლების განმავლობაში იმუშავა ასევე გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში, სადაც ბავშვებს ასწავლიდა ელექტრობას და შესაბამის ხელსაწყოებთან მუშაობას.

მის მიერ განსწავლულმა ბევრმა ბავშვმა მომავალში გზა გაიკვლია უფრო მაღალი ტექნიკური დონის მქონე სამეცნიერო დაწესებულებების ლაბორატორიებისაკენ.

დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ზაურ კიკნაძესთან ერთად სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნა. ისე გადაგატანინებდა და გაგიადვილებდა ყველაფერს, რომ თავს იგრძნობდი საკუთარ სახლში მოგუზგუზე ბუხრის წინ გაშლილ სუფრასთან მეგობართა წრეში.

წარმატებული მუშაობისათვის ზაურ კიკნაძეს არ მოჰკლებია ასევე ფულადი პრემიები და სხვადასხვა საპატიო სიგელები.

წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მომარაგების განყოფილებას და შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო გეგმის შესრულება ბევრად იყო დამოკიდებული მისი მუშაობის ხარისხზე.

განსაკუთრებით მიმზიდველი, საინტერესო და საყვარელი იყო ზაურ კიკნაძე ე.წ. კაფე-სალამოებზე. ყველას მის მაგიდასთან უნდოდა ჯდომა, ყველა გოგოს მასთან უნდოდა ცეკვა.

მთავარი ცხოვრებისეული ცეკვა ზაურ კიკნაძემ მიუძღვნა მაყვალა დათუნაშვილს, რომელიც მომავალში მისი მეუღლე გახდა.

შეხმატკბილებულმა ცოლ-ქმარმა მალე დაიმსახურა ნათესაეების, მეზობლების, მეგობრების და კოლეგების ყურადღება და პატივისცემა. შეიძლება ითქვას, რომ მათი ოჯახიდან არემარეს ეფინებოდა საოცარი სითბო და ალერსი, მხარდაჭერის სურვილი და კეთილგანწყობა, თანაგრძნობისა და თანამონაწილეობის დაუოკებელი სურვილი და ა.შ.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ბატონმა ზაურიმ და ქალბატონმა მაყვალამ აღზარდეს ბრწყინვალე გოგონა, სახელად ქეთევანი, რომელმაც თავის მხრივ ქვეყანას აჩუქა ერთიმეორეზე უკეთესი ორი შვილი – მაკო და გიორგი.

ქეთევანი გახლავთ უმაღლესი განათლების ეკონომისტი, რომელიც ამჟამად მუშაობს ადმინისტრირების სფეროში. ზაურ კიკნაძის შვილიშვილები კი ჯერჯერობით მოსწავლეები არიან.

**„...მაგრამ საწუთრო განა ვისმეს  
დიდხანს ახარებს?!“**

**(ნ. ბარათაშვილი)**

და მოგროვდა ზაურ კიკნაძის ოჯახის თავზე ცუდის მომასწავლებელი შავი ღრუბელი. გარდაიცვალა ქალბატონი მაყვალა და ფრთამოტეხილი დაგვიტოვა ზაურ კიკნაძე, ყველასათვის საყვარელი კაცი – „ჩაო“.

დაქვრივებულ კაცს ძალას ჰმატებდა ის აუცილებელი გარემოება, რასაც მონაგარზე ზრუნვა და მათი სწორ საცხოვრისო გზაზე დაყენება ჰქვია. შვილთან (ქეთევანთან) ერთად მთელი არსებით გადაერთო შვილიშვილების საკეთილდღეო ზრუნვაზე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობა გადაედოა წინ და რამდენიმე წლის „ბრძოლის“ შემდეგ მუხთალმა სიკვდილმა მანაც „გაიმარჯვა“.

2019 წლის 21 აგვისტოს გარდაიცვალა ცხოვრების უკუღმართობით გადაღლილი კაცი და იგი უკანასკნელი სამყოფელისკენ

თვალდანამუღმა საზოგადოებამ გააცვილა. დაკრძალულია გორში, კვერნაქის მთაზე.

ნათელში იყო მისი სული.

„...აქაც კარგი კაცი იყო,

იქ ნათელი დაადგეს...“

(მესტერი)

## მეზვრიშვილი არტემი



ხანდაზმულ გორელებს კარგად ახსოვთ ქალაქში ამაყად მოსიარულე მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოების ფართო წრეების ყურადღების არეალში იყო თავისი პროფესიული აქტიურობით, ადამიანებისადმი ყურადღებით და რაც მთავარია, საქმისადმი საზოგადოებრივი და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

არტემ მეზვრიშვილი დაიბადა 1925 წელს მოსამსახურის, პროფესიით ეკონომისტის ილია მეზვრიშვილის ოჯახში. არტემის დედა,

ქალბატონი შუშანა მურაჩაშვილი გახლდათ მეყდრო ოჯახის დიასახლისი. არტემის მამა, ბატონი ილია მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ვაჭრობის სფეროში.

არტემმა 1943 წელს დაამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ე.წ. საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტი. აღნიშნული ფილიალის დიპლომს იგი დაეუფლა 1949 წელს და შეუდგა მუშაობას.

მისი შრომითი ბიოგრაფიის პირველი საფეხური გახლდათ გორში გამომავალი გაზეთ „გორის“ კორესპონდენტობა. შემდეგ

წლებში კი ჯერ იყო რედაქციის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების წამყვანი, მერე კი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი.

არტემს მუშაობა მოუწია ასევე ქ. გორის პროკურატურის გამომძიებლად (1962-1965 წ.წ.).

1965-1976 წლებში არტემ მეზვრიშვილი მუშაობდა სახალხო მოსამართლედ. 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ადვოკატთა რესპუბლიკური კოლეგიის წევრი.

ღვაწდომოსილი სპეციალისტი გარდაიცვალა 1979 წლის 13 სექტემბერს. დაკრძალულია გორში.



**ნათელა ჩებინაშვილი**

არტემის მეუღლე გახლდათ ნათელა ლევანის ასული ჩებინაშვილი, პროფესიით ფილოლოგი, დამსახურებული პედაგოგი. ქალბატონი ნათელა დაიბადა 1928 წლის 20 ნოემბერს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გორის №10 საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ქვეყანას აღუზარდა ორი ერთმანეთზე უკეთესი შვილი, რევაზ მეზვრიშვილი (ინჟინერი, მშენებლობის უსაფრთხოების სფეროში. ამჟამად მუშაობს ჩინურ კომპანიაში) და ნინო მეზ-

ვრიშვილი (ექიმი-პედიატრი).

ქალბატონი ნათელა ჩებინაშვილი გარდაიცვალა 1992 წლის 15 იანვარს.

არტემ მეზვრიშვილისა და ნათელა ჩებინაშვილების შვილიშვილები არიან: ნათია მეზვრიშვილი (იურისტი, ადმინისტრაციის უფროსი); ანა მეზვრიშვილი (ეკონომისტი, მუშაობს ეროვნულ ბანკში), ქეთევან მეზვრიშვილი (იურისტი); თორნიკე ვათიაშვილი (იურისტი, შსს) და გიორგი ვათიაშვილი (იურისტი).


ღმერთმა კარგად ამყოფოს და ამრავლოს არტემისა და ნათელას მონაგარი, რათა არასდროს მიეცეს დავიწყებას ძვირფასი წინაპარი. ნათელი მოჰფენოდეს მათ სულებს.

# პაპელიშვილი ბიორბი

„...დე, ყოველი შენი საქმე ისეთი იყოს,  
რომ დასასრულის წინ ხალისით გაიხსენო!“  
(მარკუს აგრელიუსი)

გიორგის კარგად იცნობდნენ გორში და ღირსეულ პატივსაც მიაგებდნენ მშვენიერი ოჯახისა და კაცთმოყვარეობის გამო.

XX საუკუნის საწყისებიდან მოდის მისი ცხოვრება. დაიბადა 1916 წლის 25 დეკემბერს (ქრისტეშობის დღეს) მოსამსახურის ოჯახში. გიორგის მამა ირაკლი პაპელიშვილი გახლდათ ღვაწლმოსილი პედაგოგი, ხოლო დედა ოლღა ეგნატაშვილი – დიასახლისი.



გიორგი პაპელიშვილმა სწავლის საწყისი ეტაპი გაიარა გორში, შემდეგ კი დაამთავრა თბილისის გეოდეზიის ტექნიკუმი. მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა გიორგის დროზე და წარმატებულად აეღო შრომითი ბიოგრაფიის სტარტი, თუმცა მისი შემდგომი ცხოვრება ნამდვილად იყო დატვირთული, საინტერესო და ნაყოფიერი.

ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება სამოქალაქო ცხოვრების ფერხულში და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და აღორძინების ისტორიულ ეპოპეაში.

დრო თავისას მოითხოვდა და გიორგიმაც ფრონტიდან ერთ-ერთი მცირევადიანი შევებულების დროს „თვალი დაადგა“ მშვენიერ გოგონას ქეთევან კოშაძეს, რომელთანაც ერთად მალევე შექმნა ოჯახი, სადაც გაიზარდა სამი შვილი: ირაკ-



ლი პაპელიშვილი (1945 წლის 15 ოქტომბერი), ოლღა (1948 წ. 12 მაისი) და ოთარი (1956 წ. 25 თებერვალი).

ოჯახის პირველმა ვაჟიშვილმა ირაკლი გიორგის ძე პაპელიშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა გორის რაიონის სოფ. ვარიანის მეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ. იყო მუსიკალურობით გამორჩეული და სხვადასხვა წლებში მონაწილეობას იღებდა მუსიკალურ საღამო-ღონისძიებებში. გიორგის



**ირაკლი პაპელიშვილი შვილთან ერთად**

ქალიშვილმა ოლიკომ (ოლღამ) ასევე დაამთავრა პედინსტიტუტი და აქტიურად იყო ჩართული კავშირგაბმულობის სისტემის „სოიუზპეჩატის“ ორგანოების მუშაობაში.

გიორგი პაპელიშვილისა და ქეთევან კოშაძის მესამე შვილმა ოთარმა უმაღლესი განათლება (აგრონომი) მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში.

ოთარიმ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ თავისი შესაძლებლობები, პროფესიის გარდა, მოახმარა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას – კომკავშირულ ორგანიზაციებში, რაიონული საბჭოს აღმასკომში, ეროვნულ გვარდიაში, გორის №1 სამხედრო სასწავლო ცენტრში და სხვა. ბოლოს №2 სატანკო ბატალიონის მეთაურად განაწესეს და აქაც ისახელა თავი ნაყოფიერი გარჯით.

ოთარი ამჟამად პენსიონერია.

გორში გიორგი პაპელიშვილის ოჯახი ითვლებოდა ერთ-ერთ სტუმართმოყვარე, შრომისმოყვარე და ბედნიერ ოჯახად მანამ არ დადგა ტრაგედიის დღე, როცა გარდაიცვალა ქალბატონი ქეთევანი. მძიმე მწუხარებამ მოიცვა პაპელიშვილების მონაგარი. იღვა 1983 წლის 4 ნოემბერი.

გიორგი პაპელიშვილმა მიიღო მძიმე დარტყმა, რომ იტყვიან ხოლმე, ფრთამოტეხილივით გამოიყურებოდა, დიდხანს ვეღარ გაუძლო დარდს და აღესრულა 1988 წლის 14 ოქტომბერს.

მტკივნეულად წარიმართა პაპელიშვილების ოჯახის შემდგომი ცხოვრება. სამწუხაროდ, სულ რაღაც 50 წლის ასაკში გარდაიცვალა ირაკლი გიორგის ძე პაპელიშვილი. ეს უბედურება ოჯახს დაატყდა 1995 წლის 28 ნოემბერს.

მშობლები და მათი უფროსი ვაჟიშვილი დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს მათი სულები. გვწამს, რომ შთამომავლები არასოდეს მისცემენ დავიწყებას ძვირფასი წინაპრების ხსოვნას.

მომგონებლები და გამხსენებლები არიან:

ირაკლის შვილები – ქეთინო და ანა; ოლლა (ოლიკო) და მისი შვილი ნატო; ოთარი და მისი შვილები გიორგი და ანა.



ქეთევან კოშვაძე

**„კაცურკაცობით იცხოვრე,  
ტოლი არ გყავდათ – ვიცით...  
ღმერთს ვთხოვთ, იმქვეყნად იცხონეთ,  
სანთლის წინ თქმული ფიცით...“**

# რუსიშვილი კარლო



„...ჭეშმარიტების გზას  
ვინც დაადგა –  
ის არა კვდება...“  
(ჯორჯ ჰერბერტი)

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიიავტომატ-პრომი“) გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უცნაური ფუს-ფუსი, ჯგუფ-ჯგუფად მდგომთა შორის რაღაცნაირი გადაძახილები და ცალკეული თანამშრომლების გაოცებული და იმავდროულად აღტაცებული და ამაყი შესიტყვებების უჩვეულო „კორიანტელი“ იდგა. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა –

წინა დღით სამსახურში მიუღიათ ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც ბრწყინვალედ გაუვლია გასაუბრებების და შემოწმებების მთელი კასკადი და უბრალოებით, თავმდაბლობით და შინაგანი კულტურის მაღალი დონით და, რაც ყველაზე მთავარია, პროფესიონალიზმით თავი მოუწონებია ყველა გამომცდელისთვის თუ თანამდებობის პირისთვის. ეს ახალგაზრდა სპეციალისტი გახლდათ კარლო რუსიშვილი, რომელმაც შემდგომ წლებში, თავისი ნაყოფიერი შრომით დაამტკიცა, რომ მისი ადგილი სწორედ რომ კვლევით-სამეცნიერო ორგანიზაციაში იყო, სადაც მას, როგორც ელექტრონიკის სპეციალისტს, ეხსნებოდა საინტერესო პერსპექტივა.


კარლო რუსიშვილი დაიბადა ქ. გორში 1941 წლის 10 ივნისს. მამა, ვლადიმერ რუსიშვილი გარდაიცვალა ადრეულ ასაკში. კარლოს დედა, ქალბატონი ოლღა ხანიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა გორის რაიონულ საავადმყოფოში. ნათე-


საე-ახლობლები მას ახასიათებენ როგორც გამრჯე ქალბატონს. კარლოს გარდა ოჯახში აღიზარდა კიდევ ერთი ვაჟი და ორი გოგო (სამწუხაროდ, გარდაცვლილები არიან).

კარლო რუსიშვილმა დაამთავრა ქ. გორის №1 საშუალო სკოლა. აღისრულა ბავშვობის ოცნება და სულ მალე შეისწავლა ტელემექანიკა და მრავალი წელი იმუშავა „ნიავტომატპრომში“ (მისი არსებობის თითქმის ბოლო დღეებამდე) და თავისი ცოდნით, მონდომებით და მაღალი პასუხისმგებლობის განცდით ბევრ საინტერესო კვლევით სამუშაოში მიიღო მონაწილეობა და თავისი სასიკეთო წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ახალი ტექნიკით აღჭურვის საქმეში. კვლევითი ინსტიტუტის დახურვის შემდეგ მუშაობდა ქალაქ გორის ერთ-ერთ ტელეატელიეში, ხოლო მოგვიანებით კი საკუთარ ბინაში გახსნილ ტელე-სახელოსნოში.

1965 წელს კარლო რუსიშვილმა და ნუნუ ლომოურმა შექმნეს ტკბილი და მშრომელი ოჯახი. მოსიყვარულე მეუღლეებმა დიდი რუდუნებით აღზარდეს სამი ერთიმეორეზე მშვენიერი ქალიშვილი: ლია რუსიშვილი (1966 წ. 4 მაისი; მეთოდისტი, მასაჟის სპეციალისტი); ირმა რუსიშვილი (1968 წ. 9 მაისი. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ისტორიკოსი. ამჟამად ღიასახლისი); ნათია რუსიშვილი (1976 წ. 19 სექტემბერი. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამჟამად არის ბანკის თანამშრომელი).

კარლო რუსიშვილი ადრეულ ასაკში დაინტერესებული იყო სპორტის ისეთი პოპულარული სახეობით, როგორცაა ჭიდაობა და ვარჯიშობდა ისეთი პროფესიონალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, როგორც გახლავთ გურამ პაპიტაშვილი. დასნანია, რომ





კარლო ბოლომდე არ მიჰყვა სპორტის შერჩეულ სახეობას, თორემ ვფიქრობთ, რომ აქაც ისევე წარმატებული იქნებოდა, როგორც ძირითად პროფესიაში, სადაც მიღებული ჰქონდა სიგელები, პრემიები და მადლობები.

კარლო რუსიშვილისა და ნუნუ ლომოურის შვილიშვილები არიან: გიორგი განჯგელაშვილი (დაამთავრა გორის უნივერსიტეტი მცირე ბიზნესის სპეციალობით); ციცი არჩუაძე (სკოლის მოსწავლე, მე-9 კლ.); თამარ და ლაშა დვალიშვილები (სკოლის მოსწავლეები),

ხოლო შვილთაშვილები – ანასტასია (7 წლის) და ერეკლე (5 წლის).

სამწუხაროდ, კარლო რუსიშვილს არ დასცალდა ბოლომდე გაეხარა და დამტკბარიყო მონაგარის ცხოვრებისეული პერიპეტეებით. კარლო გარდაიცვალა 2015 წლის 29 სექტემბერს ფილტვების ანთების გართულებული და მძიმე მიმდინარეობის გამო. გორის ტექნიკურმა ინტელიგენციამ დაკარგა კიდევ ერთი მაღალი დონის სპეციალისტი.

კარლო ვლადიმერის ძე რუსიშვილი დაკრძალულია ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. გეწამს, რომ მისი ხსოვნა არასდროს დაიბნდება მაღლიერი შთამომავლების გულებში.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**„...მწუხარისათვის არის მაღამო  
თანამგრძნობელის სიტყვა და ცრემლი...“  
(კასიანა)**

# სახვაძე ვალერიანი (ვალიკო)

გონით და მკერდით ჭედდა იმედებს,  
გზა-გზა იძენდა ძმაცაც-მეგობრებს,  
უხვად გასცემდა მადლს და სიკეთეს,  
ჭირივით სძულდა ქურდიც, მეკობრეც.  
ოჯახს ეუღლობდა სალოცავ ხატად,  
უქადდა შვილებს მომავლის ნათელს,  
წასულებს შორის მრავალი ჰყავდა,  
მათთვის ყოველთვის ანთებდა სანთელს.

საოცარი კაცი იყო ვალიკო – ფიზიკურად ძლიერი, გამჭრიახი აზროვნებით, პრინციპული და თანმიმდევრული ხასიათით და თბილი და მოსიყვარულე გულით – ასე იხსენებენ დღესაც, მართლაც რომ კაიკაცს – მშრომელს და კეთილსინდისიერს.

ვალერიან (ვალიკო) სახვაძე დაიბადა 1935 წ. 16 თებერვალს ქ. გორში (მაშინ კეცხოველის ქ. №50) რაჟდენ ივანეს ძე სახვაძისა და ელენე ესტატეს ასულ შერმაღინის შესანიშნავ ოჯახში.



ვალიკოს მამა, ბატონი რაჟდენი გახლდათ პროფესიონალი მძღოლი, ხოლო დედა, ქალბატონი ელენე – დიასახლისი.

აქვე აღვნიშნეთ, რომ ქალბატონი ელენე ყოფილა საოცრად მომღვინე და ტკბილ ხმაზე მომღერალი პიროვნება, რომელიც თურმე თავისი მუსიკალურობით და მოხდენილობით აჯადოვებდა დამსწრე საზოგადოებას.

ოჯახმა ქვეყანას აღუზარდა სამი შვილი: თენგიზი (გამოირჩეოდა კარგი და პრაქტიკულად სასარგებლო საქმიანობით და



საუკეთესო სამეგობრო წრით. სამწუხაროდ აღარ არის ცოცხალი); ჟუჟუნა (პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, მუშაობდა №3 სამშენებლო ტრესტში. გამოირჩეოდა ახალგაზრდული ენერგიით და საქმისადმი პრინციპული მიდგომით. სამწუხაროდ, ჟუჟუნაც გარდაცვლილია) და ვალერიან (ვალიკო) სახვაძე, რომელმაც დაამთავრა გორის №11 ე.წ. რკინიგზის საშუალო სკოლა და უმაღლეს განათლებას დაეუფლა თბილისში საქონელმცოდნეობის სპეციალობით. რამდენიმე წლის

მუშაობის შემდეგ („გორვაჭრობაში“) იგი გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასაგვლელად. სამი წელი იმსახურა ქ. მურმანსკოში, თვითმფრინავების შემკეთებელ საამქროში, რაც გამოადგა ქ. გორში დაბრუნების შემდეგ ავტოსატრანსპორტო საწარმოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობისას. ფაქტობრივად, მთელი თავისი შრომითი ბიოგრაფია მიუძღვნა ავტომანქანების შეკეთებას. მასზე ამბობდნენ, რომ „ოქროს ხელეუბი“ აქვსო. ყველა კმაყოფილი ჰყავდა. უამრავ მადლობას იღებდა, როგორც ხელმძღვანელობისგან ისე მადლიერი მოსახლეობისგან (კლიენტებისგან). აღსანიშნავია ის, რომ ვალიკომ სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა ამ საწარმოში. შეიძლება ითქვას – დღეღამური დაძაბული შრომის წყალობით, აუცილებელს არ აკლებდა სანუკვარ ოჯახს.

ვალერიანის (ვალიკოს) ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 1962 წელს, როცა მთელი თავისი სამომავლო ცხოვრება დაუკავშირა საკმაოდ ენერგიულ და გარეგნულად მომხიბვლელ გოგონას, ნუნუ ივანეს ასულ ჯიოშვილს, რომელმაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლება მიიღო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და

პენსიაზე გასვლამდე მოღვაწეობდა გორის №5 ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგად, პარალელურად კი აქტიურად იყო დაკავებული საზოგადოებრივი მოღვაწეობით (იხ. წიგნი „ნინო ჯიომვილ-სახვაძის ცხოვრების საფეხურები“. ვ. ჭანკოტაძე, 2019 წ.).

ბატონმა ვალერიანმა და ქალბატონმა ნუნუმ ქვეყანას აღუზარდეს ორი ვაჟი: თამაზი (ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. მოსკოვში; ჰყავს მეუღლე ციალა ზასოხაშვილი და ორი შვილი: თორნიკე – გინეკოლოგია და ერეკლე – ისტორიკოსი) და რამაზი (ცხოვრობს და მუშაობს ქ. თბილისში; ჰყავს მეუღლე ნინო დონგუზაშვილი და შვილები: ნიკა, პროფესიით პროგრამისტი და კახი – ჯერჯერობით სტუდენტი ძმის პროფესიის პროფილით).

დროა ხაზი გაუვსვათ ბატონ ვალერიან სახვაძის განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიჭს და მონაცემებს – უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე, მღეროდა „დაყენებული“ ხმით და საკმაოდ თეატრალურ-მხატვრული ელფერით.



საპირველმისო აღლუმზე  
ტაქსისტებთან ერთად

ბატონი ვალერიანი (ვალიკო) მღეროდა გორის ვაჟთა გუნდში, რომელსაც ცნობილი ლოტბარი მ. მცურავიშვილი ხელმძღვანელობდა.

სახვაძეების ოჯახში რელიგიის სახით შემონახულია აღნიშნულ ანსამბლში ბატონ ვალერიანის მონაწილეობის კადრები, როდესაც ისინი საგასტროლოდ იმყოფებოდნენ ბულგარეთში. მაშინ ანსამბლს მიენიჭა ლაურეატობა და გადაეცათ მედლები და სიგელები.

ვინც ვალერიან სახვაძეს იცნობდა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ შესანიშნავი მუსიკალური მონაცემები გენეტიკურად გადმოეცა დედისგანო.





**ვალერიან სახვაძე მეუღლესთან  
და ვაჟიშვილებთან ერთად**

მას არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა და მუდამ რაღაცას აკეთებდა მართლაც რომ ჯადოსნური ხელებით. სიცოცხლის ბოლო წლებში დაკავებული იყო ტრადიციული ყანწების კეთებით.

ვალერიან (ვალიკო) სახვაძე გარდაიცვალა 2005 წლის 29 იანვარს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

დარწმუნებულნი ვართ, რომ თბილ-ტკბილი და ღიმილიანი კაცის ხსოვნა არასოდეს დაიბნდება მისი შვილების, შვილიშვილების და უამრავ ახლობელ-ნათესავთა გულებში.

ნათელში იყოს კეთილი და გამრჯე ჯაცის სული.

**„...დაე, თუნდ მოგკედე, არ მეშინია,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი...  
(ილია ჭავჭავაძე)**

ქ. გორში ვალერიან სახვაძეს იცნობდნენ, როგორც მშვიდ, მორიდებულ და უხვი სიკეთის მკეთებელ ადამიანს. მასთან მეგობრობდნენ: გივი გუწაძე (მხატვარი), კ. სალამატიანი (სტომატოლოგი), ზ. კიკნაძე (კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი), ამირან კონუაშვილი (ეკონომისტი), ა. მთვარელიძე (სტომატოლოგი) და ბევრი სხვა.

სამწუხაროდ, ბევრი აღარ არის ცოცხალთა რიგებში. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მათი სულები.

ზემთ აღვნიშნეთ ბატონ ვალერიანის „ოქროს ხელების“ შესახებ. ისიც ცნობილია, რომ

# ტლაშაძე ვახტანგი

მას ყველა კარგად იცნობდა და პატივსაცემდა ენერგიით სავსე და გარეუხუცად მომხიბვლელ მამაკაცს.

ვახტანგი ტლაშაძემ გაიარა ლამაზი, საინტერესო, თუმცა სირთულეებით სავსე ცხოვრებისეული გზა დაწეებული ქ. ბაქოს სამხედრო სასწავლებლიდან და დამთავრებული შიდა ქართლის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობით.



მარჯვნივ ვახტანგი ტლაშაძე (1955-1958 წ.წ.)

ვახტანგი ტლაშაძე დაიბადა 1936 წლის 15 ოქტომბერს ქ. გორში მოსამსახურის ალექსი ტლაშაძისა და დიასახლისის სოფიო აივაზიშვილის ოჯახში.

ვახტანგთან ერთად ოჯახმა გამოზარდა ორი ულამაზესი გოგონა, დები ნარგიზა და ლამარა.

ნარგიზა მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო ლამარა (პროფესიით ფიზიკოსი) მუშაობდა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში.

ვახტანგის მამა ალექსი გახლდათ პროფესიონალი აგრონომი და სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისში, გორში, კასპში და ა.შ. ხოლო ვახტანგის პაპა ალექსანდრე ალექსის ძე ტლაშაძე იყო ოქონის ეკლესიის მღვდელი.

ვახტანგი ტლაშაძემ დაამთავრა ქ. გორის №4 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ (1958 წ.) ბაქოს სამხედრო სასწავლებელი. სულ მალე კი ვახტანგი ტლაშაძე აქტიურად ჩაება შრომის ფერხულში და თავისი ძალები მოსინჯა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში თუ უწყებაში, როგორებიც იყო: ქ. ჩერნიახოვსკის სამხედრო სტატუსის სამმართველო; გორის სამხედრო კომისარიატი; ლაგოდების სამხედრო კომისარიატი; თბილისის სამეცნიერო-კვლევით-

თი ინსტიტუტი „პლატანი“ (წამყვანი ინჟინერი); გორის განათლების განყოფილება; თბილისის №146 საშუალო სკოლა; გორში დისლოცირებული ეროვნული არმიის სატანკო ბატალიონის მეთაური; შიდა ქართლის ვეტერანთა საბჭო (თავმჯდომარე) და სხვა. შრომითი მოღვაწეობის პარალელურად, იგი განაგრძობდა სწავლას და გორის პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაეუფლა ისტორიკოსის სპეციალობას.



**გორში სტალინის სახლთა კოლეგებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი)**

ვახტანგ ტლაშაძემ თავისი ცხოვრების განუყრელ მეწყვილედ გამოარჩია ასმათ ხოსრუაშვილი (წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის №176 საშუალო სკოლაში პედაგოგად) და მასთან ერთად სამშობლოს აღუზარდა ორი უმძევნიერესი გოგონა ნელი და ნანა.

ნელი ვახტანგის ასული გახლავთ ექიმი (მეან-გინეკოლოგი), მუშაობს თბილისში. სამუხაროდ, მეუღლე გარდაეცვალა. ჰყავს შვილი ეკატერინე (ექიმი) და ორი შვილიშვილი მარიამ და ვახტანგ დანელიები.

რაც შეეხება ვახტანგ ტლაშაძისა და ასმათ ხოსრუაშვილის მეორე ქალიშვილს ნანას – იგი პროფესიით პედაგოგია. ჰყავს მეუღლე თემურ ერგემიძე. ცხოვრობენ ქ. ტიუმენში. ჰყავთ ორი შვილი გიორგი და ანა.

ქალბატონი ნანა მუშაობს საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად.

გიორგი იურისტია და ამჟამად სწავლობს ასპირანტურაში, ხოლო ანა ჯერ მხოლოდ II კურსის სტუდენტია.

ბედნიერი გახლავართ, რომ ვიცნობდი ჩემს სეხნიას. არ დამავიწყდება ჩვენი საუბრები საარტილერიო ტექნიკის ნიუანსებზე, გორის სატანკო ბატალიონში მისი მეთაურად მსახურების დროს.

ძალიან კეთილშობილური ბუნების პიროვნება გახლდათ ვახტანგ ტლაშაძე. გამოირჩეოდა კომუნიკაბელურობით და სტუმართმოყვარეობით. დიდ პატივს სცემდა თავის მეგობრებს და თანაკლასელებს, რომლებიც დღესაც არ იფიქვებენ მის ოჯახს და შეძლებისდაგვარად არ ტოვებენ ყურადღების გარეშე.

ვახტანგის მეუღლე, ქალბატონი ასმათი აღნიშნავს, რომ „...ვახტანგი იყო გულმოწყალე, ერთგული, მეზობლების მოყვარული, ოჯახისთვის თავგამოდებული, დინჯი და აუჩქარებელი, თუმცა, ზოგჯერ საოცრად მკაცრი, თუ კი ამას მოითხოვდა გარემოება...“

ვახტანგ ტლაშაძე გახლდათ აფხაზეთში მიმდინარე სამხარი მოქმედებების მონაწილე.



ვახტანგ ტლაშაძე რომ წარმატებული კაცი იყო, ამაზე მეტყველებს მის მიერ მიღებული მრავალი მედალი, სიგელი, დიპლომი და პრემია. ვახტანგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ვახტანგს იზიდავდა სპორტის თითქმის ყველა სახეობა, მაგრამ პრიორიტეტს მაინც ანიჭებდა და ძალიან უყვარდა ტანვარჯიში.

მუხთაღმა წუთისოფელმა არ დააცალა ვახტანგს გახსნილიყო ბოლომდე. იგი კაცური შემოქმედების ზენიტში მყოფი წაიყვანა და მუდმივი სასუფეველი დაუმკვდრა კვერნაქის მთაზე (2004 წ. 16/IV).

საზოგადოება თვალცრემლიანი აცილებდა მას ბოლო გზაზე. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**„...ტყუილია სულთქმა, უში;  
კაცი უნდა კაცად იყვეს,  
სანთელივით თვით დაიწვას  
და სხვას კი გზას უნათვიდეს...“  
(ილია ჭავჭავაძე)**

# ქალიაშვილი ნიკოლოზი

გასული საუკუნის პირველი მესამედის პერიოდის თაობის წარმომადგენელი გახლდათ ბატონი ნიკოლოზ ქალიაშვილი, რომელიც აღზრდილი იყო იმ პრინციპით და მოწოდებით, რაც გულისხმობდა დროის მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიღებას და ცოდნის მაქსიმალურ გამოყენებას, რათა რაც შეიძლება მაღე



ნიკოლოზი მეუღლესთან (დომნა) ერთად

მოშუშებულიყო პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული იარები და საზოგადოება ჩართულიყო ნორმალური და აუცილებელი აღმავლობის ფერხულში. და ნიკოლოზმაც ისწავლა და ისწავლა და მთელი თავისი შესაძლებლობებით აქტიურად ჩაება სატყეო მეურნეობის ინტენსიური განვითარების საშვილიშვილო საქმეში.

ნიკოლოზ ქალიაშვილი დაიბადა ქ. გორში 1913 წელს ალექსანდრე ქალიაშვილის ოჯახში. გორშივე მიიღო ყველა შესაძლებელი განათლება, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა რიგით ოჯახს და დაიწყო გრძელი, ძნელი, თუმცა მაინც საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა. საწყის ეტაპზე წარმატებულად იმსახურა სატყეო მეურნეობაში, შემდეგ კი დაინტერესდა სავაჭრო სფეროში მოღვაწეობით და სიცოცხლის ბოლომდე აღარ უღალატია არჩევანისათვის.

1937 წელს ნიკოლოზის ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი რამ. მეგობარ ახლობლების წრემ ნიკოლოზს გააცნო ლენხუმიდან გორში სამუშაოდ (ბამბეულის ჩულქების საქსოვ ფაბრიკაში) ჩამოსული მშვენიერი გასათხოვარი გოგონა დომნა მარკოზის ასული მანაგაძე. მათ მოეწონათ ერთმანეთი, მაღე გაუგეს ერთურთს გულის ნადები და სურვილი და სულ მაღე ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი ახალაგზრდული ენერგიით აღსავსე ოჯახი.

იმატა სითბომ, გააქტიურდა შრომა, შეიქმნა დოვლათი, მოიმატა წლებმა და დაიბადნენ და აღიზარდნენ შვილები: თინა ქალიაშვი-

ლი (დაბ. 1938 წ. 25 თებერვალი. პროფესიით მათემატიკოსი. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა კასპში სკოლის მასწავლებლად. იქვე გათხოვდა მურმან ნაბახტეველზე. შეეძინათ ქალიშვილი თამარი, რომელმაც გორში დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი. თინა გარდაიცვალა 1997 წ. 10 დეკემბერს. მურმანი გარდაიცვალა 2011 წ. 26



ნიკოლოზისა და დომნას შვილები -  
ოთარი და თინა

დეკემბერს. დაკრძალული არიან ქ. კასპის სასაფლაოზე), ოთარ ქალიაშვილი (დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისში მშენებელ-ინჟინრად, მეუღლედ შეირთო მზია აფშილავა. შეეძინათ ორი ვაჟი – ნიკოლოზი და ზურაბი. ნიკოლოზის მაუღლე გახლავთ დალი ტლაშაძე. ზრდიან ორ ვაჟიშვილს. ზურაბის მეუღლეა თია მესხი. ოთარ ქალიაშვილი მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა 2007 წლის 25 დეკემბერს. დასაფლავებულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე და ქეთინო ქალიაშვილი (საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო საფინანსო სისტემის შესაბამისი განათლება).

ახლობელ-ნათესავებთან და შთამომავლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ნიკოლოზ ქალიაშვილისა და დომნა მანაგაძის ოჯახი ყოფილა განსაკუთრებულად შრომისმოყვარე და რაც მთავარია, მეზობლებისადმი სიკეთით და ხელგაშლილობითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული. ერთ-ერთმა მონაგარმა სინანულით აღნიშნა – ასეთები არ უნდა კვდებოდნენო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ღირსეული ოჯახის ღირსეული შთამომავლები დავიწყებას არ მისცემენ ღვაწლმოსილი კაცის ნიკოლოზ ქალიაშვილის და დომნა მანაგაძის ხსოვნას.

ბატონი ნიკოლოზი დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე (2006 წ.) მეუღლესთან, დომნასთან (გარდ. 1983 წ.) და შვილთან, ოთარისთან ერთად.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

# ქიტიაშვილი მარინე

„...ქალთა მოდგმა რომ ყველაზე ძლიერია,  
ბრძენი ეზრაც გვიდასტურებს ჭეშმარიტად...“  
(ბიზანტიელი მგოსანი კასია)



მარინე ქიტიაშვილმა წარმატებით დაამსხვრია სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალი სუსტი არსებაა და რომ მას არ შეუძლია შეედაროს მამაკაცებს სიძნელების გადალახვაში და რთული პრობლემების მოგვარებაში.

მარინე ქიტიაშვილი მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა კვების მრეწველობის ურთულეს სფეროში და თავისი განათლებულობის, გამოცდილების და მტკიცე და პრინციპული ხასიათის წყალობით არაერთხელ იქნა აღიარებული

წარმატებულ სამეურნეო-პარტიულ მუშაკად და საზოგადოებრივი საქმიანობის გაძლიერების უბადლო ოსტატად, ამაზე მეტყველებს მის მიერ მიღებული სამთავრობო სიგელები, დიპლომები, ორდენები თუ პრემიები.

ერთხელ, ჩემთან საუბარში, ცნობილმა ინჟინერ-ტექნოლოგმა, რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა, საკონსერვო მრეწველობის დეაწლმოსილმა მუშაკმა გენო ბექაურმა ასეთი რამ სთქვა: „...მარინე კონსტანტინოვნასთან მუშაობა ერთი დიდი სიამოვნებაა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მან ყველაფერი იცის. მისთვის არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა. მკაცრი და მომთხონია, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ. არ უყვარს ზარმაცები და ენალაქლაქები...“

მარინე ქიტიაშვილი დაიბადა 1943 წლის 29 დეკემბერს კონსტანტინე ქიტიაშვილისა და ნინა კახიძის (სამტრედიდან) ოჯახ-

ში. მარინასთან ერთად ოჯახში იზრდებოდნენ ასევე მისი დები მაგული (ცხოვრობს გორში) და ირინა (ცხოვრობს თბილისში).

მარინე ქიტიაშვილმა წარმატებით დაამთავრა გორის №3 საშუალო სკოლა. განათლების შემდეგი ეტაპი გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქალბატონი მარინე ბავშვობიდან იყო დაინტერესებული მედიცინით და სურდა ექიმი ყოფილიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მისი ოცნება ვერ აღსრულდა, თუმცა, „ბილი მაინც მოუსინჯა“ საოცნებო საქმეს და გორის №3 აფთიაქში იმუშავა პროვიზორად (ინსტიტუტში მოწყობამდე).

დიპლომირებული ინჟინერი შეუდგა თავისი შრომითი ბიოგრაფიის ძერწვას. 1964 წელს იგი გვევლინება ჯერ გორის რაიონის პურკომბინატის მთავარ ინჟინრად, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ქ. გორის პურკომბინატის დირექტორად იმ ქარხნისა, რომლის მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

გავიდა რამდენიმე წელი და მარინე ქიტიაშვილის შესახებ გაისმა საკებარი სიტყვები როგორც სამინისტროში, ისე ტრესტში



მარცხნიდან: პირველ რიგში მეორე – მარინეს ბებია (კონსტანტინეს დედა); მესამე – პატარა ირინა; მეოთხე – მარინეს მამა კონსტანტინე; მესუთე – მარინეს მამის ძმა იაშა.

მეორე რიგში მარინეს და მაგული; მესამე – მარინე; მეოთხე – მარინეს დედა ნინა; მეექვსე (განაპირა) – მარინეს მამიდა ნინო.



და პარტიულ კულუარებშიც. მაღლე იგი დაინიშნა აგროსამრეწველო (გორისა და ტყვიავის წვენების ქარხნები; ბერბუკის მეურნეობა; გორის საკონსერვო ქარხანა) გაერთიანების გენერალურ დირექტორად. აირჩიეს პლენუმის წევრად; საბჭოს დებუტად (რამდენიმე მოწვევის) და ა.შ.



**მარინე ქიტიაშვილს ღირსების ორდენს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე**

ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მოწმენი გავხდით მარინე ქიტიაშვილის

შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღმავლობის თავბრუდამხვევი ტემპისა. ამასობაში მარინე ქიტიაშვილმა თავისი მომავალი ცხოვრება დაუკაფშირა ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცს ამირან მელიქის ძე ადამიშვილს (დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით). ბრწყინვალე ახალგაზრდა ოჯახში აღიზარდა მაღალი დონის ექიმი-კარდეოლოგი ნანა ამირანის ასული, რომელიც ამჟამად თავისი ოჯახით (მეუღლე დ. ქობლიანიძე, შვილი ქეთევანი, შვილიშვილი ნუცა ჯოჯუა) ცხოვრობს და მოღვაწეობს საზღვარგარეთ.

ქალბატონ მარინე ქიტიაშვილს, როგორც გენერალურ დირექტორს, ხშირად სტუმრობდნენ ე.წ. საკაფშირო დონის მაღალჩინოსნები. ისინი ერთხმად აღიარებდნენ მარინეს წარმატებულ საქმიანობას და არ იშურებდნენ საქებად სიტყვებს. მათ, გენერალური დირექტორის პიროვნებაში მოსწონდათ განათლებულობა, ვაჟკაცური შემართება და მაღალი რანგის პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით იმ საკითხში, რასაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში ქართული საკონსერვო ნაწარმის შეუფერხებელ მიწოდებას და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას გულისხმობდა.

მარინე კონსტანტინეს ასულმა ქიტიაშვილმა წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს კვების მრეწველობის წარმატებულ საქმიანობაში, განსაკუთრებით საკონსერვო წარმოების პროფილით.

მარინე ქიტიაშვილი თავისი უახლოეს მეგობრებად თვლიდა: ლ. კიკნაძეს, ს. ასლანიშვილს, ნ. გენგიურს, მ. მეზვრიშვილს, ბ. მაყაშვილს და სხვა.

აღსანიშნავია ქალბატონი მარინეს ქველმოქმედებაც. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა და ყველანაირად მხარში ედგა ატენის დედათა მონასტერს.

მარინეს ახლობლები ბევრ საიტნერესო ეპიზოდს იხსენებენ მისი მართლაც რომ მრავალი სიძნელეებით დახუნძლული მოღვაწეობის სფეროდან.

ერთხელ, თურმე, საკავშირო მინისტრი ეხვეწება, შენთვის მთხოვე რამე, შენი ოჯახისთვის არაფერი გინდაო? ქალბატონი მარინე კი, თურმე, დაუინებოთ სთხოვდა, გამოეყოთ სეპარატორი სამურაბე საამქროსთვის. ბევრი უცინიათ იქ, „მადლა“.

ქართულ სუფრასთანაც კარგად გრძნობდაო თავს – იგონებენ მისი გორელი ნაცნობები და ახლობლები.

იმ იაფ ე.წ. მუშათა სასაღილოს გახსნასაც მადლიერების გრძნობით იხსენებენ, რომელიც ქალბატონი მარინე ინიციატივით და აქტიური მხარდაჭერით გაიხსნა საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე და რომლითაც სარგებლობდა მიკრორაიონის მოსახლეობაც.

ღვაწლმოსილი პარტიულ-სამეურნეო მოღვაწე, ბრწყინვალე მოქალაქე და მეოჯახე ქალბატონი მარინე ქიტიაშვილი გარდაიცვალა 2012 წელს. მადლიერმა საზოგადოებამ სამუდამო სასუფეველი მიუჩინა კვერნაქის მთაზე, სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**„...უშენოდ ახლა მადლი ვით ვთვალთ,  
რად დაგვიობლე მშობელი გორი?!  
ველარ გიხილავთ რაინდო ქალო,  
თუმც მანძილზე ხარ არც ისე შორით“.**

# ყანჩაველი დარეჯანი

„...დედაკაცი ბურჯი არის ჩვენი მამულის...“

(ილია ჭავჭავაძე)

სილამაზითა და კეთილშობილებით გახლდათ გამორჩეული ქალბატონი დარეჯანი (დალი) ყანჩაველი-ჩხიხრაძისა.

ბედნიერები იყვნენ მისი მშობლები ნიკოლოზ სოფრომის ძე ყანჩაველი (მისი თითქმის მთელი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული გორში, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ სპორტულ კომპლექსთან) და თამარ სტეფანეს ასული გოგოლაძე (გორის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების სტაჟიანი მუშაკი), რომლებმაც მაქსიმალურად გამოიყენეს მთელი თავიანთი ძალები და შესაძლებლობები, რათა შვილები დარეჯანი და ელგუჯა (გარდაიცვალა 32 წლის ასაკში) აღეზარდათ ღირსეულ მამულიშვილებად.

დარეჯანი (დალი) დაიბადა 1949 წლის 31 დეკემბერს ქ. გორში. განათლებულობის პირველი საფეხური (გორის №5 საშუალო სკოლა) წარმატებით გადალახა და უმაღლესი განათლების მისაღებად გაბედულად შეაღო ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კარები. მოეწყო და კარგი მანევრებლებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის დაწყებითი კლასების სწავლების ფაკულტეტი და იქვე, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მიიღო პირველი შრომითი ნათლობა.

ვინც ქალბატონ დარეჯანს (დალის) იცნობდა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ იგი იყო მეტად სასიამოვნო და საინტერესო პიროვნება; გამოირჩეოდა ადამიანებთან თბილი ურთიერთობებით



და რაც ყველაზე თვალშიმოსახვედრია, იყო განსაკუთრებით აქტიური, როგორც სწავლაში, ისე კულტმასობრივ ღონისძიებებში; კერძოდ, მღეროდა და არაერთხელ დაუტკბია მსმენელები.

მთავარი კი, როგორც იტყვიან ხოლმე – წინ ელოდა.

მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა და სიცოცხლის თანამგზავრად შეარჩია ვაჟა ვარლამის ძე ჩიხრაძე. ქორწილი შესდგა 1968 წლის შემოდგომით და კიდევ ერთი ღამეა ქართული ოჯახი შეემატა საყვარელ მამულს.

ქალბატონი დარეჯანისა (დალის) და ბატონ ვაჟას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ აღზარდეს სამი ერთიმეორეზე უკეთესი შვილი: ხათუნა (გორის №12 საბავშვო ბაღის აღმზრდელი პედაგოგი. ჰყავს 2 შვილი, 4 შვილიშვილი); მამუკა (პროფესიით ეკონომისტი. მუშაობს რიტუალების სახლში. ჰყავს 2 შვილი – ერთი პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, ხოლო მეორე – სტუდენტი); პაპუნა (გორის №9 საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთში. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი. იქვე შექმნა ოჯახი ქართველ, ოქროყანელ გოგონასთან, ნინო ამირანაშვილთან ერთად და ამჟამადაც განაგრძობს ცხოვრებას და მოღვაწეობას ევროპის ცენტრში).



პაპუნასა და ნინოს შეეძინათ და დიდი მზრუნველობით ზრდიან სამ ვაჟკაცს, რომლებიც კარგად საუბრობენ ქართულად. აღსანიშნავია ის, რომ პაპუნა გახლავთ ქართველთა დიასპორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, რითიც ძალიან კმაყოფილი და გახარებული იყო ქალბატონი დარეჯანი (დალი).

დარეჯან (დალი) ყანჩაველი-ჩიხრაძის დიდებული პიროვნების კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხი: ძალიან უყვარდა სტუმრები და მუდამ ცდილობდა შეექმნა მათთვის ღალი და თავისუფალი გარემო. ესერხებოდა და მუდამ ცდილობდა



სენ მიშელის მოედანი 2004 წ.,

სტუმრების დატკობას და გახარებას სიმღერით და ორიგინალური იუმორით; იყო ხელმარჯვე და ხელგემრიელი დიასახლისი. ყოველთვის ცდილობდა კარგი და უწყვეტი ურთიერთობები ჰქონოდა თანაკლასელებთან, თანაკურსელებთან, კოლეგებთან და მეზობლებთან. განსაკუთრებით უყვარდა და დიდ პატივს სცემდა უახლოეს ნათესავენებს – ლუიზა და ვახტანგ ყანჩაველებს, გივი ცერაძეს, მანანა კარიჭაშვილს და სხვებს. მისი დიდი ადამიანური სითბო და ყოველდღიუ-

რი ზრუნვა იყო მიპყრობილი ძმისშვილებისადმი (ლია, თათო).

ბედნიერად გრძნობდა თავს ქალბატონი დარეჯანი (დალი) თავისი ბრწყინვალე ოჯახით და განსაკუთრებით კი შვილებით, შვილიშვილებით (ანა ჯიშკარიანი – საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი, ქეთევან ჯიშკარიანი – კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტი, გვანცა ჩიხრაძე – ხელოვნებათმცოდნე, ვაჟა ჩიხრაძე – სტუდენტი და საფრანგეთში მცხოვრებნი ლუკა, ნიკოლოზ და ვარლამ ჩიხრაძეები და შვილთაშვილებით – გივი და ეფემია კასრაძეები და ლუკა და ეთერ ხაჩიურები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკუღმართმა ბედისწერამ არ აცალა ქალბატონ დარეჯანს ბოლომდე დამტკბარიყო თავისი ოჯახით და შთამომავლობით. 2016 წლის 15 ნოემბერს სამუდამოდ დახუჭა თვალები ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ვაღმოსდილმა ქალბატონმა.

დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

„...მშვიდი, წყნარი და მორცხვედი  
ქალი თავისა მცველია,  
შვილთა მომეღელი, ქმრისათვის  
შემწე და მინაშველია...“  
(ვახტანგ VI)

## ჩიკვაიძე მიხეილი

მიხეილ ჩიკვაიძე გახლდათ ის პიროვნება, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში ზრდიდა და ასწავლიდა ათასობით ახალგაზრდას (გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში), გადასცემდა რა მათ თავის ცოდნას და გამოცდილებას და კიდევ ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსებს.

გორელ ხანდაზმულებს კარგად ახსოვთ მშვიდი ხასიათისა და ოდნავ მომღიმარი სახის პატრონი, რომელიც თავის უპირველეს მიზნად ისახავდა საყვარელი სამშობლოსათვის განათლებული თაობების აღზრდას.

მიხეილ ჩიკვაიძე დაიბადა ქ. ქუთაისში 1905 წელს. მისი მამა, ბატონი ნიკოლოზი გახლდათ ე.წ. რეალური ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, შემდეგ კი ქუთაისის გუბერნიის განათლების ინსტრუქტორი.

მიხეილის დედა, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე იყო დიასახლისი (საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქალბატონი მარიამი ყოფილა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ლიტერატურული კრიტიკოსის ნიკო ნიკოლაძის ნათლია).

მიხეილ ჩიკვაიძემ, ქუთაისის ე.წ. რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის სფეროს განხრით და იქვე იმუშავა 1939 წლამდე. შემდეგ იყო ქ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმისა და ფილოსოფიის კათედრის გამგის თანამდებობა.


მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მიხეილ ჩიკვაიძე მოხა-



ლისედ მიდის ფრონტზე და აქტიურად ერთვება საომარ პერიპეტეიებში. ჭრილობის მიღების გამო გამოწვეული გართულებების შედეგად იგი დააბრუნეს ზურგში და ისიც აგრძელებს მუშაობას ისევ კათედრის გამგედ, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე.

გორის უნივერსიტეტში ბატონი მიხეილი პედაგოგიურ მოღვაწეობის პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული მეცნიერულ კვლევებში და პუბლიცისტურ საქმიანობაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები. აქტიურად იყო ჩართული იმ დროისთვის საკმაოდ პოპულარული საზოგადოება „ცოდნის“ მრავალფორმატიან მოღვაწეობაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი გვერდში ედგა 1956 წელს სტუდენტური მოძრაობის აქტივისტებს და დიდი წვლილი შეიტანა გამოსვლების ორგანიზაციასა და პრაქტიკულ განხორციელებაში იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერი წარმართულიყო მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე. ვინ იცის – მისმა ჭკვიანურმა და ყოველმხრივ მოზომილმა ქმედებებმა რამდენ და როგორ ხიფათს გადაარჩინა ცეცხლად აბურბურებული ახალგაზრდობა.



მიხეილ ჩიკვაძემ და მისმა მეუღლემ (ელენე მარიამიძემ) საჯვარელ სამშობლოს აღუზარდეს სამი ქალიშვილი.


გვეამაყება, რომ ბატონი მიხეილის და ქალბატონი ელენეს ერთ-ერთი შვილიშვილი გახლავთ ცნობილი ტელეჟურნალისტი ნინო უიუილაშვილი.

მიხეილ ჩიკვაძე გარდაიცვალა 1968 წელს. დაკრძალულია გორში.

ნათელში ყოფილიყოს უგანათლებულესი და თავდადებული პატრიოტის ბატონ მიხეილის სული.

## ჭიღლაძე ავთანდილი

ავთანდილ ჭიღლაძე იყო საქართველოს მრავალფეროვანი საზოგადოების იმ თაობის გამოკვეთილი წარმომადგენელი, რომელსაც ბავშვობისა და სიჭაბუკის წლების გატარება მოუხდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამძიმებული და გართულებული დროის მონაკვეთში. სამაგიეროდ, ხსენებული თაობის წარმომადგენლები გახლდნენ უფრო შრომისა და ბრძოლისუნარიანი – სწავლობდნენ კიდევ და შრომობდნენ და იბრძოდნენ კიდევ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.



ავთანდილ ჭიღლაძე ქვეყანას მოეწვინა 1929 წლის 19 აგვისტოს (ფერისცვალების დღესასწაული).

ავთანდილი იყო თავისი მშობლების (ალექსანდრე პეტრეს ძე ჭიღლაძე; მარგარიტა დიმიტრის ასული წოწოლაშვილი-ანდრონიკაშვილი) მეშვიდე შვილი.

ავთანდილმა დაამთავრა ქ. გორის №11, ე.წ. რკინიგზის საშუალო სკოლა. სწავლას მოწყურებულმა და ბავშვობის ადრეული ასაკიდანვე ტექნიკით დაინტერესებულმა ახალგაზრდამ ჯერ იყო და დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ მიაკითხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს.

საკმაოდ რთული, მრავალფეროვანი და საინტერესო შრომითი ბიოგრაფია გამოძერწა ბატონმა ავთანდილმა თავისი მუყაითი შრომით და გაუტყეხელი ხასიათით. მოკლე ჩამონათვალი: პედაგოგობა გორის №11 და გორის რაიონის სოფლების – ყინწვისის, რუისის და ურბნისის საშუალო სკოლებში; გორის ავტოსატრანს-



პორტო საწარმოო გაერთიანება  
და ა.შ.

დღეს ქ. გორში, სამწუხაროდ, ცოტანილა არიან ავთანდილის თაობის წარმომადგენლები, მითუმეტეს ნაცნობები, ან კოლეგები, მაგრამ მისი ოჯახის წევრების მონათხრობიდან აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ ბატონი ავთანდილი ყოფილა საოცრად ენერგიული და მიზანსწრაფული პიროვნება, პრინციპული, მომთხოვნი და ერთგული, ამიტომ იგი ბევრს უყვარდა და პატივს სცემდაო – ხაზს უსვამენ ავთანდილის შთამომავლები.



ავთანდილი (მარცხნივ)  
მეგობართან

ახლა კი, დროა, ორიოდ სიტყვით შევეხოთ ბატონი ავთანდილ ჭილაძის საკუთარი ოჯახის პერიპეტიებს და მის როლს და ადგილს შვილის, მეუღლის, მამის, სიძის თუ პაპის რანგში.

წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონმა ავთანდილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ყველა კუთვნილ სტატუსს და დაიმსახურა კიდევ საყოველთაო პატივისცემა.

ავთანდილ ჭილაძის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი თარიღი დადგა 1966 წელს, როდესაც მან თავისი მომავალი ცხოვრება სრულად და გაბედულად დაუკავშირა მაყვალა გოგატიშვილს.

ოთხი უმწვენიერესი ქალიშვილი აღზარდა ბატონი ავთანდილისა და მაყვალას შრომისმოყვარე ოჯახმა. მოკლე მონაცემები მონაგარის შესახებ.

მარგარიტა ავთანდილის ასული ჭილაძე (დაამთავრა მოსკოვის გემო-კვების ინსტიტუტი. არის ინჟინერ-ტექნოლოგი. ჰყავს შვილი ქეთევან მაისურაძე. ისწავლა მოსკოვში. არის რადიოლოგი. მუშაობს თბილისში ექიმად);


ირინე ავთანდილის ასული ჭილაძე (დაამთავრა ქ. გორის ეკონომიკური და პედაგოგიური ინსტიტუტები. ჰყავს შვილი –

მარიამ ბოლათაშვილი, რომელმაც დაამთავრა ილიას სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და ამჟამად სწავლობს მაგისტრატურაში);

სოფიო ავთანდილის ასული ჭიღლაძე (დაამთავრა გორის ეკონომიკური ინსტიტუტი. ჰყავს შვილები თამარ გაგნიძე და მარიამ ბაბაიანი, ასევე შვილიშვილი თეოდორე ალბოროვი);

შორენა ავთანდილის ასული ჭიღლაძე (წარმატებით დაამთავრა ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი და იქვე ასპირანტურაც. აქვს მეცნიერული ნაშრომები: „საწარმოო სიმძლავრის როლი სოფლის მეურნეობაში“, „სიმძლავრეების გაანგარიშება სოფლის მეურნეობაში“, „საწარმოო პოტენციალისა და სიმძლავრის განსაზღვრის თავისებურებები სოფლის მეურნეობაში“ და მრავალი სხვა).

კარგი იყო, კიდევ დიდხანს ყოფილიყო ამქვეყანაზე ბატონი ავთანდილ ჭიღლაძე. ადამიანის ბედნიერება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მთელი სიცოცხლე და ყველა შესაძლებლობა მოახმაროს მომავალი თაობის შექმნა-ჩამოყალიბება-აღზრდის



უკეთილშობილეს და საშვილიშვილო საქმეს და მომავალში (გზა-დაგზა) დატკბეს მათი ცქერით, სიცოცხლის რიტმით, პატარების ჟივილ-ხივილით და ა.შ.

სამწუხაროდ, ბატონი ავთანდილი ბოლომდე ვერ დატკბა თავისი მონაგარით.

იგი გარდაიცვალა 2015 წ. 17 სექტემბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

**„...ამ ცვალებად წუთისოფელს ვეჭიდებით სორცით, სულით, ბოლოს ტალღა გადაგვხვეტავს, რომ სიმშვიდე ვნახოთ სრული...“**

**(პ. ღაზნელი)**

სტუმრად ქალაქ ერევანში

# ხიზანიშვილი სერგო

სერგო ვასილის ძე ხიზანიშვილი განეკუთვნებოდა იმ ადმიანების სახელოვან კოჰორტას, რომლებიც თავიანთი მუსიკალურობით და მუსიკალური კულტურის დონის ამადლებსკენ დაუოკებელი ღტოლვით ამშვენებდნენ და ამდიდრებდნენ ჩვენს ყოველდღიურობას, ქ. გორსა და სრულიად საქართველოს.

სერგო ხიზანიშვილი დაიბადა ქ. გორში 1908 წელს.

მამა – ვასილ ხიზანიშვილი გახლდათ ხელმარჯვე მეთუნე ქე, ხოლო დედა, ქალბატონი მარიამ ნავროზაშვილი გიმნაზიაში განსწავლული, შემდგომში ოთხი შვილის (სერგოს ჰყავდა სამი და – ნინო, სოფიო, ანო) დედა და ერთ-ერთ საუკეთესო დიასახლისად აღიარებული ქალბატონი გახლდათ.

სერგოს ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა აშკარად გამოხატული ინტერესი მუსიკისადმი. სხვადასხვა მიზეზთა გამო, მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ სერგის მუსიკალური განათლება მიეღო კერძო პედაგოგთან (დავით ცინცაძე), რომელმაც თეორიულ საწყისებთან ერთად სერგოს შეასწავლა დაკვრა გიტარაზე და მანდოლინაზე.

ქ. გორში არსებული ე.წ. ვაჟთა სკოლის დამთავრების შემდეგ სერგომ გადაწყვიტა მამას ამოსდგომოდა მხარში და თავისი შრომითი წვლილი შეეტანა ოჯახის ბიუჯეტში.

სერგო ხიზანიშვილმა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია შეაღწია ქ. გორში მუსიკალური კულტურის დონის ამადლების საშვილიშვილო საქმეს. ჯერ იყო და ჩამოაყალიბა სიმებიანი საკრავების



ქალბატონი მარიამი და ბატონი სერგო

ორკესტრი, რომელიც მუსიკალური მარშებით წინ მიუძღოდა საზეიმო მსვლელობებს; მერე იყო და. როდესაც კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მან დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და დაბრუნდა გორში – მან მაღალ დონეზე დააყენა მუსიკის სწავლება გორის მუსიკალურ სკოლაში, ბავშვთა სახლში და პედაგოგიურ ტექნიკუმში.

1941 წელს, სერგო ხიზანიშვილი, მრავალ გორელთან ერთად, გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში, სადაც აქტიურად ჩაერთო ქერჩის, ყუბანის, ანაპისა და სხვა ობიექტებისა თუ ქალაქების განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

მძიმე ჭრილობების გამო, იგი იძულებული გახდა 1944 წელს დაბრუნებოდა სამოქალაქო ცხოვრებას მშობლიურ ქალაქში.

გორის ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ომგამოვლილმა ვაჟკაცმა გამოაცოცხლა მუსიკალური ცხოვრება – აღდგა ომის გამო მიტოვებული და თითქმის გაპარტახებული მუსიკალური სკოლა; უფრო მეტიც – სერგოს ინიციატივით დაიწყო სკოლაში სასწავლებლად ბავშვების დაჩქარებული და მასშტაბური მიღების პროცესი.



სერგო (მარცხნიდან პირველი) სიმებიან საკრავთა ანსამბლში.  
1927-1928 წ.წ.

შეძენილ იქნა ბევრი ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი.

გამოცოცხლდა ქალაქში ომისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნიუანსების გამო ჩაფერფლილი მუსიკალური ცხოვრება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სკოლის ფუნქციონირების საწყის ეტაპზე (რამდენიმე წლის განმავლობაში) ბატონი სერგო ხელმძღვანელის თანამდებობასთან ერთად, ასრულებდა სასწავლო ნაწილის გამგისა და მნეს მოვალეობებსაც.

აღსანიშნავია, რომ მან თითქმის 40 წელი იმოღვაწა მუსიკალურ სკოლაში ჯერ ხელმძღვანელად, მერე კი თეორიული საგნების პედაგოგად. პარალელურად, იგი მოღვაწეობდა ბავშვთა სახლში, პედაგოგიურ ტექნიკუმში და გორის ახლადგახსნილ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ე.წ. დაწყებითი სწავლების კათედრაზე.

სერგო სიზანიშვილს მიღებული ჰქონდა როგორც საბრძოლო, ისე შრომითი წარმატებებისათვის მედლები, ორდენები, სიგელები, მადლობები და ა.შ. განსაკუთრებით ეამაყებოდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი.

სერგო სიზანიშვილმა შექმნა ღირსეული ოჯახი. მისი მეუღლე, ქალბატონი მარიამ ათუაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა გორის №9 სკოლაში ბიბლიოთეკარად.

ბატონმა სერგომ და ქალბატონმა მარიამმა ქვეყანას აჩუქეს ორი უმშვენიერესი გოგონა – ნარგიზა და მარინე, რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ და მთელი არსებით ემსახურებიან მუსიკალური სამყაროს სრულყოფის კეთილშობილურ მისიას.

ერთი საინტერესო ეპიზოდი ბატონი სერგოს ცხოვრებიდან.



„...მამამისს ბატონ ვასილს მაინცდამაინც არ მოსწონდა ის გარემოება, რომ ერთადერთი ვაჟი (მამაკაცი) მუსიკალური ხელოვნებით იყო გატაცებული. ერთხელაც ჩასულა თბილისში ხურჯინგადაკიდებული კონსერვატორიის საერთო საცხოვრებელში შვილის მოსანახულებლად. შეუღია კარი და რას ხედავს – არის ერთი ცეკვა-სიმღერა და ღრიანცელი შემთვრალი ახალგაზრდებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ პირველი კურსის დამთავრების ფაქტს. მიუგდია ხურჯინი და გამწარებული დაბრუნებულა სახლში. დასტაკებია მეუღლეს – ის იქ სასწავლებლად კი არ არის წასული, დროს ატარებს ღვინის სმასა და ცეკვა-თამაშში, ნაცვლად იმისა, რომ შრომაში ამომიდგეს მხარშიო...“ ძლივს დაუმშვიდებიათ განრისხებული მეთუნეუქე.

მისასალმებელია, საამაყო და სასიამოვნო ის გარემოება, რომ სერგოს ყოველთვის ახსოვდა თავისი მეგობრები, რომლებსაც ყოველ 9 მაისს (ფაშიზმზე გამარჯვების დღეს) მასპინძლობდა და მხიარულ და შინაურ ატმოსფეროში ატარებდა დროს ომის მონაწილეებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად.

მუდმივ შრომასა და ბრძოლაში მყოფი ვაჟკაცი ვერ ეგუებოდა წლების მატებას და უფუნქციოდ დარჩენის „პერსპექტივას“, ამიტომ იყო, რომ ხშირად მოიძარჯვებდა ხოლმე კალამს და აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ჩვენი საზოგადოების ყოფა-ცხოვრების აკარგვიანობაზე. აი, ზოგიერთი პუბლიკაციის დასახელება: „განვლილი გზა“, „მოქალაქეობრივი ერთგულებით“, „ამაგდარი“ და ა.შ.

ბატონი სერგო და ქალბატონი მარიამი ბედნიერები იყვნენ თავისი მონაგარით: შვილიშვილები: გიორგი (გოგა) დავითაშვილი (ეკონომისტი); ნანა დავითაშვილი (მუსიკოსი); შვილთაშვილები: მარიამ დავითაშვილი (მოსწავლე); გიორგი დავითაშვილი (6 წლის) და ნინო ხუროშვილი (მე-8 კლასელი).

ქალბატონი მარიამი გარდაიცვალა 1998 წელს. ორი წლის შემდეგ შეწყდა დიდი გორელი კაცის სერგო ხიზანიშვილის გულისცემაც. დაკრძალულნი არიან გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ამყოფოს მათი სულები.

## ხიზანიშვილი შალვა (ციცა)



მას კარგად იცნობდნენ გორელები და დამსახურებულ პატივსაც მიაგებდნენ კაცს, რომელსაც, როგორც იტყვიან სოლმე – „არაფერი ეშლებოდა“.

შალვა დაიბადა 1937 წლის 1 აგვისტოს ივანე ხიზანიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახში. შალვას მამა გახლდათ ფეხსაცმელების მკერავი, ხოლო დედა, ქალბატონი ბარბარე – საკმაოდ კარგად ცნობილი დიასახლისი.

შალვას გარდა ოჯახში აღიზარდნენ მიშა და ნანული. მიშა ხიზანიშვილი ხანგრძლივი პერი-

ოდის განმავლობაში მუშაობდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში და ჯეროვანი პოპულარობითაც სარგებლობდა. ნანული ხიზანიშვილმა კი უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და როგორც წარმატებული სპეციალისტი, აქტიურად იყო ჩაბმული გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის მრავალპროფილიან მოღვაწეობაში. თქვენს მონა-მორჩილს წილად ხვდა ბედნიერება ემუშავა მასთან ერთად ერთ-ერთ წამყვან განყოფილებაში.

შალვა ხიზანიშვილმა მთელი თავისი შრომითი მოღვაწეობა მიუძღვნა სავაჭრო სფეროს; მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და ხელმძღვანელობას და ფართო საზოგადოებას თავი დაამახსოვრა, როგორც აქტიურმა, გამოცდილმა და პრინციპულმა მუშაკმა, რომლისთვისაც მოვალეობის შესრულება გახლდათ უპირველესი მიზანი და ამოცანა.

ცხოვრება თავისას მოითხოვდა და შალვამ მთელი სიცოცხლე და ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა უმშვენიერეს ქალბატონს მარიამ ფილიევს.

ოჯახს შეეძინა სამი შვილი – მაია (1964), მამუკა (1966) და მალხაზი (1969). მეუღლეები გაათმაგებულნი სიხარულითა და ენერგიით იღვწოდნენ ბედნიერი და სრულყოფილი მომავლისათვის, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ სხვანაირად განსაჯა, თავს დაატეხა რა მათ ოჯახს ზედიზედ ორი ტრაგიკული შემთხვევა: მაიამ ვერ მოასწრო ბოლომდე მიეყვანა სამედიცინო უმაღლესი განათლების საქმე და სრულიად ახალგაზრდამ მიატოვა წუთისოფელი. სულ მალე ავტოკატასტროფაში დაიღუპა მალხაზი.

რაც შეეხება შალვასა და მარიამის მესამე შვილს, მამუკას – მან წარმატებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და წლების განმავლობაში ემსახურება ქალაქის კომუნალურ სტრუქტურას.

მამუკა ხიზანიშვილს ჰყავს ერთი ვაჟი, რომელსაც მამის სახელი (შალვა) დაარქვა. ბავშვი დღეს მე-12 კლასშია და ენერგიულად ემზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

აქვე, ორიოდ სიტყვით გაგაცნობთ შალვა (უფროსი, ივივე ციცა) ხიზანიშვილის სხვა შვილიშვილების მოკლე მონაცემებს.

მალხაზ ხიზანიშვილს ჰყავს ერთი გოგო – მარიამი, ხოლო მარიამს ორი ბიჭი, გვარად სართანიები.

რაც შეეხება მაია შალვას ასულ ხიზანიშვილს – მას ჰყავს ორი შვილი თამარი და ომარი. თამარი მოღვაწეობს ი. სტალინის სახლმუზეუმში ინგლისური ენის სპეციალისტად და ემსახურება ათასობით ტურისტს. რაც შეეხება ომარის – იგი აქტიურადაა ჩაბმული საღისტრიბუციო ქსელში.



შალვა მეუღლესთან (მარიამი) ერთად



სამწუხაროა, რომ შალვა ხიზანიშვილი ვეღარ იხილავს და ვეღარ გაიხარებს თავისი მონაგარის მოღვაწეობით.

1996 წლის 8 მარტს შალვა ხიზანიშვილი გახდა მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი. იგი დაკრძალულია ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე, შვილების გვერდით.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

„...თავი დაჰხროდა ბაღასს,  
კენესა ისმოდა ქვისა,  
დარდი ეფინა ქალაქს,  
დარდი ჩენი და სხვისა...“

## ჯვარიძე შოთა

მე საქართველო მარგუნა ბედმა,  
ეს საღიმილო და საკენესარი  
და სანამ შევძლებ სუნთქვას და ხედვას,  
ჩემი სუნთქვა და ხედვა ეს არის.

(შ. ჯვარიძე)



შოთა ჯვარიძე გახლდათ ის პიროვნება, რომლისთვისაც ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში და საზოგადოებრივი წარმომადგენლობის ნებისმიერ სფეროში, ყოველთვის მოიძებნებოდა მნიშვნელოვანი ფუნქციებით ღირებული ადგილი, რომელსაც ბატონი შოთა შეჰმატებდა ახალ ბრწყინვალეობას, ღირსებას და დიდებას.

ბატონი შოთა გახლდათ საოცრად მოძრავი, გაბრწყინებუ-

ლი თვალებით მზირალი პიროვნება, რომლისთვისაც ამქვეყნად არაფერი იყო შეუძლებელი, თვით უღამაზესი და უმშვენიერესი ქალის მოხიბვლის ჩათვლით.

შოთა ჯვარიძე დაიბადა 1928 წლის 30 სექტემბერს ქ. ახალციხეში. მამა ვახტანგ ჯვარიძე იყო ეკონომისტი; დედა სოფო ობოლაშვილი – დიასახლისი.

შოთას ნიჭიერებამ ბავშვობიდანვე აცნობა ყველას, რომ მისი სახით ფართო საზოგადოებას მალე მოეველინებოდა მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პიროვნება. ჩვიდმეტი წლის ასაკში შოთა უკვე მუშაობდა პედაგოგად ახალციხის შვიდწლიან სკოლაში.

შოთა ჯვარიძემ დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი (ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორი) და დაიწყო მუშაობა გორის პარტიის საქალაქო კომიტეტში აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. აქვე გაიცნო და მთელი თავისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირა ქუქუნა მესროფაშვილს. ოჯახში აღიზარდნენ: ვახტანგ ჯვარიძე (ფიზიკოსი, იმავდროულად მხატვარი; ჰყავს მეუღლე ნანა ხორბალაძე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი. ნანა პედაგოგია) და ოლიგო ჯვარიძე (ექიმი; მეუღლე ზურაბ გურგენიძე – ექიმი, მეცნიერების დოქტორი; ჰყავთ სამი შვილი და სამი შვილიშვილი).

შოთა ჯვარიძის შრომითი გზა: კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი; გორის თეატრის დირექტორი; რაიკომის საერთო განყოფილების გამგე; რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი; გაზეთ „ქართლის გუშაგის“ რედაქტორი; ვეტერანთა საქმეების განყოფილების უფროსი და ა.შ.

ყურადსაღებია შოთა ჯვარიძის ლიტერატურული მოღვაწეობა. სტუდენტობის წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე წერდა და ქმნიდა მხატვრულ პროზაულ, თუ პოეტურ ნაწარმოებებს (ლექსები, მოთხრობები, თარგმანები და პუბლიცისტური სტატიები), რომლებიც ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში. გამოცემული აქვს ლექსთა ორი კრებული. მისი სიტყვებია:

**„...ბედნიერი კაცი მქვია,  
რომ ქართველად დავიბადე,  
ჩემი ფესვი მიწაშია,  
მკერდზე ქრისტეს ჯვარი მადევს...“**

შოთა ჯვარიძე წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთებს: „ქართლის გული“, „პატრიოტი“, „ქართლის გუშაგი“; თანამშრომლობდა გაზეთებთან: „გამარჯვება“, „გორის მოამბე“, „ლიტერატურული მესხეთი“ (ამ გაზეთში აგზავნიდა ბებიის, ნატალია სანდოძე-ჯვარიძის მოგონებებს მესხეთის ისტორიიდან).

აქტიური და საინტერესო პარტიულ-სამეურნეო თუ ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის შოთა ჯვარიძე დაჯილდოვდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მიღებული აქვს ბევრი სხვა სიგელი, დიპლომები, მედლები (მათ შორის „ღირსების“) და ფულადი პრემიები. შოთა ჯვარიძე იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი და ასევე შრომის ვეტერანი.

შოთა ჯვარიძეს ახლობლები ახასიათებენ როგორც სტუმართმოყვარე და, ზოგადად, კაცთმოყვარე პიროვნებას, რომელიც საერთოდ არ იყო პრეტენზიული ბუნების და კმაყოფილდებოდა იმით, რაც გააჩნდა. შოთა ჯვარიძეს ჰყავდა ბევრი მეგობარი, რომლებთანაც ოჯახი დღესაც აგრძელებს კეთილ ურთიერთობებს.

შოთა ჯვარიძის 70 წლის საიუბილეო თარიღის დღეებში საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები აკადემიკოსი გ. ბრატულინი და გ. ბეროზაშვილი ასეთი სიტყვებით ამკობდნენ მას „საქართველოს ღირსეული მამულიშვილი, პოეტი, დრამატურგი, დიდი ქართული ოჯახის პატრონი, ღირსეული პაპა და რეალურად მოაზროვნე ქართველი კაცი. ბატონო შოთა! კაცურო კაცო, კაცურად გაგიმარჯოს“.

ცნობილი მსახიობი ლევან ოზგებაშვილი ასეთ სიტყვებს უძღვნის ბატონ შოთას (ამონარიდი ლექსიდან):

**„...ჭეშმარიტებას ვერ გაექცევი,  
გორს ჰყავდა დასი, ნამღვილი დასი,  
ხალხი თეატრში მიიჩქაროდა,  
ქართლმა იცოდა თეატრის ფასი,**

**თეატრში აზრი, ფიქრი, ოცნება,  
სულ ერთად იყო გადახლართული,  
დიდ კორიფეთა ჩაყრილ საძირკველს,  
თქვენც დააშენეთ ერთი სართული...“**

შოთას მეგობარი ზაურ წაქაძე წერდა: „...გვანსოვს მისი ლექსები, მოთხრობები, თარგმანები. გვეგონა ჩაქრა, მაგრამ თურმე მღეროდა, წერდა, თარგმნიდა...“

მწამს მანამდე იმღერებს, ვიდრე „წლები ჭენებ-ჭენებით მიჰქრიან...“

სამწუხაროდ, 2012 წლის დეკემბერში შეირყა შოთა ჯვარიძის ოჯახური იდილია, გარდაიცვალა მისი მეუღლე ქალბატონი ჟუჟუნა, რამაც დიდი ტრავმა მიაყენა ბატონ შოთას. როგორც ოჯახის ახლობლები აღნიშნავენ, შოთა უკვე ნაკლებადღა ჩნდებოდა საზოგადოებაში. როგორც ზემოთ ითქვა „წლები ჭენებ-ჭენებით მიჰქრიან“ და გაირბინა კიდევ ექვსმა წელმა.

2018 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება შოთა ჯვარიძე, რომელმაც წარუშლელი სასიკეთო კვალი დატოვა. თვალცრემლიანმა საზოგადოებამ გააცვილა იგი სამუდამო სასუფეველისაკენ მიმავალ გზაზე.

დაკრძალულია ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

**„მართალია, რომ დრო-ჟამთა სვლაში,  
კაცის ქმნილებას შთანთქავსო ლეთა;  
მაგრამ უკვდავთა სახელს ვერ წაშლის  
ხსოვნაში ქროლა საუკუნეთა...“  
(ბაირონი)**

# სარჩევნი

ავტორისაგან .....	3
წინათქმა .....	4
აბუღაძე როლანდი .....	6
ალავერდაშვილი თეიმურაზი (ბიჭიკო) .....	9
აღდგომელაშვილი მიხეილი .....	13
ახობაძე ელგუჯა (გუჯა) .....	17
ბეჟანიშვილი ზაური .....	21
ბიძინაშვილი ამირანი .....	24
ბრეგვაძე ომარი .....	28
გელდიაშვილი ვახტანგი .....	31
გელდიაშვილი ნადია (ნადეჟდა) .....	34
გიუაშვილი შალვა .....	38
დათიაშვილი თენგიზი (ჭოლა) .....	42
დეკანოსიძე ეთერი (ნატალია) .....	46
დიდებელი ნაირა .....	49
ელიზბარაშვილი ფრიდონი .....	52
ვანიშვილი თემური .....	54
ზაუტაშვილი ზინა .....	56
ზაუტაშვილი ციური .....	59
თოროზაშვილი გურამი .....	63

კიკნაძე ზაური .....	66
მეზერიშვილი არტემი .....	69
პაპელიშვილი გიორგი .....	71
რუსიშვილი კარლო .....	74
სახვაძე ვალერიანი (ვალიკო) .....	77
ტლაშაძე ვახტანგი .....	81
ქალიაშვილი ნიკოლოზი .....	84
ქიტიაშვილი მარინე .....	86
ყანჩაველი დარეჯანი .....	90
ჩიკვაძე მიხეილი .....	93
ჭიღლაძე ავთანდილი .....	95
ხიზანიშვილი სერგო .....	98
ხიზანიშვილი შალვა (ციცა) .....	102
ჯვარიძე შოთა .....	104

ნიგნის წინა სამი ნაწილი გამოვიდა სახელწოდებით:  
„...და ვანთებ სანთელს...“

### ნიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბაზან-დარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბექაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე ბექანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდნითელი თეიმურაზი, გუდაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გრუამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი კობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალებაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მაისურაძე გივი, მერე-ბაშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშკა), მუკნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჯემალი, სამა-დალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ლონლაძე თემური, ყეინოშვილი ოთარი, შაფთოშვილი მიხეილი, შერმადინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

### ნიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიაძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადვიშვილი რომანი, არშაკუნი მათე, ბიჩინაშვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი, გიორგაძე ანზორი, გოცირიძე ბაგრატი, გოცირიძე როლანდი, თავაქალოვი კარლო, კარაპეტიანი ზაგენი, კიკაბიძე თეოფილე, კიკნაძე ვლადიმერი, კლიმიაშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მემანიშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოქროპირიძე სოფიო, პატარიძე გიორგი (ბონდრო), გიგაური თამარი, სომხიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიკვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი, ჭელიძე ოთარი (გუჩურა), ხუბულური ირაკლი, დედა-შვილი ჯულიეტა ხაჩიძე ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

### ნიგნის მესამე ნაწილში შეტანილია:

არსენიძე შოთა, ბერუაშვილი დურმიშხანი, ელბაქიძე ლევანი (ლეო), ელუაშვილი თენგო, ზარნაძე ანზორი, ზაუტაშვილი ზურაბი, თეთრუაშ-

ვილები, მაჭარაშვილი თამარი, მეცხვარიშვილი შამილი, ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობეჯიშვილი-ონიაშვილი, რატიშვილი ვასიკო, რუბაშვილი დალი, სოსანიძე გივი, ქამუშაძე ანზორი, ჩალაური ვლადიმერი, ჭელიძე ვაჟა, ხარშილაძე დავითი, ჯავახიშვილი შოთა, ჯაფარიძე შალვა, იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი.

ნიგნის მეოთხე ნაწილში შეტანილია:

გალუსტაშვილი სოკრათი, თეთრუაშვილი ნუნუ, თოთლაძე შალვა, კახნიაშვილი ვასო, მახარობლიძე შოთა, მცურავიშვილი პავლე, ნაყოფია ჯემალი, ნოზაძე გიორგი, ყიფიაშვილი ლევანი, ქარელი კობა, ქარელი მიხეილი, ცერცვაძე გიორგი, ჯამბრიშვილი ივანე.

ნიგნის მეხუთე ნაწილში შეტანილია:

ათუნაშვილი ნიკო, ანანიაშვილი მიხეილი, ანთაძე ლიანა, ანთაძე მიხეილი, ასპანაძე სოსო, ბანდურაშვილი თენგიზი, ბერუაშვილი ლალი, გერმანიშვილი ანზორი, ზვადიშვილი ქეთევანი, ქრისტესიაშვილი ლუარსაბი, ირა და იდა, კავლელაშვილი მარიაში, კარიჭაშვილი ნიკოლოზი, კეჩუაშვილი ლილი, ლეკიშვილი შალვა, მაისურაძე ემილი, მჭედლიშვილი იროდონი (ირაკლი), სახვაძე სოგრათი, სრესელი რუსუდანი, ტატულაშვილი გურამი, ტატულაშვილი თინათინი, ტატულაშვილი ისაკი, ტატულაშვილი ომარი, ფუტკარაძე ოლია, ქორქაძე რუსუდანი, ქუთათელაძე ოთარი, ყანჩაველი ნუგზარი, ჩიტაძე ალექსანდრე, ძველაია ვასილი, ჯამბრიშვილი ამირანი (გივი).

ნიგნის მეექვსე ნაწილში შეტანილია

აბრამიშვილი ვაჟა, აბულაძე ლეონიდე (ლენო), აივაზოვი გივი, ბეგლარიშვილი გიორგი, გაბაშვილი ზაალი, გოგოლაძე სულიკო, გოდერძიშვილი შალვა, დონგუზაშვილი ჯამლეთი, დონღუზაშვილი ზურაბი, დონღუზაშვილი გურამი, ზუმბულიძე ნოდარი (ბიჭიკო), კაკაურიძე შოთა, კოვალენკო გივი, კობინაშვილი გიორგი, მაკრახიძე ასლანი, მაკრახიძე სოლომონი, მახარაშვილი თამარი, მახარაძე ამირინდო, მჭედლიშვილი არჩილი, ნამორაძე მარიაში, ნინიაშვილი გურამი, სირიბეგოვი ანა, ტატიშვილი ნარგიზა და ნადირაშვილი ავთანდილი, ფოცხვერაშვილი ვასილი, ქილიტაური გიორგი (გია), ქილიტაური მარიაში (მარიკა), ყანჩაველი ლუიზა და ცერაძე გივი, ჩიკოიძე ვერიკო, ნაოჭაშვილი რუსუდანი, ჩიხლაძე ნაისი, ცოხნიაშვილი ანზორი, ხორგუაშვილი იოსები, ხუციშვილი გიორგი, ხუციშვილი თეიმურაზი.



## ნიგნის მეშვიდე ნაწილში შეტანილია

ანანიაშვილი ნოდარი, ბიჩინაშვილი (მაკრახიძე) ოლლა, გაბუნია ნინა, გოლოშვილი მარგალიტა, გუდაძე ნოდარი, ეფრემიძე მირიანი, ზედგინიძე პანტელი, იუფეროვები – ნიკოლოზი და იორამი, კანდელაკი თარაში, კაჭკაჭიშვილი დავითი, ჩოხელი ქსენია, კოვზიაშვილი ალბერტი, მამუკაშვილი ნადია, შოშიაშვილი შალვა, მანძულაშვილი ანო, მართაშვილი ლეილა, მეზვრიშვილი გიორგი (გია), მთვარელიძე ეთერი, რატიშვილი ალბერტი, ტატიშვილი ალექსანდრე, ურჯუმელაშვილი ტარიელი, ფერმანგიშვილი ოთარი, ქარუმიძე ოთარი, ქობლიანიძე გურამი, ღვინიაშვილი ნოდარი, ჩიტაშვილი პეტრე, ჩიხლაძე დიმიტრი, ჩოჩიშვილი შოთა, ჭილაძე მერი, ჭილაძე ომარი, ხადური იულონი, ხადური ჯიმშერი, ხარაიშვილი ალექსანდრე (საშა), ხაჩირაშვილები – ანზორ და ზაზა, ხუციშვილი შალვა, ჯაფარიძე ომარი.



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 30-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა უანრში